

საბჭოთა ბელოჯნება

180 № 9
1980
საბჭოთა
ბელოჯნება

ISSN 0132-1307

1980 9

XXVI



ს კ კ კ
ყრილობის
შესახებდრად

წინსვლის გედროზე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იენისის პლენუმის გადწყვეტილებით დადგინდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი — XXVI ყრილობის მოწვევის თარიღი — 1981 წლის 23 თებერვალი. ეს მოხდა მიმდინარე წლის 23 იენისის. დადგა ზუსტად რვათვიანი მონაკვეთი, რომელმაც გვირგვინი უნდა დაადგას X — საიუბილეო ხუთწლიდის წარმატებულ ფინიშს და მყარი საფუძველი მოუმზადოს XI ხუთწლიდის სტარტს.

„ყოველი ყრილობა ახალ პორიზონტებს უსახავდა ჩვენს პარტიასა და შთავრობას. — განაცხადა თავის მოკლე და მკაფიო სიტყვაში აშხ. ლ. ი. ბრეჟნევიმა იენისის პლენუმზე. — მჯერა, ასეთი იქნება მომავალი ყრილობაც, რომელმაც უნდა განსაზღვროს კომუნისტური მშენებლობის დამდეგ ეტაპზე ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა“. სწორედ ამ სულისკვეთებითაა გამსჭვალული მთელი საბჭოთა ხალხი, მათ შორის შემოქმედებითი ინტელიგენციაც, რომლისთვისაც პარტიის მიზანდასახულობანი ღვიძლი საქმეა.

7 იელისის გამართულმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომ რესპუბლიკის კომუნისტთა მორიგი, ასევე რიგით XXVI, ყრილობა გაიხსნას 1981 წლის 22 იანვარს.

ნაყრილობევს კი ჩვენი სამშობლო აღნიშნავს საბჭოთა საქართველოსა და მისი კომუნისტური პარტიის მე-60 წლისთავს, რომელიც დიდ სახალხო-ეროვნულ ზეიმად იქცევა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ამასთან დაკავშირებით აშხ. ე. ა. შვეარდნიძემ შემოქმედებითი ინტელიგენციის საყურადღებოდ თქვა საქართველოს კპ ცკ-ის XX პლენუმზე (15.V.80). „მტკიცედ გვწამს, რომ სახელოვან მე-60 წლისთავს ღირსეულად აღნიშნავენ მშრომელი ადამიანები, შემოქმედებითი

ინტელიგენცია — მწერლები, პოეტები და ჟურნალისტები, მხატვრები, კომპოზიტორები, არქიტექტორები, თეატრისა და კინოს მოღვაწეები, რომ შეიქმნება მაღალმატერული და ღრმად იდეური ნაწარმოებები, რომლებიც მიეძღვნება სახელოვან რევოლუციურ მოვლენებს, ჩვენი ხალხის გვირგვინ წარსულს და მის დღევანდელ ვამარჯვებებს, ქმნილებები, რომლებიც ჩვენი თანამედროვის მდიდარ სულიერ სამყაროს და თავდადებულ შრომას ასახავენ, უმღერიან კომუნისტების მშენებელს და უწერგავენ მას საუკეთესო ნიშან-თვისებებს“.

სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების მოსამზადებელი პერიოდი, კერძოდ, 1980 წელი მრავალგანზომილებიანი გამოდგა საბჭოთა ქვეყნის საშინაო და საგარეო სამშვიდობო პოლიტიკის მტკიცედ განხორციელებაში, მაგრამ განსაკუთრებით გამოიკვეთა სამი დიდი მოვლენა — ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ზეიმი, X ხუთწლიდის დამთავრებელი წლის შრომითი შემართება და სკკპ XXVI ყრილობისადმი მიძღვნილი სოციალისტური შუჯობრება, რომელიც მიმდინარეობს დევიზებით: „ყოველი დღე დამკვერულია“, „ხუთწლიდს — დამკვერული ფინიში“, „სკკპ XXVI ყრილობას — 26 დამკვერული კვირა“ და სხვ. მიზანი კი ერთია: წინსვლა და გამარჯვება.

სკკპ XXVI ყრილობისათვის მზადების თავისებურებანი კონკრეტულად მოხაზა აშხ. ლ. ი. ბრეჟნევიმა თავის მოხსენებაში სკკპ ცკ-ის იენისის პლენუმზე, რომელიც ნათქვამია: „განვლილი წლების მანძილზე ჩვენ კომუნისტური მშენებლობის დიდმნიშვნელოვანი გამოცდილება შევიძინეთ. მზრუნველად უნდა გამოვიყენოთ ყოველივე დადებითი, რაც კი გვაქვს ჩვენს მუშაობაში...“

ამასთანავე კრიტიკულად უნდა მოვეყადოთ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვაქვს...

საქიროა — და ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს — ენერჯის მაქსიმუმი მოახმაროთ იმ საქმეს, რომ წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ მათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმა, დროულად ავამოქმედოთ ასამუშაველები ობიექტები, უზრუნველყოთ სახალხო მეურნეობის სტაბილური მუშაობა 1981 წელს — მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს. აქ, რა თქმა უნდა, თავისი როლი უნდა შეასრულოს ყრილობის აღსანიშნავმა სოციალისტურმა შეჯიკებამ“.

მანასადემე, სკკპ XXVI ყრილობისათვის აქტიური მზადების წელს კვლავ დღის წესრიგშია შექმნილი გამოცდილების მზრუნველად გამოყენება, ხარვეზებისა და ნაკლოვანებებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, ენერჯის მაქსიმუმის მოხმარება მინდობილი საქმისადმი, სოციალისტური შეჯიბრების როლის გაზრდა, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხიანობის ამაღლება. ეს საბაზო დავივები ერთნაირად გასატარებელია სულიერი და მატერიალური კულტურის სფეროებში, რასაც სერიოზულად ეკიდებიან რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირები და სახელონო ორგანიზაციები.

ყრილობისნა მზადება რესპუბლიკაში, ფაქტიურად, მიმდინარე წლის პირველი დღეებიდანვე დაიწყო და ნათლად აისახა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართებაში საბჭოთა საქართველოს მუშების, კომუნერების, სახალხო ინტელიგენციის, ყველა მშრომელისადმი, რომელიც 15 იანვარს გამოქვეყნდა რესპუბლიკურ პრესაში. მიმართავი ნათქვამია: „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მიმართავს მხატვრულ ინტელიგენციას და გამოთქვამს იმედს, რომ თავიანთი წინარეობებით ჩვენი მწერლები, თეატრისა და კინოს მოღვაწეები, შემოქმედებითი ინტელიგენციის ყველა რაზმის წარმომადგენლები, ისევე როგორც წინა წლებში, კვლავ დაიკავებენ თავიანთ პოზიციებს ხუთწლედის მოწინავე მიჯნაზე. მკაფიოდ და ღრმად ასახავენ სადაგი დღეების შრომითს პერიოდს, კონკრეტული ცხოვრებისეული მასალით გვიჩვენებენ საბჭოთა პარტიოტობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მაგალითებს. შთააგონებენ ჩვენს მშრომლებს ახალ მიღწევებს, ხელოვნების ძალის შემუშავით კვლავ სამარცხვინო ბოძზე გააკრავენ ყოველივეს, რაც ხელს ვეიშლის ცხოვრებასა და მუშაობაში“.

რესპუბლიკის ცხოვრების მუშავები აქტიურად ეხმარებიან პარტიის ყოველ მიმართავს, რომლებსაც მოჰყვა მრავალი მასშტაბური ღონისძიების განხორციელება. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ორი საკავშირო ღონისძიების ჩატარება თბილისში. ესენია—

მწერალთა საკავშირო შემოქმედებითი კონფერენცია, მიძღვნილი კომუნისტის სახის შექმნისადმი და საბჭოთა სასწავლო ხელოვნების დღეები საქართველოში. ორივე ღონისძიება ერთობლივად ჩატარებს მწერალთა და მხატვართა კავშირების საკავშირო და რესპუბლიკურმა ორგანიზაციებმა, რაც საბჭოეთის შემოქმედება მგლობრობის ნათელ დადასტურებად აღიქვა ყველა მონაწილემ. მსგავსი შემოქმედებითი კონფერენციები და პლენუმები შემდგომში გაიმართა შუშენსკოვსა და ხარკოვში, რომლებთანაც ერთი მიმდევნა ლენინიანის, ხოლო მეორე — მუშათა კლასის ცხოვრების მხატვრულ ასახვას.

გავლთა „პარადამ“ თავის მოწინავე წერილებში (1980 წლის 15.VI, 7.VIII) უაღრესად დადებითი შეფასება მისცა საქართველოში გამართულ ზემოხსენებულ კონფერენციებს. კერძოდ, მოწინავეში ნათქვამია: „ამგვარი ღონისძიებანი, უფეჭელია, უფართოებს ხელოვნების ზომიკმედების სფეროს, აფარო ეფექტიანსა და ქმედითს ხდის მის პროპაგანდას“, და ხაზია გასული მეთად საჭირო გარემოებისთვის: „ურიგო არ იქნება, თუ სკკპ XXVI ყრილობის წინ პარტიულ თემას მეტ ყურადღებას ყრილობენ სხვა შემოქმედებითი კავშირებიც“.

ასევე დიდი გამოხმაურება ჰპოვა მუსიკის ინტერნაციონალურმა ფესტივალმა აფხაზეთში და ვლადიმერი მაიაკოვსკის დღეებმა ქუთაისისა და მაიაკოვსკის რაიონში. ყრილობისათვის გაემოვა ახალი წიგნები, ინტერესა სიმღერები, მუსიკალური ნაწარმოებები, ოქმებმა მხატვრული ტილოები, სექტაქლები, კინოფილმები, დარწმუნებული ვართ, რომ ისინი ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის ღირსეული საჩუქარი იქნება პარტიის XXVI ყრილობისათვის“. — ნათქვამია ამხ. ე. ა. შეჯიკიდანის მოხსენებაში საქართველოს პარტიული აქტივის კრებაზე მიმდინარე წლის 7 ივლისს.

წინასაყრილობო პერიოდში მრავალი ღირსშესანიშნავი მოვლენის მოწმენი გავითვქვართ ხელოვნებაში, რაც დასტურებს მის სიმწვევას, წინსვლასა და აღიარებას. საკამარისია მოვიგონოთ XXII ოლიმპიური თამაშები მოსკოვში, რომლის მომზადებასა და უმაღლეს დონეზე ჩატარებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართული ხელოვნების წამყვანმა ძალებმა. მარტოს რად ღირს, რომ ოლიმპიადის მთავარი დირიჟორი იყო თბილისელი ოდისეი დიმიტრიადი; რომ საოლიმპიადი დაამსვენეს ქართველი მხატვრების — ზურაბ წერეთელსა და გიორგი ჯაფარიძის ნამუშევრებმა; რომ დიდი სიამოვნება მიანიჭეს მარტობრებსა და მსმენელს ჩვენი რესპუბლიკის მუსიკოს-შემსრულებლებმა, ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „ორგრა“ და... სპორტსმენებმა, რომლებთანაც იორმეტმა (თექვსმეტიდან) სხვადასხვა ხარისხის მედალი დაიმსახურა.

ქართველი კინემატოგრაფისტები ახალ, საგანგებო

ნამუშევრებს უძღვნიან სკკ XXVI ყრილობას, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რეჟისორ რ. ჩხეიძის ფილმი „რიაკომის მდივანი“ (სცენარის ავტორები ს. ჭლენტი და რ. ჩხეიძე). მას სწორედ ყრილობის დღეებში ნახავს ფართო მასურებელი. ასევე საინტერესო ჩანს ახალი მხატვრული ფილმი „ბრმა ტყვია“ (რეჟისორები ვ. კალატაზიშვილი და გ. გაბესკირია, სცენარის ავტორი ა. მაკაროვი), რომელიც ასახავს სამოქალაქო ომის გმირ ვასილ კიკვიძის ლეგენდარულ ცხოვრებას.

საინტერესოა, რომ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ წამყვანი თემაა თანამედროვეობა, დღევანდელი პოლიტიკური საკითხები და პრობლემები. ჭეშმარიტ გამარჯვებაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ქართულმა კინემატოგრაფისტებმა მიმდინარე ხუთწლიანი მთავარი პროზები დაისაკუთრეს ყველა საკავშირო კინოფესტივალზე, ხოლო მრავალი ფილმი აღინიშნა საერთაშორისო ფესტივალის პრიზებით.

ჩვენში დამკვიდრდა საგზაუბრო, მხატვრის კვირულთან დაკავშირებული და საშემოდგომო გამოფენებით სავსე ხელოვნებაში, ამას ემატება თეატრული და პერსონალური გამოფენები, რომლებზეც ნაილად იკვეთება შემოქმედის შინაგანი მხატვრული სამყარო და შემოქმედებითი შესაძლებლობანი. წილს რესპუბლიკას შეემატა ახალი საგაოფერო დარბაზის დიდებული შენობა კომკავშირულ ქალაქ ბორის ძე-ლაქეში, რომელიც X ხუთწლიდის დამამთავრებელი წლის შესანიშნავი საჩუქარია საქართველოს მშრომელთა თავისთვის. ყრილობისათვის ქართველი მხატვრები ამზადებენ სპეციალურ ექსპოზიციას. ცხადია, ისინი მონაწილეობას მიიღებენ X ხუთწლიდის შემაჯავებელ საკავშირო გამოფენაზე „ჩვენ ვაშენებთ კომუნიზმს“, „სპორტი — შვიდობის დესპანი“, ახალგაზრდულ და სხვა დიდ გამოფენებში.

საყრილობოდ ახალი დადგმებით შეივსება რესპუბლიკის თეატრის რეპერტუარი. წარმატებით ჩაიარა თბილისის რ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ჯალღეტის აკადემიური თეატრის გასტროლებმა აფხაზეთის ასსრ-ში, რომელიც იქვე ქართული მუსიკალური ხელოვნების ჭეშმარიტ ზეიშად და ორი მომძებლის ურდვევი მგებობის ნათელ დემონსტრაციად. შოა რუსთაფაის სახელობის საჩალმწიფო აკადემიური თეატრის წარმატებები საქვეყნოდ ცნობილია საზღვარგარეთის სცენებზე, რომელთაგან განსაკუთრებულად აღსანიშნავია გასტროლები ლონდონში. იოპარტის კოლექტივი კვლავაც აღწევს შემოქმედებით წარმატებებს. იგი ჯერ მოსკოვის მასურებელ წარუიარს რ. სტრუას ოთხ საოპერო დადგმას (ბ. ბრეტის „კავკასიური ცარცის წრეს“, უ. შექსპირის „რიჩარდ მესამეს“, მ. შატროვის „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“ და თ. ჭილაძის „როლი დანწყები მსახიობი გოგონასათვის“), ხოლო შემდეგ საგასტროლოდ ეწვევა საბერძნეთს.

ახალი სეზონის გახსნის წინ კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი იტალიის ქალაქ ბოლონიაში გაემგზავრა კომუნისტურ ეაშთ „უნიტას“ ტრადიციულ ფესტივალზე მონაწი-

ლეოზის მისაღებად. ეს ამ კოლექტივის პირველი გაგზავნა საზღვარგარეთ და, ამდენად, მეტად მნიშვნელოვანი ეტაპია თეატრის ცხოვრებაში. მარჯანიშვილის შემადგენელი მასურებელს უწევს ორი სპექტაკლი — ნ. დეუმბაძის „მე ვხედავ მზეს“, სოფოკლეს „ოიდიპოს დედამ“.

სწორედ საყრილობო მზადების წინა პერიოდში დაინიშნება თვის პირველ სეზონს დედაქალაქის ახალი დრამატული თეატრი — გლდანის თეატრი თბილისის ახალ, გლდანის რაიონში, რომლის რეპერტუარში დიდ ადგილს დაიკავებს ლანგედროვე თეატრითა.

შემოდგომა-ზამთარში მრავალი გაცვლითი კონცერტი ჩატარდება მოკავშირე რესპუბლიკებში ჩვენი ქვეყნის წამყვანი მუსიკალური, ქორეოგრაფიული, ვოკალური-ინსტრუმენტული, საცისტრადო, საცირკო კოლექტივების მონაწილეობით.

თუ მივუბრუნდებით საკითხს შექმნილ გამოცდილებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ვაკისებნით ხარვეზებისა და ნაკლოვანებებისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას, წამსვე ამოტიტივდება რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა.

მიმდინარე წლის 29 მაისს ანს. ე. ა. შვეარდნაძემ სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მხატვართა კავშირების გამგეობათა ზემოსსურეულ გავრთვებულ პლენუმზე.

ამს. ე. ა. შვეარდნაძემ გამოთქვა საფუძვლიანი კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც მუდამ უნდა გვახსოვდეს. ერთ-ერთი შენიშვნა ასეთია: „როცა მშრომელი ადამიანებს, სანარჩაო თემისადმი მიძღვნილ მხატვართა ნამუშევრებს ვაწალიხებთ, უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ მშენებლობაზე მივლინებულს უნდა გე შექმნილ წანარმოებთან შორის ჯერ კიდევ საკმარის ბერულ ნამუშევრები, რომლებიც მხატვრებს თვის აქტიულობის მიღმა ვეღარ აუხახავთ მშრომელ ადამიანთა მშენებრება და ზნობრივი ძალა. აქ გარეგნული ეფექტის მიღმა ხშირად იმედება კონსერტურა, მუშტრული მიდგომა ხელოვნების ამოცანებისადმი“.

ამს. ე. ა. შვეარდნაძემ დასაგმობად მიიჩნია საქართველოს ზოგიერთ რაიონში მშრომელთა უნიტარული ძეგლისა, უხარისხო პორტრეტების მონაწილეობა სუვენირების წარმოებაში, ნაკლები ყურადღების დათმობა სატირის, პოლიტიკური პლაკატის, საზავემო-სავემოლო წიგნის გაუორმებისადმი, მომგებთან შეკვეთებს გადაყოლილი ზოგიერთი მხატვრის მერკანტილიზმი, მომხვეჭლობისადმი მისწრაფება; დააყენა საკითხი მხატვრული კრიტიკის თვისებრივად გაუმჯობესებასთან დაკავშირებით და უსაყვედურა ჩვენს ხელოვნებისმცოდნეებს, რომ ისინი გატაცდებოდნენ არიან წარსულში, ცოტას წერენ თანამედროვე ხელოვნებაზე. მომხსენებელმა სამართლიანად უსაყვედურა რესპუბლიკის პრესას, სადაც „ძალზე იშვიათად ქვეყნდება კრიტიკული და ანალიზური პუბლიკაციები, ცალკეული მხატვრების, საზხატვრო ღონის, შემფასებელი კომისიების, გამორჩენის კომისიების მუშაობაში, მუშუდების საქმინობაში არსებული ხარვეზებისა



და ნაკლოვანებების შესახებ, ხელოვნების დარგში გადასაჭრელი პრობლემების შესახებ“.

ამხ. ე. შვებარდნაძემ სინანული გამოთქვა ზოგიერთი მხატვრის არასათანადო იდეურ-პოლიტიკური მომზადების გამო. აი, ეს ადგილიც: **„დღეს აღარ ემართა იყო უზრაოდ ნიჭიერი კაცი იმისათვის, რომ ეპოქის შესაფერის ღრუბულთვებს ეწინაღობა, დღეს მხატვარს განსაკუთრებით მართებს მაღალი ზოგადი კულტურა, ფართო პოლიტიკური თვალსაზიარებელი, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, ნოვატორული სულისკეთება.**

პირდაპირ გულს გტკივა კაცს, როცა ხედავ ნიჭიერ ადამიანს, ნიჭიერს და ამასთანავე პოლიტიკურად ნაკლებად მომზადებულს. გულსატკეპნი და დასახანია, თავრამ ფაქტია!“

ალბათ ამის ბრალია, რომ ზოგიერთი გამოფენა დღერიბია თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების ნამოჭრის თვალსაზრისით, ხოლო ახალგაზრდა მხატვრების შემოქმედებაში ჭეშმარიტ მიღწევებთან ერთად, შეინიშნება აშკარა მიმბაძველობაც კი, და იგრძნობა იერულ დაოკიდებულება ხანარმოების შიხარისისადმი. ასეთი ახალგაზრდა შემოქმედი უნდა ვაზიაროთ რეალისტურ ტრადიციებს და გავუღვიძოთ ინტერესი თანამედროვეობის მთავარი მოვლენების ამსახველი ღრმამინაარსიანი ნაწარმოებების შესაქმნელად.

ახლა ავიღოთ საკითხთა მეორე წრე, რომელიც ეხება სოფლად მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის მუშაობა უშუალო მონაწილეობას და მათიანი პარტიული ხელმძღვანელების ფორმების გამოყენებას. ამ საკითხებსაც სერიოზული ყურადღება მიაქცია ამხ. ე. ა. შვებარდნაძემ თავის სიტყვაში მევენახეთა და ღვინის მრეწველობის მუშაობა რესპუბლიკურ შეკრებაზე თემაზე (7. VI. 1980). აქ მან უსაყვედურა პარტიის რაიკომების მდივნებს, რომლებმაც კარგად იციან რაიონის ეკონომიკისთან დაკავშირებით მანვენებლები, „მეგრამ, თუ შევეითებთ, რა მდგომარეობა საავადმყოფოში, როგორ მუშაობს მუშათა სახადლო, სასოფლო კლუბი, ბიბლიოთეკა თუ სხვა დაწესებულება, შეიძლება გაცივებით შემოგხედოთ, თითქოს ეს მას არ ეხებოდეს“. და მოიყვანა რამდენიმე სავალლო მაგალითი, რომელთაგან ორი ასეთია: 1. „ბოლნისის რაიონის სოფელ რაჭისუბნის კლუბი მოთავსებულია ყოფილ საქათმეში, სადაც სულ 10 სკამია. დანარჩენი მაყურებლები კინოფილმებს ფეხზემდგომლები უყურებენ. წვიმიან ამინდში ჭერიდან წყალი ჩამოდის“. 2. „თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ასურეთის ბიბლიოთეკას ორი პატარა ოთახი უკავია, სადაც სახურავი დაზიანებულია. აქაც ჭერიდან წყალი ჩამოდის, კედლებიდან ბათქაში ცვივა და ა. შ.“

სამწუხაროდ, ეს ორი მაგალითი გამოჩაღლის არ გახლავთ. თურმე რესპუბლიკის ორასამდე სოფელს პულეობა ბიბლიოთეკა, ხოლო ბევრ სასოფლო კლუბსა და ბიბლიოთეკას აუცილებლად სჭირდება სასწრაფო შეღვა — კაპიტალური რემონტი, კეთილმოწყობა, გათობა ზამთარში (რის გამოც ადგილებზე სრულიად

წყდება ყოველგვარი მუშაობა) და, რაც მთავარია, ცხელი რეპერტუარი თუ კულტურულ ღონისძიებათა მაღალმხატვრულ დონეზე ჩატარება. სხვათა შორის, ამ მიზნით გამოყოფილი სახელმწიფო თანხები ხშირად აუთვისებელიც კი რჩება, ხოლო ათწლების მშრომელთა კულტურული მომსახურება და აქტიური პროპაგანდა ორივე ფეხით მოიკოჭლებს.

ამასთან დაკავშირებით თავიანთი სიტყვა უნდა თქვას რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელებმა, რომლებსაც ეკისრებათ უშუალო პასუხისმგებლობა. ამ საქმეში დიდია აქტიურ სოციალურ პოზიციებზე მდგომარეობის მხატვრის როლი, ვინაიდან ახლა „თითოეულ მშრომელ კოლექტივს მხატვარი, შემოქმედი ისევე სჭირდება, როგორც ინჟინერი, ფსიქოლოგი, დანერგებელი, სოციოლოგი, პედაგოგი, მუსიკოსი“ და როგორც რესპუბლიკის პარტიულმა ხელმძღვანელმა მიგვიჩინა, დროა შემუშავდეს ჩვენი ქალაქებისა და სოფლების მხატვრული გაფორმების ერთიანი გეგმა.

სოფლის კულტურის სახლების, კლუბების, ბიბლიოთეკების, საერთოდ კულტურის კერების გამართულ მუშაობას სწორედ ახლა, წინასაყრილობო მზადების პერიოდში ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ამხ. ე. შვებარდნაძემ საზეიმოდ პანაცხადა საქართველოს პარტიული აქტივის კრებაზე 1980 წლის 7 ივლისს, რომ „საქართველოს კომუნისტების სახელით, რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით ჩვენ სკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, პირადად ლეონილიას ძე ბრეჟნევის აღვუთქვით, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია პირნათელი წარსდება ყრილობაზე. მოგხსენებათ, რაოდენ პასუხსაგები განცხადებაა ეს“.

ცხადია, ასეთი განცხადება დიდად პასუხსაგებია ამიტომაც მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს მას საქართველოს თითოეული კომუნისტი, თითოეული მშრომელი, ვინაიდან იგი სწორედ მათი სახელითა და მხარდაჭერის იმედით წარმოთქვა რესპუბლიკის ხელმძღვანელმა კომუნისტთა ავტორიტეტულ ფორუმზე — სკკ ცკ-ის ივნისის პლენუმზე. ყრილობისათვის მზადება კი თავისთავად ნიშნავს მასობის მობილიზებას დიდი საქმეების გადასაწყვეტად, ვინაიდან „ყრილობის ისტორია — ეს, არსებითად, პარტიის ისტორიაა, ხოლო ყოველი ყრილობა საეპოქო მოვლენაა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში“.

აღმა-ათამი ახლახან გამართულ საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა ყაზახეთის სსრ და ყაზახეთის კომპარტიის მე-61 წლისთავს, ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი მხურვალედ მიესალმა საყრილობო შეჯიბრების მონაწილეებს და უსწრებო მათ დიდი წარმატებებით სამშობლოს საკეთილდღეო შრომში. ამასთან მან განაცხადა: „ძალიან კარგია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXVI ყრილობისათვის მზადება უკვე საქმედ იქცა არა მარტო კომუნისტებისთვის, არამედ მთელი ჩვენი ხალხისათვისაც“.

პროვნული მუსიკა — მუსიკალური კლგრის საუბრები

ოთარ თაქთაქიშვილი

ჩვენს ქვეყანაში, მის ფარგლებს გარეთაც მწვავედ დგას მუსიკალური განათლების მონწესრიგებისა და გაუმჯობესების ამოცანები. ამიტომაც, დღითიდღე იზრდება მუსიკალური აღზრდის საერთაშორისო საზოგადოების („ისმეს“) როლი. „ისმე“ მიისწრაფვის გაარკვიოს ამ სფეროში ცალკეული ქვეყნების მდგომარეობა. ამ პოზიციაში, რომელიც მისი მოღვაწეობის ამოსავალ წერტილად იქცა, საგრძნობლად გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა საზოგადოების წევრთა გამოცდილება, გამომდინარე ანალიზიდან. „ისმე“ საერთაშორისო გამოცდილების არა მარტო პროპაგანდისტი, არამედ კლასიფიკატორიცაა, რაც დიდ პრაქტიკულ დახმარებას უწევს იმათ, ვისი მიზანაცაა პედაგოგიური მეთოდოლოგიის სრულყოფა და განვითარება. „ისმეს“ ყოველი კონფერენცია მნიშვნელოვანი ბიძგია მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. „ისმეს“ IX კონფერენციამ, რომელიც 1971 წელს ჩატარდა მოსკოვში, წარმოაჩინა მუსიკალური განათლების საჭირობო პრობლემები, ჩვენს პედაგოგებს გააცნო სხვადასხვა ქვეყნის კოლეგების შეხედულებები და გამოცდილება. მას შემდეგ „ისმეს“ საბჭოთა სექციის მუშაობამ საგრძნობლად წინ წაიწია. მან სსრკ კულტურის სამინისტროს, სსრკ განათ-

ლების სამინისტროს, სსრკ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიისა და სსრკ კომპოზიტორთა კავშირის დახმარებით, შეძლო რსფსრ-ის ზოგადი განათლების 7000 სკოლაში დაენერგა მუსიკალური აღზრდის ექსპერიმენტული პროგრამა — შედეგი ენთუზიასტთა დაძაბული შრომისა. ეს პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე პედაგოგიურ მეცნიერების მიხედვით, ძირითადად ეყრდნობა რუსულ კლასიკურ პედაგოგიკას, უმთავრესად კი აკადემიკოს ასაფიევის მოძღვრებას.

„ისმეს“ საბჭოთა სექციის წარმატებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ საზოგადოების საპატიო პრეზიდენტს დ. კაბალევსკის, რომელიც თავის მიხედვით ეყრდნობოდა მშობლიურ და მსოფლიო მუსიკალური პედაგოგიკის მონაპოვრებს, მან გაითვალისწინა ჩვენი ქვეყნის — კერძოდ, რსფსრ-ს პრაქტიკული ატმოსფერო. კაბალევსკიმ ტელევიზიით ჩაატარა ღია გაკვეთილების ციკლი, რითაც დაამტკიცა ამ პროგრამის ცხოველყოფილობა. ექსპერიმენტული პროგრამა უზრუნველყოფილია მუსიკალური მასალით, ფართოა მისი ისტორიული და გეოგრაფიული საზღვრები, მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მისი აღმზრდელობითი იდეოლოგია. მიუხედავად ამისა, ამ პროგრამის მექანიკური

გადმოტანა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში არ იქნებოდა სწორი, ისევე როგორც კოდაისა და ორფის სისტემათა დოგმატური მიდევნება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და უნგრეთის საზღვრებს ვაერთ, საკუთარი სპეციფიკის გაუთვალისწინებლად.

ამრიგად, მიუხედავად მთავარ თემას — ეროვნულ კულტურასა და მის ზემოქმედებას მუსიკალურ აღზრდაზე.

მართლაც რომ უზარმაზარია საერთაშორისო გამოცდილება. მიუხედავად ამისა, არსებობს ისეთი საკითხები, რომლებიც ყველა ქვეყანაში დამოუკიდებლად უნდა დაამუშავოს. მათ შორისაა მშობლიური მუსიკალური ლიტერატურის, მეთოდის, ორგანიზაციის საკითხები. აქაც ინტერნაციონალიზმი უნდა მოქმედებდეს როგორც მთავარი და წარმართველი ინტელექტუალური ძალა — საკუთარზე დაყრდნობით უნდა ითვალისწინებდე და პატივს სცემდე მსოფლიოს პროგრესულ გამოცდილებას. სადღესოდა ეს აზრი უკვე საკმაოდ მომწიფდა.

წინამორბედ ეპოქებში, არცთუ ისე იშვიათად, სულიერი მოღვაწეობის ესა თუ ის დარგი კულტივიზირებასა თუ მოდერნიზებას იწყებდა მანამდე, ვიდრე მნივდებოდა თვითგამოხატვის გამოცდილება. ამას არ მოჰქონდა არავითარი შედეგი, უფრო მეტიც — ზოგჯერ ასეთნაირი განმანათლებლობის თვით ყველაზე კეთილ სურვილებსაც კი პრაქტიკული ზიანი მოსდევდა. პირადად მე ასეთ ლტოლვას დავარქმევდი „განათლებულ უფიცობას“.

მაგრამ ჩვენი ეპოქა, რომელიც ინტერნაციონალიზმს ამკვიდრებს, მობილიზებას უკეთებს როგორც განვითარებულ, ისე განვითარებულ ქვეყნების შგნებას, რათა ურთიერთპატივისცემით გამსჭვალული ძიების გზით მივიღეთ იმ ერთ საერთო ჭეშმარიტებასთან, რომელიც აღბეჭდილი იქნება მრავალფეროვნებით.

ამ გზით მოპოვებული მრავალფეროვნება მიუღწეველია ნებისმიერი ცალკეული ქვეყნისათვის. მაგრამ განა უნგრეთში ოდნავ მაინც შესუსტდა გერმანული ან ავსტრიული მუსიკის აღქმა იმის გამო, რომ ზოლტან კოდაი და ბელა ბარტოკმა მუსიკალური აღზრდის საყრდენებს საფუძველი ჩაუყარეს ეროვნულ მუსიკალურ კულტურაში? ამან მხოლოდ გაამდიდრა მუსიკის მსოფლიო საგანძური. მაღლიერი თანამემამუ-

ლენი ხშირად აღნიშნავენ შოპენის ღვაწლს პოლონეთის წინაშე, მაგრამ თანდათან სულ უფრო მკვეთრად ვლინდება ისიც, რაც შოპენს პოლონეთმა მისცა.

დღეს უმეტესობა ფიქრობს, რომ სიმღერა მუსიკალური აღზრდის მთავარი ელემენტია. სიმღერა დაკავშირებულია სიტყვასთან და იგი აერთიანებს მუსიკასა და პოეზიას, რითაც სახავს სწორ გზას ეროვნული კულტურის სულისმიერი სიღრმეებისაკენ.

სავსებით ვეთანხმები ღრმად პატივცემულ მენონს, რომელიც ამბობს: „ლაპარაკი მუსიკაზე, როგორც ინტერნაციონალურ ენაზე მეტისმეტად აპარტივეტს, აუბრალოებს საქმეს“.

იგი კი არ უპირისპირდება პროგრესულ ტენდენციებს, არამედ მისწრაფვის იპოვოს უფრო ორგანული გზები თავისი ხალხის მუსიკალური აღზრდის გასადრმაველად. მით უფრო, რომ მენონს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ მუსიკა ადამიანთა ურთიერთობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მძალადრი საშუალებაა.

თანამედროვე მუსიკოსი უნდა გრძობდეს თავის ისტორიულ პასუხისმგებლობას ეროვნული კულტურის წინაშე. იგი უნდა იძროდეს მისი ადვისა და დანივითარებისათვის. მან უნდა იცოდეს, რომ მისი შენარჩუნება შეუძლებელია მხოლოდ ორგანული განვითარების გზით.

ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ერთ-ერთ შესანიშნავ მაგალითს გვაძლევს თანამედროვე ესტონელი კომპოზიტორი ვ. ტორმისი, რომელიც ხალხურ სიმღერებზე დაყრდნობით ავიდა თანამედროვე პრობლემების დონეზე და ორგანულად დაუკავშირა თავისი ხალხის ცხოვრებას. სამაგალითოა, აგრეთვე, გამოცდილება ესტონეთის პიონერთა სახალხის გუნდისა, რომელსაც კალიუსტე ხელმძღვანელობს. ისიც ეყრდნობა თანამედროვე ესტონელი კომპოზიტორების შემოქმედებას და ამ გზით ეროვნულ ტრადიციებს აღლევს ახალ სუნთქვასა და ახალ სიმძაფრეს.

ასეთი მაგალითები მრავალადაა. ამ კუთხით მიწადა განვიხილო ჩვენი რესპუბლიკის გამოცდილება. პირდაპირ ვიტყვი — მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს ხალხური შემოქმედების უმდიდრესი ტრადიციები, გვყავს მონაწილე მოღვაწეები — პროფესიონალი მუსიკოსები, ჩვენ ზოგადი განათლების საშუალო სკოლებში ვერ შევქმენით მუსიკალური აღზრდის პარამნიული და მკვეთრად ჩამოყალიბებული სისტემა. ამისავე გამო, სპეციალური მუსიკალური აღზრდის სფე-

როში მოპოვებული მიღწევები ჰაერშია გამოკიდული. ჯერ ხარვეზებს შევხები. კომპოზიტორები ეროვნულ ტრადიციებს არ იყენებენ მუსიკალური განათლების საკეთილდღეოდ. თუმცა, ვიტყვი იმასაც, რომ ამ გამოცდილების გამომუშავება და ცვალოვნება მეტისმეტად ძნელია. განა ერთბაშად განდნენ ბახი, ჰაიდნი, მოცარტი, ბეთჰოვენი, თავიანთი შემოქმედებით რომ დაავიწყდნენ გამოცდილების თანდათანობით დაგროვების ის უზარმაზარი ეტაპი, რომლიან წიაღში ყალიბდებოდა აღმზრდლობითი დანიშნულების მუსიკალური ლიტერატურა. დღეს ეს ლიტერატურა, რომელიც გამიზნული იყო გერმანელთა აღსაზრდელად, საფუძვლად უდევს მთელი მსოფლიოს მუსიკოსთა აღზრდის პროცესს. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული ხალხური მუსიკალური მემკვიდრეობის გასაოცარნი სიმდიდრე, თავმოყრილი მრავალხმიანი სიმღერის ფარში, წარმოადგენს არა მარტო სტიმულს, არამედ სირთულესაც ამ ტრადიციების გადაზრებისათვის.

ხალხური სიმღერა იყო და არის ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. მის დაცვაზე, ფიქსირებასა და მეცნიერულ შესწავლაზე მუშაობდნენ გამოჩენილი ქართველი, აგრეთვე რუსი კომპოზიტორები და მეცნიერები. ხალხურ სიმღერას სწავლობდნენ ჯერ კიდევ შუა საუკუნეების ქართული საერო და სასულიერო კულტურის კერები, სადაც იზრდებოდნენ მუსიკოსთა თაობები. მათი წყალობით ქართველებს არ დასჭირვებიათ საეკლესიო რიტუალების შესრულების დროს უცხოელთა საგალობლების გამოყენება. დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვამ თავი იჩინა ჯერ კიდევ IV საუკუნეში, როცა საქართველომ მიიღო ქრისტიანობა. აქედან იღებს სათავეს ქართული ხალხური საერო და სასულიერო მუსიკის სტილური ერთიანობის იშვიათი ფენომენი. მაგრამ ეს შესანიშნავი აღმზრდლობითი ტრადიცია საგრძნობლად შესუსტდა ჩვენს წინამორბედ საუკუნეში.

პროფესიულ მუსიკალურ სასწავლებლებში, რომლებშიც ჩამოყალიბდნენ მე-19 საუკუნის მიწურულში. ხალხურ ტრადიციებს აღარ ასწავლიდნენ, რადგან ეს სასწავლებლები ნერგავდნენ, კომპიუტერის გზით, იმდროის სასწავლო პროგრამებს. მეფის თვითმკვრობლობამ გიმნაზიებიდან განდევნა არა მარტო ხალხური სიმღერა, არამედ მშობლიური ენაც, სწორედ ამ პირობებში წარმოიქმნა ქართული ხალხური სიმღერის აღმდგენელი კომიტეტი, რომელშიც გაერთიანდნენ პატრიოტი მუსიკოსები.

ეროვნული მუსიკალური კულტურისადმი ინტერესი გააცხოველა „რუსული მუსიკალური საზოგადოების“ საქმიანობამ. განსაკუთრებით კი ქართული პროფესიული მუსიკის ფუძემდებლების ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, მ. ბალანჩიშვილის მოღვაწეობამ.

სპეციალურმა მუსიკალურმა განათლებამ აყვავება განიცადა საბჭოთა ეპოქაში, რომელმაც მძლავრი ბიძგი მისცა კულტურის რესტავრაციას და განვითარების პროცესს. იმ დროს გამქრალი იყო სულიერი ცხოვრების ცალკეული დარგები, ეროვნული ხელოვნობის ჩვევები და ტრადიციები.

დღეს ჩვენს რესპუბლიკაში ხუთმილიონიან მოსახლეობას ემსახურება 160 სახელმწიფო მუსიკალური სკოლა, 13 საშუალო სპეციალური მუსიკალური სასწავლებელი, ზოგადი განათლების სკოლებთან გახსნილია 500 სასწავლო მუსიკალური ჯგუფი, მოსწავლეთათვის ეროვნული მუსიკალური ტრადიციების ათვისების მიზნით შექმნილია სპეციალური და დამხმარე სახელმძღვანელოები, კრეატიული სასწავლო პროგრამებში შეტანილია ქართული ხალხური მუსიკის პარამონია, დამუშავებული შესანიშნავი მკვლევარის შ. ასლანიშვილის მიერ. მან საქართველოს სხვადასხვა კუთხის საოცრად მრავალფეროვანი და თვითმყოფადი სასიმღერო შემოქმედების საფუძველზე მეცნიერულად დაასაბუთა ეროვნული მუსიკალური აზროვნების საერთო კანონზომიერებები და ჩამოაყალიბა მელოდიის, პარამონიის, რიტმის, ფორმის წარმოქმნილი თავისებურებები. ქართული პარამონიის ეს კურსი გვეხმარება მრავალხმიანი სიმღერის სპეციფიკის გარკვევაში. მასში განაწილებულია მრავალი ქართული სიმღერა — უმეტესად ქართულ-კახური, რომელთა საფუძველზე გამოკვნილია მთელი ქართული მუსიკალური ფოლკლორის შინაგანი კავშირები. ასეთიანად შედგენილი კურსი დიდ ეფექტს იძლევა.

ამასთან ერთად, ჩვენი რესპუბლიკის სპეციალურ მუსიკალურ სასწავლებლებში ფართოდ ინერგება სხვადასხვა ეროვნული სკოლების გამოცდილება. მსოფლიოს მუსიკალური კულტურის მიღწევაში, თანამედროვე საბჭოთა და საზღვარგარეთელი კომპოზიტორების შემოქმედება. ამ ფონზე უფრო მკვეთრად იხატება ზოგადი განათლების სკოლებში მუსიკალური აღზრდის არადაბაჰემაყოფილებელი სურათი.

დავინყებ კლასკარზე მუშაობიდან, რომელიც წლიდან წლამდე სულ უფრო ფართოდ ინერგება.

ამას მონაშობს მუსიკალური აღზრდის სტუდიების, სტუდია-გუნდების შექმნის იდეა, რომელიც სახას და პერსპექტივებს. ამ საქმის წამომწყებია ბულგარეთში შექმნილი სტუდია-გუნდი „ბოდრა სმენა“. ეს იდეა ჩვენს ქვეყანაშიც ვითარდებოდა. ასე გაჩნდა სტუდია „პიონერი“, რომელსაც გიორგი სტრუვე ხელმძღვანელობდა, და სხვა სტუდიებიც. ასეთი სტუდიები შეიქმნა საქართველოშიც, სადაც ისინი თავისებურად მუშაობენ. ასე, მაგალითად: მახარაძის რაიონის სტუდიაში ბავშვებს ასწავლიან ურთულეს გურულ სიმღერებს. ამ სტუდიის ფორმა საკმაოდ თავისებურია: იგი ხელმძღვანელობს მთელი რაიონის სკოლებს და კოორდინაციას უწევს საშუალო სკოლების, კომმუნერბოების, საჭოთა მეურნეობების მუშათა საქმიანობას.

ამ სტუდიის დაარსება უზრუნველყო რაიონის პარტიულმა კომიტეტმა, რომელმაც კომმუნერბოებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაავალა ხარჯები, რათა ქორმისტრებმა მოამზადონ ჯგუფები რაიონის ყველა (41) საშუალო სკოლაში. ამ სტუდიის კონსულტანტია გურული სიმღერების უზუცვი მცოდნე ვლადიმერ ერქომაიშვილი, რომელიც პუშკარს ქორმისტრებთან და რეპერტუარს უწევს კურირებას. წლის ბოლოს გამოვლინდებიან საუკეთესო ძალები, რომლებიც ნაკრებ გუნდში გაერთიანდებიან.

ჩვენი იმედი გვაქვს, რომ ეს სტუდია, რომელშიც ბავშვები დიდი გატაცებით სწავლობენ, შეგვიანარჩუნებს უნიკალურ გურულ სიმღერებს, დღესდღეობით მხოლოდ მოხუცთა მესხიერებას რომ შემორჩა.

სრულიად სხვა ტიპის სტუდიები მუშაობენ თბილისის მე-20 და მე-61 საშუალო სკოლებთან. ამ სტუდიებს ხელმძღვანელობს ელეონორა ექსანიშვილი, რომელმაც მის მიერ შედგენილ სასწავლო პროგრამაში შეიტანა ხალხური სიმღერები, ზღაპრები. მოთხრობები, ინსცენირებები. აქ კომპლექსურად ისწავლება მუსიკის ელემენტარული თეორია. იხვეწება და ვითარდება მუსიკალური სმენა, რიტმის გრძობა, იმპროვიზაციის ჩვევები. ამავე პროგრამაში სათანადო ადგილი ეთმობა საბჭოთა კომპოზიტორთა ნაწარმოებებს.

მესამე ტიპის სტუდია ჩამოყალიბებულია ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ ცენტრთან. იგი უახლოვდება მახარაძის რაიონის სტუდიას, თუმცა უფრო ფართოა მისი რეპერტუარი. აქ კადრებს არჩევენ საშუალო სკოლების მუსიკალურ გაკვეთილებზე. ამ სტუდიას ხელმძღვანელობს ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო ქორმისტი, ანსამბლ „რუსთავის“ მხატვრული ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი.

ამ სტუდიაში ჩამოყალიბდა შესანიშნავი საბავშვო გუნდი, რომელიც სამაგალითოა როგორც სიმღერათა შესრულების, ისე რეპერტუარის შედგენის მხრივ.

ამ გუნდმა გვაჩვენა თუ რა შესანიშნავ შედეგებს გვაძლევს სერიოზული, გააზრებული, კეთილმინდისიერი მუშაობა. ამ გუნდს, რომელსაც „მართვე“ ეწოდა, დიდი წარმატება ხვდა „ისმეს“ უკანასკნელ სესიაზე ვარშავაში, რის შესახებაც ვახუთმა „რესუტატი“ გავუწყა. მეოთხე ტიპის სტუდია ჩამოყალიბებულია ახალციხეში. მას შეფოხას უწევს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი და კულტურის სამინისტრო.

ამ რაიონის მრავალეროვნება მოსახლეობა სტუდიაში შეიყვანა 500-მდე მოზარდი. აქ გაერთიანებული არიან ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, უკრაინელები, ბერძენები. ისინი ერთად მღერნიან ყველა ეროვნების სიმღერებს. ეს კოლექტივი აძლიერებს ინტერაციონალიზმის გრძნობას არა მარტო მოზარდებში, არამედ უფროსებშიც, რომლებიც სიამოვნებით ესწრებიან მათ კონცერტებს. სტუდიას ხელმძღვანელობს კომპოზიტორი გ. სიხარულიძე და ადგილობრივი მუსიკალური სკოლის დირექტორი შ. ალთუნაშვილი.

დიდ აღზრდელობით როლს ასრულებს „ბავშვთა მუსიკის კვირული“, რომელიც ყოველწლიურად ტარდება მოსწავლეთა არდადეგების დროს. ეს გახლავთ თავისებური ანგარიში, რომელზეც მჭადანდება საშუალო და სპეციალური სკოლების ერთობიანი მუშაობის შედეგები. ამავე დროს, აქ ეწინააღმდეგება მუსიკის დარგში კომპოზიტორთა მიღწევებსაც. „საბავშვო მუსიკის კვირულში“ მონაწილეობენ მოზარდებიცა და პროფესიონალებიც. ორკესტრებისა და გუნდების პულტებთან ბავშვებს ცვლიან გამოცდილი ოსტატები.

ამრიგად, ზოგადი განათლების სკოლებში თანდათან იჭრებიან პროფესიონალთა ახალ-ახალი ძალები, რომლებიც ხელმძღვანელობენ თვითონაქმენი საბავშვო კოლექტივების დაარსებას პიონერთა სახლებთან და სასახლებთან, საქართველოს პროფკავშირის მხატვრული აღზრდის სახლებთან. ყოველივე ეს ერთგვარად მაინც ავსებს კადრების ნაკლებობას, რასაც ასე მწვავედ განიცდიან საშუალო სკოლები.

თუ შევაჯამებ ყველა ამ მოვლენას, მაშინ მივიღებთ საკმაოდ საინტერესო სურათს. მიუხედავად ამისა, საფუძვლიან გარდაქმნასა და გადასინჯვას მოითხოვს საშუალო სკოლებში დანერგილი მუსიკალური აღზრდის სისტემა — ვგულისხმობ სიმღერის გაკვეთილებს, რომელთა გაუმჯობესების, სისტემატიზაციის, მეთოდოლოგიური გააზრების მიზნით საჭიროა კვალიფიკაციური კადრების მოზიდავა, კომპოზიტორებთან შემოქმედებითი კონტაქტების დამყარება. საშუალო სკოლებს უნდა გაემოყვებინა პროფესიული მუსიკალური განათლების სფეროში მიღწეული წარმატებები.

ფიქრები რადიოქურონალისტიკაში

პეტრე შამათავა

რადიო ჩვენი პარტიის ერთ-ერთი მძლავრი იდეოლოგიური იარაღი, მასების კომუნისტური აღზრდის, ორგანიზაციის თვალსაჩინო საშუალება, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების, წარმართვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამიტომაც აქვს დიდი ძალა და ავტორიტეტი სიტყვას, ცოცხალ აზრს, რომელიც რადიოთი ისმის.

რადიო მთელი თავისი შესაძლებლობით, ზემოქმედების ყველა არსენალით აძლიერებს თავისი გადაცემების კონკრეტულობას, მებრძოლ, პარტიულ მგზნებარებას, რითაც აღწევს გადაცემების ქმედითობას, მათ ეფექტიანობას, ცხოვრებისეული, დიდმნიშვნელოვანი, მომწიფებული, აქტუალური საკითხებისა და პრობლემების გაშუქებას, ხელს უწყობს მათს დროულ და სწორ გადაწყვეტას.

საქართველოს რადიოს პროგრამებში მთავარია ჩვენი საბჭოთარი ცხოვრების წესის, განვითარებული სოციალიზმის მონაპოვართა, დიად უპირატესობათა, ქვეყნის განვითარების, მიმდინარე ხუთწლიდის სოციალ-ეკონომიკური პრობლემების, დავროვილი დადებითი გამოცდილების, მოწინავე საუეთესო მაგალითის პროპაგანდა, ამ გამოცდილების ისე ჩვენება, რომ ნათლად გამოიკვეთოს მისი არსი, ხელი შეუწყოს მის პრაქტიკულად გავრცელებას და დანერგვას.

ამასთან, რადიოს მუშაკებს ჩვენი საზოგადოების სამსჯავროზე გამოაქვთ არსებული ხარვეზები და ნაკლოვანებები, ნეგატიური მოვლენები, მწვეველ აკრიტიკებენ მათ, უჩვენებენ მშრომელთა კრიტიკული შენიშვნების გამოს-

წორებისათვის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზების მიერ გაწეულ მუშაობას, ამცნობს და ამკვიდრებს ყოველივე ახალსა და მოწინავეს.

ამ მიზნით რადიოს პროგრამები კარგად მოფიქრებულია, შინაარსიანი, მიმზიდველი, შემტევი, უფრო გასაგები რადიოს მსმენელებისათვის. გაიზარდა მრავალფეროვანი, ოპერატიული ინფორმაცია, მზადდება პრობლემური, ანტიკური, რადიომსმენელების წერილებში გამოთქმული შენიშვნების მიხედვით მომზადებული გადაცემები.

შესაბამისად იზრდება რადიოგადაცემების დონე, ხარისხი, აშკარა ხდება ინფორმაციის მეტი და მეტი ოპერატიულობა, ქმედითობა, საზოგადოებრივი უფრადობა. საკუთარი ხელწერის, ენისა და სტილის დახვეწისათვის მეტი ყურადღება და შემოქმედებითი მზრუნველობა.

რადიო საბჭოთა ადამიანების ინფორმირებისა და ზემოქმედების მძლავრი საშუალებაა. ამასთან, მას აქვს მრავალდარგოვანი, მრავალფეროვანი, სოველი აუდიტორიისათვის სტაბილური მისთვის შესაფერისი პროგრამა, ერთიანი პროგრამების მონაცვლეობით, ოპერატიულობით, თემატიკითა და ქანრობრივი მრავალფეროვნებით, რითაც ქმნის თავის კოლორიტულ, შემოქმედებით სახეს, თავის სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს, რაც განაპრობებს მის ადგილს ადამიანთა სულიერ საწყაროში, საბჭოთა საზოგადოების იდეურ-მხატვრულ ცხოვრებაში.

ბოლო დროს მნიშვნელოვანდ გაუმჯობესდა, გაძლიერდა საქართველოს რადიოს გადაცემები, მისი პროგრამები, გაუმჯობესდა თემატია, წინა პლანზეა რესპუბლიკ-

ის ეკონომიკური განვითარების, მისი იდეოლოგიური უზრუნველყოფის, შრომელთა იდეური აღზრდის, მათი მორალურ-ფსიქოლოგიური განწყობის ამაღლების მომწივებული საკითხების გაშუქება, მათი გახსნის, ასახვის ყანრობიერი მრავალფეროვნება, პუბლიცისტური ქელერაღობა, იდეურ-მხატვრული და პროფესიული დონე, მათი ქმედობითა, საზოგადოებრივი რეზონანსი. უფრო შინაარსიანი, საინტერესო, სადღესიო, ოპერატიული ვახდა: რადიოროგრამები, გასაგები და მიმზიდველი რადიომსმენელთათვის, საზოგადოებრივი რეზონანსი. უფრო შინაარსიანი, საინტერესო, სადღესიო, ოპერატიული ვახდა: რადიოროგრამები, გასაგები და მიმზიდველი რადიომსმენელთათვის, საზოგადოებრივი რეზონანსი. უფრო შინაარსიანი, საინტერესო, სადღესიო, ოპერატიული ვახდა: რადიოროგრამები, გასაგები და მიმზიდველი რადიომსმენელთათვის, საზოგადოებრივი რეზონანსი.

მნიშვნელოვანად ამაღლდა რადიომაუწყებლობაში მარქსისტულ-ლენინური თეორიის აქტუალური საკითხების, სკკპ ისტორიული გამოცდილების პრობანდის დონე, რადიოთი გამოსვლების, რადიოგადაცემების იდეური შინაარსი და ქმედობითა. ახლა უკეთ შექმდება საბჭოთა მუშათა კლასის, კომუნურენ გულხობის, სახალხო ინტელიგენციის მრავალმხრივი, მრავალფეროვანი ცხოვრება, მათი შემოქმედებითი მოღვაწეობა, საბჭოთა ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი მიღწევები, წარმატებები, მათი შემდგომი განვითარების იდეებუი პერსპექტივები. რადიომსმენელთა ფართო აუდიტორიის წინაშე განსახილველად გამოგავაქვს ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის სადღესიო საბოლოოები, საერთაშორისო მოვლენების მომწივებული საქონეები, უჩვენებთ საკითხებისა და პრობლემების საჯაროობის ლენინური პრინციპის პრაქტიკულად განხორციელებას რესპუბლიკის პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში. რადიოგადაცემები ხელს უწყობს პრინციპული, აშკარა, კონსტრუქციული კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლასა და განვითარებას. ახლა რადიოს მუშავეები მტკასუხისმგებლობას იჩენენ ფაქტებისა და მოვლენების გაშუქებისადმი, მკაცრი და ობიექტური მიღვამისადმი, დადებითი თუ კრიტიკული გადაცემების დასაბუთებისადმი, მტერი ყურადღებით ეყილებიან რადიომაუწყებელში მიღებულ წერილებს და, არცთუ იშვიათად, მათ მიხედვით მზადდება საქმიანი, საინტერესო, სასარგებლო გადაცემები.

მნიშვნელოვანად გაფართოვდა საქართველოს რადიოში საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისადმი მიძღვნილი ინფორმაციების თემტიკა, მათი მოცულობა და გეოგრაფია, რადიოს გადაცემების ინფორმაციული შინაარსი, რადიომსმენელთა ინფორმირებისადმი გამზინული მასალები, გამრავალფეროვნდა მათი მიწოდების ყანრები და ფორმატი, მტერი

ყურადღება ექცევა გადაცემათა სტილსა და ენას, ვცდილობთ დავცლით მრავალსიტყვიან და ფორმალაო, მივალწიო რადიოგადაცემების ოპერატიულობას, მათ დამაჯერებლობასა და მისაწვდომობას. ახლა გადაცემები ნაცლებად იმეორებენ ერთმანეთს, ცვდილობთ რადიოს დარგობრივ რედაქციებს ჰქონდეთ თავისი შემოქმედებითი სახე, ძირითადი განმსაზღვრელი თემები, ჰყავდნენ ღირსეული წამყვანი ავტორები, თავისი მუდმივი აუდიტორია. ამ მიმართულებით ბევრი რამ კეთდება გეგმზომიერად, თანამიღვერულად, ვაზრებულად, მოფიქრებულად, პროფესიული მიზანდასაცემებით, რაც მთლიანად შეენსაბამება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 26 აპრილის ცნობის დადგენილებას „რადიოკაიური, პოლიტიკური-აღმზრდელითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, მის მოთხოვნებს, სტულისკვთების. ბუნებრივია, ამას თვალსაჩინო შედეგიც მოჰყვა, კიდე უფრო აქტიური, მნიშვნელოვანი ვახდა რადიოგადაცემების პროგრამები, გამდიდრდა მათი პუბლიცისტური შესაძლებლობები, ვიზრდა მათი თემტიკური აქტუალობა, ყანრობიერი მრავალფეროვნება, პროფესიული შესაძლებლობა, მათი სრულად გამოყენების უნართა და შესაძლებლობით კიდე ვაერთაშორისო ვახდა რადიოს ოპერატიულობა, მის მიერ მასების ინფორმირების დონე.

საქართველოს რადიოს ყოველდღე, პირველი და მეორე პროგრამით, თხმთებზე მტერი ოპერატიული საინფორმაციო გამოშვება აქვს (საუთარი თუ საყავირო რადიოს საინფორმაციო გადაცემების ჩათვლით), რაც დიდ შესაძლებლობას ვაძლევს ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი სამშობლოს თუ საერთაშორისო ცხოვრების სადღესიო მოვლენების, ფაქტების, ამბების ოპერატიულად, იმავე დღეს სათქმელად, გასაშუქებლად. ამ შესაძლებლობას სრულიად უნარჩანად უნდა ვიყენებდეთ და ვიყენებთ კიდეც. ამ საქმეში რადიოს დღესაც ვერაფერი ეცილება, ვერაფერი უსწრებს, ესაა რადიოს ერთ-ერთი ძირითადი ნიშან-თვისება, მისი სპეციფიკა ჩასახვანად, დამკვიდრებლად დღემდე. ამით ვახდენა რადიოს დონე დღეს, ახლა დიდ მასობრივ ინფორმაციების სხვა სახეთა შორის.

რადიოპროგრამების შექმნაში აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკის მოწინავე ადამიანები, მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები, დეპუტატები, მეცნიერები, მწერლები, პუბლიცისტები, ყურნალისტები, მათი გამოსვლები, საუბრები სადღესიო პრობლემურ თემებს ეხება, საფუძვლიანად აშუქებს მათ და დიდი მოწოდებითა და პოპულარობით სარგებლობს რადიომსმენელთა შორის, დიდ მიწონებას იმსახურებს ხალხში.

„ტელევიზიის გაჩენით, — წერილ ამხანაგი ე.ა.შეყარდნაძე სტატიაში —, მოქალაქეობრივის აღზრდა“, — რადიოს ხომ სრულებითაც არ დაუყარვავთ თავისი როლი საბჭოთა ადამიანების მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, მათ პოლიტიკურ და ყუ-

ლტურულ განვითარებაში. არავის ექვს არ იწვევს აგრეთვე რადიომაუწყებლობის სოციალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოსახლეობის უღირსად ფართო ფენებზე. რადიომაუწყებლობა და ტელევიზია, როგორც ინფორმაციის არხები, პროპაგანდის ორგანოები და, თუ გნებავთ, გართობისა და დასვენების საშუალებებიც, არ ცვლიან ერთმანეთს“.

აქ უთუოდ ნათლად და სრულად ჩანს, განსაზღვრულია ამ ორი დიდწინაშეწევნილი ფენომენის, რადიოსა და ტელევიზიის არსი, დანიშნულება, შესაძლებლობა საბჭოთა ადამიანის იდეურ-მხატვრულ ცხოვრებაში, ისიც, თუ რით, როგორ აღწევს ჩვენი რადიო ამ მაღალ კეთილშობილურ ფუნქციას, მის მოვალეობას და ისიც, თუ რით, როგორ ასახავს ფრთხვად იგი თავის შთანაფქვსა და მიზანდასახულებებს — სწორედ მის შესაძლებლობათა უნარიანი გამოყენებით, მოფიქრებული, გეგმავითიერი შემოქმედებითი პროდუქციით, სამიკროფონო მასალებში ხორცშესხმული გადაცემებით, პრობლემეტიკის გონივრული, პროფესიული გახსნით, ქმედითი ეანრებითა და ფორმებით, პატიული პუბლიცისტიკის მებრძოლ ტრადიციებზე დაფუძნებული, საბჭოთა რადიოჟურნალისტიკის მონაპოვრებზე დაყრდნობილი, განვრცობილი ნოვეტრობით.

რადიოს შემოქმედებითმა, პოტენციურმა შესაძლებლობამ, მისმა სადღესო თემატიკამ, ეანრობრივმა მიმზიდველობამ, შემტევემა პუბლიცისტიკამ, მრავალფეროვანმა ინფორმაციულმა შინაარსმა, მისმა ახალმა სახემ „პიკის სათაო“, მუსიკალურმა პროგრამებმა, მისმა ე.წ. „ოქროს ფონდმა“, ლიტერატურულმა, დრამატულმა, სატრული-ლიტერატურულმა, საყმაწვილო, სახალგაზრდულმა პროგრამებმა დამაჯერებლად გამოაჩინა რადიოს ეგზომ დიდი შემოქმედებითი დიამაზონი, მისი შესაძლებლობები, რამაც დასაბუთებულად გააქარწყლა ცხოვრებას მოწყვეტილი ზოგიერთი ადამიანის აზრი, თითქოს რადიოს დღეები დათვლილი იყოს.

რადიოგადაცემების ხარისხი, მათი პუბლიცისტიკის პროფესიული დონე, სოციალურ-ემოციური დატვირთვა, საერთოდ, რადიოს სამიკროფონო მასალების ელტრადობა, თემატიკური შინაარსი, ეანრობრივი თავისებურებები, ცოცხალი სიტყვის ძალა, ქმედითობა, მხოლოდ ეთერში მოსმენებით აღიქმება, ფასდება ეს მისა ბუნებაა, დამახასიათებელი თვისება, დიდი გავლენა აქვს მართლ სიტყვას, რომელიც მიკროფონით ეთერში გაისმის.

ეს მით უფრო თქმის რადიოში მუსიკის, სიმღერის, პოეზიის, პროზაულ თუ დრამატულ ნაწარმოებთა, რადიოთეატრის სპექტაკლების მოსმენისას. ვითარდება ისეთი საშუალება რადიომაუწყებლობისა, რადიოს ხვალისდელი დღე, როგორცაა სტერეოფონიური რადიომაუწყებლობა. რადიოს მხატვრულ-მუსიკალური გადაცემების ეს მიმზიდველი სიახლე, თავისი უნიკალური ტრანსპარენტობის ხმის სიწმინდით, მკაფიოობით, სულ უფრო პოპულარუ-

ლია რადიომსმენელებში (ამჟამად საქართველოს რადიოში შევად საათის მოცულობით გადაცემა სტერეოფონური პროგრამები), როგორც ესთეტიკური სიმოთხების მომზიქებელი ფენომენი, რადიოში მშვენიერების შეგრძნების ახალი, სასიამოვნო ფორმა, რადიოს წიაღში ჩასახული და განვითარებული, ადამიანის იდეურ-ესთეტიკური აღზრდის, მისი მაღალი გემოვნების მასხარდოებელი საშუალება. სტერეოფონური რადიომაუწყებლობა ახლო მომავალში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სამეცნიერულ-შემეცნებით პროგრამებსაც ითვალისწინებს, რადიომაუწყებლობის ახალი ეტაპის, მისი შემდგომი სრულყოფის მაჩვენებელია.

ბუნებრივია, დიდია ასეთ სიახლეთა ზემოქმედებით ძალა, მათი ქმედითობის ეფექტიანობა; ეკრძობ, დიდი აუღრითობა, მკის რადიოს დოკუმენტურ-პუბლიცისტიკური და მხატვრულ გადაცემებს. ამიტომ, რადიოს შემოქმედებითმა მუშაებმა დაუზარებლად უნდა იმუშაონ ასეთი გადაცემების შინაარსის გასამდიდრებლად, მათი ეურნალისტიკური, პროფესიული დონის შემდგომი სრულყოფისათვის, ხოლო მათი გადაცემების მუდმივად მოსმენა, რადიო-პროგრამების პროფესიული ანალოზი იძლევა შეფასების სწორ საშუალებას.

მაგარა, რადიომაღაც, ამ სიახლესა და ძიებაზე ამ დარგის მეცნიერული აზრი დუმს, მათ ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომებიც უვლიან გვერდს. ამ პრობლემებზე ჩვეს პერიოდიკაშიც ბევრ ვერაფერს სახავთ. იქნებ ვერ ამჩნევთ, თვალურს ვერ აღგევნებ იმას, რაც ახალია და პროგრესული რადიომაუწყებლობაში, რადიოპუბლიცისტიკასა და რადიოს მხატვრულ თუ საინფორმაციო გადაცემებში.

შემოქმედებითი პროდუქციის, მისი მომზადების პრაქტიკის განსჯა, ანალოზი საუკეთესო საშუალებაა, საიმედო კონძასია გაწეული მუშაობის თვითკრიტიკული შეფასებისთვის, საქმის ვითარებაში ჩახედვისა და გარკვევისათვის.

თავისი უღირსად სადღესისო, საინტერესო, აქტუალური თემატიკით, მისი გახსნის, გაშუქების, წარმოჩენის თანამედროვე რადიოსათვის დამახასიათებელი ეანრობა და ფორმითი საქართველოს რადიო მოწინავე შემოქმედებით პოზიკიაზე დგას, პირნათლად ასრულებს „უქალაღლო და უმანძილო გაზეთის“ საპატიო, პასუხსაგებ მოვალეობას.

საბჭოთა ეურნალისტიკაში დამკვიდრდა ისეთი მოქნილი ეანრები, როგორცაა: რადიოპორტატი, რადიოინტერვიუ, რადიოინარკვევი, რადიომოთხრობა, რადიოფილმი, რადიოკომპოზიკია და ა.შ.

ბუნებრივია, ყოველ რადიოეანრს თავისი დამახასიათებელი ნიშნები, მიზანი და ამოცანა აქვს, რაც განპირობებს მათ თავისებურებებს, სპეციფიკას, თქვით, ამსულტურად არ ემოჯნება სხვას, არც უპირისპირდება მას,

ამასთან, ინარჩუნებს თავის ორიგინალურ სახეს, თავის-თავადობას.

ყოველი მათგანი საშუალებას აძლევს დახელოვნებულ რადიოჟურნალისტს ოსტატურად, თვალსაჩინოდ ასახოს, გახსნას, მიაწოდოს რადიომსმენელს ახალი, ცხოვრებისეული ტიპური ფაქტი, მნიშვნელოვანი მოვლენა, საინტერესო ამბავი, აჩვენოს, წარმოადგინოს მასში მონაწილე ადამიანი, მისი გონიერება, მისი მხარე, მისი სანიშნო სახე.

ეს ნაკადი, მოქმედი რადიოგენური ქანრები, უნარიანი, ნიჭიერი, ბეჯითი ჟურნალისტის, პროფესიონალის ხელში ჩინებულად ემსახურება თავის დანიშნულებას, შემოქმედებით ფუნქციას, უბრუნებელია ფაქტებისა და მოვლენების ცოცხალ, მეტყველო, დოკუმენტურ აღბეჭდვაში.

ამაზე დამაჯერებლად მეტყველებს საქართველოს რადიოს ნახევრასაუკუნოვანი შემოქმედებითი ცხოვრება, მისი მდიდარი გამოცდილება, თუნდაც, ეგზოზ საყურადღებო ბოლო წლების საგულისხმო ჟურნალისტური პრაქტიკა.

ახლა დიდმნიშვნელოვანი საქმეა მოვლენის ადგილიდან პირდაპირ ტრანსლაცია, ფაქტის, მოვლენის ოპერატიული კომენტირება, მისი დონე, ოსტატობაც უფრო მაღალია.

გადაცემებიც უფრო სადღეისო, აქტუალურია, მათი ქანრობრივი მრავალფეროვნებაც იზრდება, ვითარდება. მათზე რადიომსმენელთა აღფრთოვანებული წერილები, გამოსხმურებანი მოდის რედაქციებში, გაზეთებში ეხმარებათ ასეთ გადაცემებს. რამდენი სიტხი და გულისხმიერებაა ამ ბაზათებში, საშპოთა... ადამიანის ხსიათის, მისი მაღალი მორალის გამომხატველი...

ბუნებრივია, კანონზომიერიც, ყოველი მათგანი პროფესიულად ერთმანეთისაგან განსხვავებულია თემით, აღიბული, მიცვლელი ამბით, ფაქტური მასალით, მათში წარმოდგენილი, წამოჩენილი ადამიანები, მათი შინაგანი სულიერი სამყაროთი, მათი ხმით, საკმინაობით თუ ავტორთა მანერით, სტილით, მათი ვარი მოვლენის შეცნობით, გააზრებითა თუ თხრობის მანერით, ხელწერით.

რადიომსმენელს იზიდავს რადიოპროგრამების ეს ნაირსახეობა, თემატური ნაირფეროვნება და ქანრობრივი სხვაობა, ბუნებრივი მონაცვლეობა რადიოგადაცემებისა.

ვინ არიან ამ განსხვავებული თემისა და ქანრის გადაცემებში წარმოდგენილი ადამიანები, რა საყურადღებო ამბავი, მნიშვნელოვანი მოვლენა, საინტერესო ფაქტია მათში წარმოჩენილი, როგორია მათი საზოგადოებრივი ელურაობა, ეფექტურობა, მნიშვნელობა? რას აძლევს ხალხს, რაში გამოადგება ამ ადამიანის, შრომითი კოლექტივის მაგალითი.

ამ პირობით, მისი დამაჯერებელი ჩვენებით, გამმოცემით, მისი ოსტატური, პროფესიული გახსნით ფასდება

გადაცემის თემაცა და ქანრიც, მისი შინაარსი და ფორმა, ავტორის ჟურნალისტური ოსტატობა.

მართლაც, დღი შესაძლებლობა გააჩნია რადიოქანრს, რომელიც გვეხმარება, საშუალებას გვაძლევს სრულად, მიზიდიველად გავხსნათ ცხოვრებისეული სინამდვილე მის მრავალფეროვნებაში, მისი განვითარების ძირითად ტენდენციებში ოპერატიულად ავსახოთ იგი, საჭირო ინფორმაცია მივაწოდოთ, ხელი შევეწყობთ საზოგადოებრივი აზრის საჭირო მიმართულებით წარმართვას, ადამიანების შეგნებაზე მიზანსწრაფული ჴეგვლენის მოხდენას, ქვეყნის აქტუალური სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების პრაქტიკულად გადასაწყვეტად მასების დარაზმვას. ესაა მთავარი, არსებითი ჟურნალისტურ მოვალეობაში.

ასეთი უნდა იყოს ყოველი რადიოგადაცემა — შინაარსიანი, მიზიდიველი, ემოციური, დამაჯერებელი, მოსამენად წარმტაცი, აღფრთოვანებელი ადამიანებს ბაძავდენენ მოწინავეებს, თავდაც იყვენენ აღმშენებლობით სარბიელზე მოწინავე შემოქმედნი, ჩვენი ცხოვრების აქტიური მონაწილენი.

ამ თვალსაზრისით დამახასიათებელია, საყურადღებო რადიოს კოლექტივის, საქართველოს რადიოჟურნალისტების ბოლო დროის ასეთი ნამუშევრები, როგორიცაა: გარობელიძის რადიონარკვევები „მთისა და ზღვის სიყვარული“ და „დაღეჭიმი“, თ. აბულაშვილის რადიონარკვევი „ქვეყნის ბედი — ჩემი ბედიცა“, მ. გვეგშიძის რადიონარკვევი „გამაჩვიობა, ჩანისი ნამუშევრები, როგორიცაა: რადიომოთხრობა — „პანკოვების ოჯახი“, გ. თევზაძის რადიოფილმი „დაბადების დღე“, ჴ. ბაქრაძის გადაცემები „ქორწილი“ და „კახათური ქორნიკები“, ე. მიქაბერიძის რადიომოთხრობა „ამავეი აღმზრდელისა“, ლ. კიკლაშვილის რადიოკომპოზიცია „ნამღერი დანთო ქალისა“, პროფესორ ი. გვიგნიშვილის საუბრების ცილი — „ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის“, მეცნიერთა და პრაქტიკოსთა სჯაბაასი — „ჩვენი იმედი და მომავალი“ და ა. შ.

ამ რადიოგადაცემებში უთუოდ იგრძნობა, რომ ავტორებმა იციან რაზე წერონ, როგორ შეასხან ხორცი ალებულ მნიშვნელოვან თემს.

ყოველი მათგანი უთუოდ საგანგებო განხილვას იმსახურებს, როგორც ჟურნალისტური ნაწარმოები.

ჩვენი რადიოჟურნალისტების, დიქტორების, რეჟისორების, სპეციალისტების შემოქმედებით მუშაობას ინტენსიურად უნდა ადვენონ თვალყური მეცნიერ-სპეციალისტებმა, ამ დარგების თეორეტიკოსებმა, მათ ჩატარებული მუშაობიდან გარკვეული დასკვნები უნდა გააკეთონ და თვალსაჩინო გამოცდილებად უნდა აქციონ.

სხვა მხრივ ნებისმიერი, ზერიული, შემოქმედებით პრაქტიკას, ცხოვრებას მოწყვეტილი, კაბინეტური დარბევება რეკომენდაცია ფუტია. ძველი, მხოლოდ მეცნიერი წარმოდგენები, უსულო სქემები. სხვისადმი შეეჩინილი მიბაძვის სურული ბორკავს შემოქმედებით აზრსა და პრა-

ქტივას, რადგან ყურნალისტური, შემოქმედებითი სიხალღე, ნივთიერობა ვერ ეგუება, ვერ ითმენს სხვის შტამებს, იგი მიღმივად იზრდება, ვითარდება, მის ამ დინამიკს დინად, პროფესიულად უნდა ხელშეწყობა და წარმართვა.

ტრადიციული ციკლები, რუბრიკები და გადაცემები, როგორცაა: ხარისხი და ეფექტიანობა — მთავარი საზრუნავი, მოწინავე გამოცდილება — მასებს, მეგობრები გვიზიარებენ გამოცდილებას, მეცნიერები — სახალხო მეურნეობას, სიტყვისა და საქმის ერთიანობა, ორგანიზატორული და იდეოლოგიური შეუშაობის ქმედითობა, რადიომსმენელი განავარძობს საუბარს, სამშობლო განა მართო ლამაზი მთებია, ცხოვრების ანბანი და ა.შ. რომლებიც რადიოს შემოქმედებით ცხოვრებში დამსახურებულად, მსტიკედ დამკვიდრდა, რადიომსმენლების დიდ ყურადღებას იქცევს. მათ მოწონებას იმსახურებს ისეთი ახალი შემოქმედებითი სიხალღე რადიოპროგრამებსა და ყოველდღიურ პრაქტიკაში, როგორცაა — „ლიტერატურა შევხვდეთ სკვ XXVI ყრილობას“, „კომუნისტები“, „შეათე ხუთწლედის გასაშვებ ობიექტებზე“, „ჩვენი ლაშქარი“, „სიყვარული რადიოსადგურში“ — ჩვენი 21-ე საუკუნეში მიდევარათ, ნიშნორ წარმოვედგინოთ მომავლის ადამიანი, მისი სახე, ნიშან-თვისებები“, რადიოსადგური „სიკვებუე“. ეს გადაცემები უმთავრესად, ახალგაზრდა რადიომსმენელთა წერილების მიხედვით მზადდება. საგულესმნა რადიოსმენლები თემზე, ჩვენი იმედი და მომავლი“ (რესპუბლიკის მოსახლეობის გამრავლების აქტუალურ პრობლემებზე), რომელშიც მონაწილეობენ სოციალისტები, დემოკრატები, ექიმები, მრავალშვილიანი თუ ახალგაზრდა დედები და სხვ. გადაცემათა ციკლები „ოჯახი, სკოლა და საზოგადოება“, „სიყვარული, ოჯახი, შვილები“, „ლეკსო, ნუ დაიკარგები“ (ციკლი ქართული ხალხური პოეზიის ახალ ნიმუშებზე, მათ შემოქმედ ადამიანებზე), „ჩვენი კრიტიკული გადაცემების კვლადეკა“ (მშრომელთა მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების ქმედითობის თაობაზე) და ა.შ. ეს გადაცემები, ციკლები, რუბრიკები, უმეტეს შემთხვევაში თემებურად აქტიუალურია, მოწონების ფორმის მხრივაც ეფექტურია. შთამბეჭდავია, რადიომსმენელთა ფართო აუდიტორიას იზიდავს, კარგა ნაწილს უჭმის ადამიანებს, კეთილი საქმისათვის რაზმებს მათ.

ამაშიც ვლინდება რადიოგადაცემების ქმედითობა, მათი სოციალური ეფექტიანობა. ამას, პროფესიულ გამოკვლევასთან ერთად, რადიომსმენელების საქმიანი, გულთაღი წერილებიც დამაჯერებლად, თვალსაჩინოდ ადასტურებენ. ესაა ყურნალისტიაში ნამდვილი სიხალღე, შემოქმედებითი ძიების ოსტატობის ნაყოფი, რომელიც კვლავაც წინ, უკეთესისაკენ გვიხმობს.

დღეს რადიოყურნალისტიაში თვალსაჩინო, საინტერესო, ცხოვრებისეული, ეპრობორივი ოსტატობის სრულყოფის პროცესი მიმდინარეობს, ეპრობორივი გამოკვეთის

ნიშნები უკეთ ისახება, ამასთან, ისინი არ ეთიშებიან ერთმანეთს, მათი თანამოქმედება, შემოქმედებითი „თანამშრომლობა“ იგრძნობა. ეს საინტერესო და სასარგებლო პროცესია, იგი პროფესიული სიმწიფის მაჩვენებელია და შემდგომი სრულყოფისაკენ მისწრაფების დასტურია.

კარგად შერჩეული, მოვთქვრებული, ოსტატურად, პროფესიულად გახსნილი თემა, ბუნებრივია, იზიდავს, იყურებს რადიომსმენელის ყურადღებას, აფიქრებს, რაზმავს მას, დიდხანს ამახსოვრდება ცხოვრებაში, მას დიდი სოციალურ-ფსიქოლოგიური, საზოგადოებრივი დატვირთვა ეძლევა.

ასეთია, თუნდაც, ყურნალისტ ბორის შენგელის შთამბეჭდავი პუბლიცისტური ჩანახტი „ბალავერი“, რომელიც „სოფლის დილა“ ვადასცა. საბჭოური ცხოვრების ერთ ტიპიურ, ადამიანურ ამბავზე გაულოხად წერდა ყურნალისტი. მასზე ბევრი გამოხმაურება მიიღო რედაქციამ, მალობის ბარათები დღემდე გრძელდება, ყურნალისტებმა რეცენზიებიც დაწერეს. უშეალოდ, ორიგინალურად ითქვა სათქმელი, რის გამოც მსმენელმა გულთან მიიტანა ამბავიც და თემაც, ეს უკვე ნამდვილი წარმატებაა ვადაცემისა, მისი ავტორისა და რედაქტორისა, პროფესიული გონებამახვილობა და ყურნალისტური დახელოვნება.

მრავალთა სათქმელი პირველად აბაშელმა შრომის ეფეტრანმა, ცხრა შვილის დედამ, 28 შვილიშვილის ბებია მონა რეაგირებულმა თქვა, ხლო მისი სწორი აზრი ყველაზე უკეთ თიანელმა მანდილოსანმა, 11 შვილის დედამ ექნია სალირიშვილმა განზოგადა.

რადიოგადაცემა „ბალავერი“, მასზე დაწერილი ბარათები, რეცენზიები რადიოს შემოქმედებითი სიხალღის, მისი დიდი პოტენციური შესაძლებლობების მართალი, პროფესიული შეფასება და ეს ყველაფერი ბუნებრივად, სტიქიურად (ამ სიტყვის კარგი გაგებით) მოჰყვა ვადაცემას. რადიომსმენელებმა სიმართლ თქვეს და კარგადაც თქვეს.

გავზიადებული როდი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ ორი შესანიშნავი ადამიანის, შრომის ეფეტრანების, ქართული დღეების ბარათები უფრო მეტს გვეუბნება, ვიდრე ზოგიერთი ნაწარგი, გულმარჯვით, ტანდაბარული კონხეგობითა და სქემით მოწყობილი გამოკითხვა რადიომსმენელებისა თუ ზერელე სოციოლოგიური გამოკვლევა.

ასეთ შემოქმედებით ინიციატივას რადიოყურნალისტიკაში ნიჭიერებას და ტალანტს, ყურნალისტს, რედაქტორის დახელოვნებას, პროგრამების სრულყოფას, როგორც იტყვიან, მწვანე ქუჩა აქვს გახსნილი ჩვენს კოლექტივში.

ტივით თავისი მრავალფეროვანი პროგრამებით, გადაცემებით, მათი მოწოდების საშუალებებით ფორმებითა და ენარტით არავის იმეორებს, არც არავის ზამცის, იგი თანვისთავადია, ორიგინალური, გამოირჩევა თავისი სიტყვით, ენითა და სტილით, კვლადეკალ მიყვება დღელვარებ

ცხოვრებას, მომენტს, დრო-ჟამს, მის სადღეისო საჭიროებებსა და მოთხოვნებს. ესაა მისი ბედნიერი ხვედრი და მუდმივი საზრუნავი.

საქართველოს რადიოს ოთხი პროგრამა აქვს — პირველი, მეორე (სტერეოფონური), მხატვრულ-მუსიკალური და რადიოსადგური „თბილისი-268“. მეოთხე სადღეისოს 31 საათის მოცულობის პროგრამებში სამოც — სამოცდაათი პროცენტი მხატვრულ გადაცემებს უჭირავს — ლიტერატურულ, დრამატულ, მუსიკალურ, სატრეკულ-იუმორისტულ გადაცემებს. მათ შერჩევა, მომზადებას დიდი ყურადღება ექცევა. ძნელია ახლა მათი სრულად ვარჩევა-შეფასება. აღენიშნავ მხოლოდ, რომ ტრადიციულად მათ შერჩევა, მომზადებას საფუძვლად უდევს პრინციპი, რომ რადიოში, მეტროში პუბლიცისტიკასთან ერთად, ვადაი-ცეს მხოლოდ საუკეთესო, მაღალი ესთეტიკური გემოვნების დამამკვიდრებელი თანამედროვე თუ კლასიკური ნაწარმოებები, კომუნისტური მორალით გამსჭვალული, დიდი პუბლიცისტიკის მქონე მხატვრული ნაწარმოებები, ჭეშმარიტი ქმნილებები ლიტერატურისა და ხელოვნებისა. ვადაიც არაერთი კარგი სიმღერა, ოპერა, ლექსი, მოთხრობა, ინსცენირება, დადგმა, მათ შორის: გრიგოლ აბაშიძის რომანის რადიოსადგამმა „ციტენა“ (სამ ნაწილად), ვლადიმერ ალფინის რომანი — „ლეგენა — „ქართული ანანი“ (ოთხ ნაწილად), უკრაინელი მწერლის სტარტაკოვსკის მოთხრობა — „ცხოვრება და მოღვაწეობა მასწავლებელ სუხომონსკისა“ (ხუთ ნაწილად). ეს რადიოსადგამი კოლექტიურად მოისმინეს, ვაარჩინეს თბილისის 77-ე სკოლის (დირექტორი საბჭოთა კავშირის პირველი სახალხო მასწავლებელი გრიგოლ კობახიძე) მასწავლებლებმა და მაღალი შეფასება მისცეს მას. რადიოში ჩაწერილი ყველაზე მნიშვნელოვანი ლექსები, მოთხრობები, სპექტაკლები რადიოს „ოქრის ფონდში“ ინახება.

აგერ მეორე წელია გადაიცემა მეტად საჭირო და სასარგებლო ციკლი — „ქართული სალიტერატურო ენის სიწინდისათვის“ ამ დარგის თვალსაჩინო სპეციალისტების აქტიური მონაწილეობით. ეს ციკლი მიჰყავს პროფესორ ივანე ვაგინიშვილს. ციკლი ანალიტიკური ხასიათისაა, კარგისა და წყობის მხარდამჭერი და დამამკვიდრებელი. ცუდისა და მავნის დამამოცი. თვალსაჩინო მუშაობას ატარებს რადიო მეცნიერული მსოფლმხედველობის დამკვიდრებისათვის, ცურუმენათა, რელიგიური გადმონაშთების წინააღმდეგ, ამ მიზნით უნარიანად იყენებს თანამედროვე ბუნებისმეტყველების მიღწევებს, მხატვრული ლიტერატურის თვალსაჩინო ნიმუშებს, სპეციალისტების გამოკვლევებს და ა.შ.

მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ, ეროვნულ პრობლემას ეხება ის საქმიანი, კომპეტენტური მსჯელობა, რომელიც წამოიწყო საქართველოს რადიომ — რესპუბლიკაში შობადობის ზრდის, მისი ოპტიმალურ დონეზე აყვანის პრობლემებზე ციკლი — „ჩვენი იმედი და მომავალი“.

მასში მონაწილეობენ ცნობილი სპეციალისტები, მეცნიერები, სოციოლოგები, დემოგრაფები, ფსიქოლოგები. ექიმები, ეკონომისტები, მრავალშეიღონი დედაები, ახალგაზრდა დედაები და ა.შ. რომელმაც დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია.

ამ პრობლემას, შობადობის ზრდის და გამრავლების პრობლემას ორგანულად უკავშირდება ხალხის, ახალი თაობის ჯანმრთელობის დაცვის, ამაღლების საკითხი.

პროგრამირება რადიოსადგამებისა — ეს ხელოვნებაა, დიდი პროფესიული საქმე, პარტიული მოვალეობაა. გაეისხნეთ, თუნდაც, თემატიკური რადიოს დღეების მიმდინარეობაზე, დრამატულმა რედაქციამ მოამზადა და გადასცა თავად სპექტაკლი „რიჩარდ მესამე“, ხოლო შემდეგ მეოთხე გადაცემა მიუძღვნა რეჟისორ რობერტ სტურუსს შემოქმედებას. ამით ხალხმა, რადიომსმენელმა იცოდა რა მზადა ლონდონში, რა უჩვევს ქართველმა მსახიობებმა იქ, როგორ უჩვევს, ვინ ასახელა საბჭოთა საქართველო, აი, ასეთი მოთქვებულა პროგრამა, ინფორმაცია, რეპორტაჟი, სპექტაკლი, განსჯა სჭირდება რადიომსმენელს. ეს იყო რადიოს ლიტერატურულ-დრამატული მთავარი რედაქციის რედაქტორების, რეჟისორებისა და პროგრამისტების შემოქმედებითი თანამშრომლობის ნაყოფი და პროგრამირების დასაბახოვებელი კარგი მაგალითი.

რადიომუწეველობა თვისობრივად კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე უნდა ავიდეს, უნდა განვითარდეს დიდი ესთეტიკური საიმონების მომნიჭებელი სტრუქტურული მათემატიკა.

კვლავაც ვეპირებოდა დიდი, გულმოდგინე მუშაობა, რათა რადიომუწეველობა ავიყვანოთ ახალ, მაღალ დონეზე, სრულად პასუხობდეს დროის მოთხოვნებს, საბჭოთა დემიანების გამრდილ კულტურულ მოთხოვნებებს. როგორც დ. ი. ბრეჯნევა აღნიშნა, უნდა შევიჩვიოთ ისე წესად, რომ თითოეთურ ფაზაში ვაქსოვდეთ საკუთარ ცოცხალ აზრს, საკუთარ გრძნობებს, რათა თანამედროვეობაზე ისე ვწერდეთ, რომ საკუთარი კარმით შეძლებისდაგვარად დახმარება გავუწიოთ ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის პრაქტიკულ საქმეს. კიდევ უფრო მრავალმხრივი უნდა გახდეს პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მჭიდრო შემოქმედებითი თანამშრომლობა, მათი ერთობლივი კავშირითიერთობა, მასალების გაცემა. ამ მხრივაც საზრუნავი, საფიქრალი ბევრი გვაქვს.

ალბათ, დაკვირვებისათ, ჩვენს ირგვლივ
რა სწრაფად იცვლება შეფარდება „ნამ-
დვილ“ ბუნებასა და ეგრეთწოდებულ „მე-
ორე ბუნებას“ შორის, რომელიც ადამიანმა
შექმნა. შესატყვისად, ტრანსფორმაციას გა-
ნიცდის ამ მოვლენათა ესთეტიკური შეფასე-
ბა. სწორი კუთხეებისა და ხაზების, ხელოვ-
ნური მასალებისა და მანქანური ფორმების
სამყარო სულ უფრო და უფრო აძევებს ჩვე-
ნი ყოველდღიური გარემოცივიდან პირველ-
ქმნილ ბუნებას. მარქსის სიტყვებით თუ ვი-
ტყვით, ადამიანი თანდათან საკუთარ თავს
უფრო ჰერეტს მის მიერ შექმნილ სამყაროში.
საქმის ამგვარ ვითარებას საუკუნოვანი
ტრადიციები აქვს.

მხატვარი და გაკრემი

ევროპული ცივილიზაცია იდელად ისა-
ხავდა სწორი გეომეტრიული ფორმებისა და
ხაზების რაციონალურ მშენებრებას, ქალა-
ქებისა და პარკების რეგულარული სიმეტრი-
ების, პროსპექტებისა და გრანიტში ჩაქუდი-
ლი სანაპიროების სწორხაზოვნებას. ჩვენ
ლკვე მიეჩნეით ჩვენს ირგვლივ „მეორე ბუ-
ნების“ ამ „მეაცრსა“ და „მოყვანილ“ იერს
დაუუპირისპიროთ, თანაც უპირატესობის შეგ-
არძნებით, ბუნებრივი ლანდშაფტის ველური
სილამაზე. ვგულისხმობთ, რომ ბუნების ქა-
ოტურობა უნდა ავითვისოთ და დაუუმორ-
ჩილოთ ჩვენთვის სასურველ წესრიგს, რათა
ზივალწიოთ ესთეტიკურ ღირებულებას.

დღეს მთელს მსოფლიოში აშკარად ვლინ-
დება რეაქცია საწარმოო ცივილიზაციის
უარყოფითი მხარეების მიმართ, დიდი ქალა-
ქებიდან ბუნების წიაღისაკენ ლტოლვა, სიძ-
ველისადმი ინტერესი, ადამიანისა და გარე-
მის იდილიურ ჰარმონიაზე რომ მიგვანიმ-
ნებს.

ვლადიმერ ტოლსტოი

ცხოვრების უბრალო და ბუნებრივი წესე-
ბისაკენ მისწრაფება ახლა ყველგან იგრძნო-
ბა. ადამიანთა წინაშე გარდუვალად დადგა
კაცობრიობის მომავლის, ჩვენს პლანეტაზე
თვით სიცოცხლის არსებობის საკითხი.

მაგრამ ეს გლობალური ეკოლოგიური
პრობლემა სრულიად სხვადასხვაგვარად გა-
იზრება თანამედროვე სამყაროს ორი სის-
ტემის წარმომადგენელთა მიერ. — ერთმა-
ნეთს უპირისპირდება პათი კონცეფციები კა-
ცობრიობის შემდგომი ბედ-იღბლის თაობა-
ზე.

დასავლეთის სამყაროს მხატვრები, ასევე,
თავიებურად რეაგირებენ ეკოლოგიის მწვა-
ვე პრობლემებზე. ასე მაგალითად, 1978

წლის მთელი ვენციური ბენალე წარიმარ-
თა დევისით: „ბუნებიდან ხელოვნებისაკენ,
ხელოვნებიდან ბუნებისაკენ“. როგორ გაიგო
ეს დევიზი დასავლეთის მხატვართა უმრავ-
ლესობამ? იტალიური ყოველკვირეული „პა-
ნორამა“ აღწერს ამ საერთაშორისო მხატ-
ვრული დათვალეობების ზოგიერთ, განსაკუთ-
რებით თვალსაჩინო ექსპონატს. აქ შეგეძ-
ლოთ გენახათ ლურჯად შეღებლი ცოცხალი

ცხერის ფარა, ადამიანისა და საყველურშებმული ძალის ჩონჩხი, ორმეტრიანი მიწის ნაკრები სხვადასხვა ქვეყნიდან. შესასვლელში, მბოლო კედლის მიღმა, რომელიც იტალიელმა მოქანდაკემ მადრა სტაჩიელიმ ააგო, დამთავლებული ხედვებია ლითონის შემზარავ ტყეში, სადაც ყველა ხე რკინისგან გამოჭრილი და გამოდნობილი იყო... ცოცხალი და მკვდარი ბუნების ამ საგანგებო შერწყმაში, ბუნებრივი მოვლენების, მასალისა და ფორმის იმიტირებაში, მათი ჭეშმარიტი სილამაზის მოშლას და ბუნებაზე ძალადობის ჩოტ ზზგასას რომ ისახავდა მიზნად, შესაძლოა, ჩაქსოვილი იყო ღრმა გულსტიკივლი, ირონია და სასოწარკვეთაც კი... შესაძლოა, ამ მხატვრებს სუბიექტურ-კეთილშობილური მოტივებიც ამოძრავებდათ, მაგრამ მათი ქმნილებები ტონს აძლევდა მთელს გამოთენას და ობიექტურად, ამ ექსპოზიციის დედაზარი ცოცხალი ბუნებისადმი, მისი ჭეშმარიტი სილამაზისადმი უხეშობა აღაღობა იყო.

სასიკვლილო საფრთხე, თანამედროვე ცივილიზაციას რომ მოაქვს გამაღებელი შეიარაღებით, ეკოლოგიური კრიზისი და ბუნებრივი რესურსების ინტენსიური ხარჯვა სოციალიზმის ქვეყნებში იწყებს სულ სხვა რეაქციას: არა შოშხა და სასოწარკვეთას, არა ყოველივეს ბალავანურად ავლებას, არა (ქოვრების სართოლისაგან) უკან, გამოქვაბულებში¹ — ოაზრუნების გულუბრყვილო ცდას. ჩვენ კარგად გვესმის, რომ თანამედროვეობის ჭეშმარიტად უმნიშვნელოვანესი გლობალური პრობლემები, ადამიანისა და გარემოს ურთიერთობის პრობლემები დღეს მოითხოვს ხალხთა სოლიდარობას, კეთილი ნების ადამიანების სოციალურ აქტიურობას სამყაროს დასაცავად, კიდევ უფრო ენერგიულ ბრძოლას იმპერიალიზმის ანტიადამიანური პოლიტიკის წინააღმდეგ, თანამედროვე ცივილიზაციის მონაპოვართა კაცობრიობის ჭეშმარიტად ჰუმანური მიზნებისა და ინტერესების სამსახურში ჩასაყენებლად.

განვითარებული სოციალიზმის საზოგადოება თავის ერთ-ერთ მთავარ მიზნად ისახავს ბუნების სიმდიდრეთა დაცვას და გამრავლებას, რაც სრულ ახალ კონსტიტუციაშიც არის ჩაწერილი. ჩვენი დევიზია — ბუნების რესურსების არა მტაცებლური მომხმარებლობა, არამედ გონივრული გამოყენება გარემოს მეცნიერული შემეცნების საფუძველზე, ადამიანის საქმიანობის წარმართვა გლობალური


ეკოლოგიური სისტემის კანონზომიერი არსით. სულ უფრო ხშირად მივდივართ იმ უბრალო და ჭეშმარიტ დასკვნამდე, რომ ადამიანი და მისი მოღვაწეობა ბუნებრივ მოწყვეტილი და მასთან დაპირისპირებული როლია, საზოგადოება და ბუნება ერთი ეკოლოგიური სისტემაა, სადაც ორივე ნაწილი ერთიმეორისგანა დამოკიდებული, ერთმანეთს გარდაქმნის, ხელს უწყობს განვითარებაში.

იმისათვის, რომ ეს ჭეშმარიტება ღრმად აღიბეჭდოს ადამიანთა გონებაში და საზოგადოებრივი შეგების კუთვნილებად იქცეს, საჭიროა მისი ბეჭითი და თანმიმდევრული პრობავანდა, მათ შორის, ხელოვნების საშუალებებით. ახალი ეკოლოგიური პრობლემების სწორი გაგება ჩვენი მსოფლმხედველობის უმნიშვნელოვანეს ელემენტად იქცევა.

უკანასკნელი ათწლეულის ჩვენს ხელოვნებაში საყურადღებო პროცესები მიმდინარეობს, რომლებიც მოწმობს, რომ არქიტექტორები და მხატვრები, ასე თუ ისე, ეძებენ ამ პრობლემების გადაწყვეტის გზებს, ისწრაფვიან ბუნებასა და ადამიანის საქმიანობას შორის სწორი, ჰარმონიული ურთიერთობის დამკვიდრებისაკენ.

თუ არც ისე დიდი ხნის წინათ, 20-30-იანი წლების ადამიანებს ხიბლავდათ და ანკვირებდათ კოსმოსის დაპყრობის სურათები, სადაც პირველქმნილი ლანდშაფტის სილამაზე თანამედროვე ნავთობათა მკაცრ გეომეტრიზმს, ლითონის კონსტრუქციებთან აქვრების ურბანისტულ ესთეტიკას გაეციეებინა, ფერწერაში, გრაფიკასა და პოეზიაში კი მივილი დიდებულებები წარმოსახებოჯა ბუნების გარდაქმნილობის, ესტეტიკის დამპყრობის² სახე. მკვამად საზოგადოებრივი სიმპათიები სულ სხვა ესთეტიკური იდეალებისაკენ იწრება. ჩვენ სულ უფრო ვაფასებთ ადამიანის საქმიანობის ისეთ ნაყოფს, რომელიც არ უპირისპირდება ბუნებას, არამედ ბუნებრივად და ორგანულად ერწყმის მის ცოცხალ დორმებსა და რიტმებს; სოლო უთრის უცვლელ ბუნებისეული სიბრძნისაგან და ვცდილობთ თავს არ მოვახვიოთ მას ჩვენი ადამიანური საქმიანობის შედეგები.

XX საუკუნის მეორე ნახევრის არქიტექტორები ეძებენ უფრო სხვაგვარ მონახულებებსა და ფორმებს, ისეთს, როგორც ბუნებრივ ფორმოქმანდობას უახლოვდება. სწორედ მათში პოულობენ ისინი სიმბიზისა და სიმსუბუქის, ფერისა და მოცულობის გასაოცარ შესაბამეს, სივრცით გადაწყვეტის



პეილიონი „კატა“.

ისეთ მრავალფეროვნებას, რომელიც აცილებულია ბედანტურ რეგულარულობას და, ამავე დროს, ღრმად მიხანშეწონილი და კანონზომიერია. სულ უფრო მკვიდრდება არქიტექტურულ-მატერული ანსამბლების ახალი კომპოზიციურ-სივრცობრივი ხერხები, ხელოვნების სინთეზის ახალი პრინციპები, რომლებიც ერთსადმი მეორის დამორჩილებას კი არ ეფუძნება, არამედ თანაბარი უფლების, პარტიციპაციის თვისებურ კონტრაპუნქტს, შემადგენელ კომპონენტთა პარონიულ კონტრასტს გულისხმობს. ასეთ ანსამბლებში ყველაფერი გაანგარიშებულია არქიტექტურული გარემოს აღქმის მრავალფეროვან ასპექტებზე, სივრცეში გადაადგილებისას შთაბეჭდილების ცვალებადობაზე.

ჩვენს საგნობრივ გარემოცვაში რაც უფრო მრავალდება სტანდარტიზებულ სახეები, უფრო იზრდება მოთხოვნილება ერთგვარი არარეგულარული, ინდივიდუალური ფორმებისა, რომლებიც არღვევენ ჩვეულ სტერეოტიპს და ამით აქტიურებენ ესთეტიკურ აღქმას, სწორედ ამიტომ, თანამედროვე არქიტექტურულ კომპლექსში, რომელიც ძირითადად ერთი ტიპის ნაგებობებისაგან შედგება, განსაკუთრებულ ქალაქთმშენებლობით ღირებულებას იძენს სხვადასხვა სახის უნიკალური შენობები და მონუმენტები, ფორმათა საზგასმული „არარეგულარობით“ რომ გამოირჩევიან და უფრადლებს იქცევენ თავისი ფერით და პლასტიკური უჩვეულობით, „არასტანდარტულობით“. არქიტექტურისა და მონუმენტური ხელოვნების ასეთი უნიკალური ნაწარმოებები, ლანდშაფტის ბუნებრივ ფორმებთან ერთად, დიდი არქიტექტურულ-სივ-

რცობრივი კომპლექსის ორგანიზაციის მნიშვნელოვან კომპონიციურ ფაქტორად გვევლინებიან.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების საცხოვრებელ გარემოს რომ ვეწმით, ხელოვნების სინთეზის საფუძველზე ქალაქებისა და სოფლების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დროს ჩვენ ვისწრაფით იქითკენ, რომ ეს „მეორე“, ადამიანის მიერ ორგანიზებული გარემო ბუნებას კი არ დაუპირისპირდეს, არამედ პარონიულად შეერწყას მას.

ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი ეკისრებაო მხატვრებს. თუ ქალაქთმშენებლები და არქიტექტორები, ასე ვთქვათ, მატერიალურ საფუძეზე, ძირითადად „კარკას“ ჰქმნიან, სხვადასხვა სპეციალობის მხატვრები მათ ეხმარებიან ამ კარკასის გაცოცხლებაში, ახსნაობებზე ადამიანის მოთხოვნებთან, არა მხოლოდ უფრო მოხერხებულს, არამედ სასიამოვნოსაც ხდიან მას.

რა განპირობებს ქალაქის სივრცეების სიმყუდროვეს და ადამიანურობას? პირველყოელისა მუდამ ცოცხალი და მოხიემე „პირველი იარუსები“ — ნაგებობათა პირველი სართულები, თვალს რომ იზიდავენ ვიტრინების მკაფიო, ფერადოვანი განათებით, წარწერებით, „მცირე არქიტექტურის“ ნაირნაირი ფორმებით. სასიამოვნო სიმყუდროვეს ქმნიან მწყანე სკვერები და ყვავილები, ხეები და შადრევნები, საპარკო ქანდაკება, მოზაიკა და მათილია შენობათა ფსადღებზე... როცა ქალაქის სივრცეებში არ იგრძნობა ადამიანის მიერ გარემოს ათვისება და აქედან წარმოქმნილი სიმყუდროვე, მაშინ სახვითი ხელოვნე-



ბის ნაწარმოებები მკურნალებთან კონტაქტს ვერ ამყარებენ და მისთვის უცხო, მტრულ ელემენტადაც იქცევიან ქალაქის გარემოში.

თუ ცენტრალურ მოედნებსა და მაგისტრალებს დიდი, მონუმენტური ნაგებობანი, ძეგლები შეესატყვისება, მცირე სკვერებზე, საცხოვრებელ სახლებს შორის, აუცილებელია უფრო ინტიმური ნაწარმოებები: შადრევნები, სამახსოვრო დაფები, ფერადოვანი, მეტყველო პლასტიკა, მხატვრის ფანტაზიის სხვადასხვა ნაყოფი... გარემოს გარდაქმნის მონაწილე ამგვარი მხატვრული საშუალებანი მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ფუნქციას ასრულებს, განამტკიცებს ცხოვრების სოციალისტურ წესს.

ამ პროცესის შექმნე გვესურს შევეხოთ დღევანდელი არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებში მოვლენებს.

ბევრი მაგალითი შეიძლება დავასახელოთ 70-ანი წლების სხვადასხვა ეროვნული სკოლისა და სხვადასხვა დარგის პრაქტიკიდან, როცა ეკოლოგიური პრობლემები ამა თუ იმ ფორმით გამოიხატა, დაწყებული დოკუმენტური მამხილებელი ფაქტებიდან, საგაზეთო კარიკატურებიდან და ტრაგიკული ჟღერალობის ფერწერული ტილოებიდან, დამთავრებული გამოყენებითი ხელოვნების უამრავი ნაწარმოებით და დიზაინით, რომლებიც გარემომბუნების ჰუმანიზაციის თავის სპეციფიკურ საშუალებებს გვთავაზობენ.

ამ პრობლემების მხატვრული გადაწყვეტა


მრავალწინაგოვანი და ამოუწურავი წერილში მიზნად არ ვისახავთ საკითხის ყოვლისმომცველ გამოქვეყნებას. გვესურს შევეხოთ მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების მხოლოდ ერთ სფეროს, რომელიც, არქიტექტურასთან ერთად, უშუალოდ მონაწილეობს გარემოს საგნობრივ-სივრცობრივ ჩამოყალიბებაში.

საბჭოთა კავშირში სხვადასხვა ადგილას გაშენებულ არქიტექტურულ-მხატვრულ კომპლექსთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო კურორტ ბიჭვინთის კომპლექსი, რომელიც 60-70-იან წლებში იქმნებოდა მოსკოველ არქიტექტორთა და ქართველ მხატვართა თანამშრომლობით.

ბიჭვინთაში, პირველ ყოვლისა, ცისა და ზღვის უსასაღვრო სივრცეების მძაფრი შეგრძობა იწყობს ადამიანს, მალევე კორპუსების ზედა სართულებიდან გადმოსცქერის მიდამოს თუ სანაპიროზე მოსერილობს. სწრაფვამ იქითეც, რომ რაც შეიძლება მიუახლოვოს აღამიანი ზღვას და, ამასთან, შეინარჩუნოს სანაპიროს სიმდიდრე — ფიქვანარის ხეივანი, არქიტექტორებს უყარნახა ნაგებობები განილაგებინათ ხეივნისა და ზედა ვიწრო სანაპირო ზოლს შორის და მათი საფუძველი გაემარგებინათ ქვის საყრდენი კედლებით. მაგრამ ამ ექვანობა მინც ვერ დაიფარა შენობები ზღვის სტიქიონის შემოტევისაგან. 1969 წელს, უჩვეულო შტორმის გამო, თითქმის მთელი პლაჟი წაილეკა, დაინგრა საყრდენი კედლები, საფრთხე შეექ-

6. იგნატოვი

„სიმღერა საქართველოზე“, ბიჭვინთის საკურორტო დარბაზი. ფრაგმენტი



მნა ომი მაღლივი კორპუსის ფუნდამენტებს. ამჟამად მუშავდება პანსიონატ „ბიჭვინთის“ ნაგებობათა დაცვის ღონისძიებები. ამ კერძო შემთხვევაში ბუნებისა და ადამიანის საქმიანობის მარადიული წინააღმდეგობრიობის მავალით გამოვლინდა. ეს დაპირისპირება, კერძოდ, იმაში გამჟღავნდა, რომ არქიტექტურული ანსამბლის ჩანაფიქრი, რომელიც ბუნებასთან მაქსიმალურ შერწყმას და მის ჭეშნარჩუნებას გულისხმობდა, არ ეერდნობა შესატყვის მეცნიერულ და ინჟინრულ საფუძვლს. ამრიგად, ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის მხატვრულ-ესთეტიკურმა კონცეფციამ აქ მეცნიერულ-ტექნიკურ კონცეფციას არ გაუწია ანგარიში. მაგრამ ბიჭვინთის ახალი კურორტის პროექტირებისას დაშვებული ხარვეზები ჩრდილს სრულიადაც არ აყენებს მის არქიტექტურულ-მხატვრულ ჩანაფიქრს.

ბიჭვინთის არქიტექტურული სახის სიღამაზუნსა და თავისებურების დიდად განაპირობებს არა მხოლოდ არქიტექტურული, არამედ დეკორატიული კომპონენტები — სტელები, მოხატულობა, რელიეფები, მრგვალი ქანდაკება და სხვ., რომლებიც თავის ხმას უერთებენ არქიტექტურისა და ბუნების ჰარმონიულ ანსამბლს.

ყველა ამ ნაწარმოებს ერთი თემა ამათიანებს. ისინი გვიყვებიან ოქროს საწმინის ლეგენდარულ მხარეზე, კოლხეთზე, არგონავტებზე. ანტიკური ლეგენდის თემა ლაიტმოტივად გასდევს დეკორატიული გაფორმების ყველა ელემენტს, დაწყებული ბიჭვინთის ადმინისტრაციულ-სამეურნეო ცენტრის რელიეფებიდან, ცხრა მაღლივი კორპუსის ემბლემატიკიდან და სახელწოდებებიდან, დამთავრებული ბრინჯაოს უზარმაზარი სკულპტურული ჯგუფით „მედეა“, რომლის ავტორია ცნობილი ქართველი მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი. ამ ქმნილების საოცრად გამომსახველი სილუეტი ხან მკაფიოდ გამოიკვეთება ნათელი ცისა და ზღვის ფონზე, ხანაც თავისი მომწვანო ტონალობითა და ტალღებისმაგვარი ფორმებით თითქოს ერწყმის მის ფეხთით მოდგაფუნე ზღვას. მოქანდაკე ბრწყინვალედ აკავშირებს თავის ნახელავს გარემო პეიზაჟთან, ამ მხარის ისტორიასთან.


ლეგენდამ კოლხეთზე ორიგინალური ხორცშესხმა ჰპოვა ბიჭვინთის საზღვაო სადგურისა და საზაფხულო კინოთეატრის დეკორატიულ მორთულობაშიც. ზღვის სიღრმეების პოეტური სახე შექმნა მხატვარმა კ. ქოქიაშვილმა ამ კინოთეატრისათვის შესრულებულ კომპოზიციაში. კედური ლითონის ნოცულობითი ფორმები, ბროლიან შეხამე-


ბული, ქმნის მსხვილ ორნამენტს, რომელიც ზღვის ვარსკვლავებსა და კობორჩხალებს მოგვაგონებს. რელიეფებიდან კედლის გლუვ ზედაპირზე ლამაზი ჩრდილები ეცემა, დამით კი ეს კომპოზიცია კიდევ უფრო უჩვეულო და ზეიმურ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ბიჭვინთის ანსამბლის ერთ-ერთი მკაფიო და მნიშვნელოვანი ქმნილებაა ნ. ივანტოვის მონუმენტური ფრესკა „სიმღერა საქართველოზე“, რომელიც მთლიანად ფრავს კურჯალის უზარმაზარ კედელს. ეს ფრესკა არა მხოლოდ ბრწყინვალედ აწესრიგებს ფსიქოლოგიურ ვრცელ დარბაზს, არამედ მის ფარგლებს გარე სივრცესაც კი. მისი დათვალიერება შეიძლება შენობის ირველიც ფართო ტერასაზე და საანაბროს გასწვრივ სივრცეების დროსაც.

მომწვანო-მოყვავისფრო თბილ გამაში ტემპერით დაწერილი ეს ფრესკა, თავისებური დაქტორის წყალობით, შესანიშნავად გადმოსცემს მთავარების ხავერდოვნებას და თითქოს დრუბლებს ზევითა სიმალიდან დანახული პანორამის შთაბეჭდილებას ქმნის. ამ მოხატულობას დეტალურად ქირდება თვალთერება და მაშინ თქვენს თვალწინ გადაიშლება ახალ-ახალი მშვენიერებანი, ფრესკა აღვილ-დაღიმება მთლიანობაშიც — იატაკიდან ჭერამდე, დიდი სიმაღლის, დიდებული სივრცეების შეგრძნებას ბადებს თეთრი დრუბლების ფთილები, ალაგ-ალაგ მათაა მწვერვალების ზემოთ რომ მიცურავენ. ბარაქიანი ქართული მიწა მაყურებლის წინაშე ამზურებს თავის სიმდიდრეებს.

ბიჭვინთი.





პავლიონი „რვაფეხა“.

ფლორასა და ფაუნას, მრავალსაუკუნოვან იეგლებს...

ნ. ივანტოვის მოხატულობის სტილისტიკა არაჩვეულებრივად ორგანულია. იგი გამსჭვალულია ხალხური პოეტური ტრადიციების ცხოველყოფელი სულით, ამავე დროს, საოცრად თანადროულია თავისი ფერწერულ-კომპოზიციური გადაწყვეტითა და შინაარსით. მასში იშვიათი სიღრმითა და პოეტური წვდომით უღერს ბუნებისა და ადამიანის ურთიერთპარპონის დიდი და მარადიული იდეა, ცხოვრების მუდმივი ბრუნვის კანონზომიერების აზრი.

თავისი ნაწარმოებით მხატვარი მოგვაგონებს, რომ ბუნება არა მხოლოდ ყოველივე არსებულის დედა და სიკაცობის წყაროა დედამიწაზე, იგი ადამიანებში აღვიძებს სილამაზის შეგრძნებას, რის გარეშეც არ შეიძლება წონასწორობა შეიქმნას ადამიანის შინაგან სამყაროსა და გარემოს შორის. ბუნებრივ და სოციალურ ძალთა პარპონის შენარჩუნება კი კაცობრიობისა და მისი კულტურის შემდგომი პროგრესის საწინდარია.

თანამედროვე ქართული ხელოვნების ეს და სხვა დამახასიათებელი ნაწარმოებები ქმნიან ერთიან მიმართულებას, რომელიც არა მხოლოდ სახეით შემოქმედებაში გამოვლინდა, არამედ ლიტერატურაში, პოეზიაში, თეატრში, კინოში. გავიხსენოთ თუნდაც ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა თ. ჭილაძის რომანი — მითოსი ოქროს საწმისზე „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, ა. სულაკაურის მოთხ-

რობა-ზღაპარი „სალამურის თავგადასავალი“ ე. ახვლედიანის „თანამედროვე ზღაპრები“ აგრეთვე, მეტაფორული მნიშვნელობის კინოპოემები და კინოგაგები — თ. აბულაძის „ნატერის ხე“, ო. იოსელიანის „იყო შაშივი მგალობელი“, გ. დანელიას „არ იდავლი“, ე. შენგელიას „შერეკილები“ და სხვ. აღსავეს ხალხური იუმორითა და ხალხური სიბრძნით.

ფოლკლორის ცხოველყოფელი ძალითაა ნასაზრდოები ქართული ხელოვნების კიდევ ერთი საინტერესო მოვლენა, რომელიც ბიჭუნთის არქიტექტურულ-მხატვრულ კომპლექსში შეის. ეს გახლავთ გვარაბიჭუნთის გზატკეცილზე განლაგებული ორიგინალური პავილიონები. ნაგებობანი არქიტექტურის, ქანდაკების და ფერწერის თავისებურ სინთეზს წარმოადგენს, სადაც მხატვრის შემოქმედებითი ფანტაზია გარემო-პეიზაჟის ბუნებრივი ფორმების მშვენიერებას შეერწყა. ეს პავილიონები, ტიპოლოგიური კლასიფიკაციის თანახმად, ე. წ. მცირე არქიტექტურულ ფორმებს მიეკუთვნება, რომლებიც საერთოდ ჩვენი ქალაქმშენებლობითი მეურნეობის სუსტი ადგილია. მაგრამ, ჩანს, რომ, თუკი საქმეს გულიანად მიუდგები და ადამიანისთვის სისხარულის მიჩნეებას განიზრახავ, თითქოს ამ უიმედოდ კომპრომენტორიანულ სფეროშიც შეიძლება შექმნას საინტერესო და პრინციპულად მნიშვნელოვანი რამ. ამაზე მეტყველებს ის ავტოპავილიონებიც, რომელიც ხალხმრავალ საკურორტო გზატკეცილზე გამოიჩნდა. ფორმისა და ფერების მხრივ უჩვეულო, მზეზე მინანქარით მბზინავი ეს ნაგებობანი მასწინე იპყრობენ ყურადღებას. პავილიონის ავტორები არიან მხატვრები ზ. კაპანაძე, ნ. მალაზონია, ზ. ლეჟავა, არქიტექტორები—გ. ჩახავა (ხელმძღვანელი), ზ. ჯვალაონია, ი. ბიზი-აშვილი, გ. ბერიძე, თ. ჩარქეიშვილი.

პავილიონებს ორ ძირითად ჯგუფად იყოფა, ერთი ჯგუფი სახსრეთ საქართველოს ტრადიციულ გლეხურ სახლს მოგვაგონებს. ქვის დახალ საფუძველზე ღია ფარშრეა, ფართოდ განლაგებული ხის ბოძებით, კრამიტით გადახურული. ამ გულრეა-საჩრდილობის მთელი უკანა კედელი ფერადოვან კომპოზიციის უქირავს.

პავილიონების მეორე რიგი თავისებურ ზომორთულ ნაგებობებს წარმოადგენს. მათ ტალღოვან მოხაზულობასა და ფორმაში ანვილად შეიქნობა ხან ჭრელზოლებიანი კატასახასიათო მოძრაობით, ხანაც უწყინარი სპილო, ხანაც თავის მცოცავებზე შემდგარი რვაფეხა. ეს მსგავსება ასოციაციურია და ცვალებადიც, სხვადასხვა წერტილებიდან სხვადასხვა ცხოველს თუ ფრინველს მოგვა-

გონებს. ის, რომ ეს გამოსახულებანი ილუსტრაციული კი არა, ამ თემაზე მხატვრული ფანტაზიის თავისუფალი თამაშია, მაყურებელს აიძულებს შეხედოს მას არა ისე, უბრალოდ, როგორც „თავსუემოთ ვერს“ ან კონკრეტულ ცხოველს, არამედ იუმორით, კეთილ ღიმილთ შეფერვის მისი აღქმა. ჩვენ იგი შეიძლება მივიჩნიოთ ერთგვარ „გამართობ ქანდაკებად“, რომელსაც ასე ადვილად „გათავისებენ“ ხოლმე ბავშვები.

იმპროვიზაციის შეგრძნების ბადებს და წარმოსახვას მდიდარ საზრდოს აწვდის ამ უჩვეულო ქანდაკებებისა თუ არქიტექტურული ნაგებობების თვალსათვის სასიამოვნო კოლორისტული ვადაწყვეტაც, მოულოდნელი შეფერილობითა და ორნამენტაციის ორიგინალური რიტმით.

კაცმა რომ თქვას, თითქოს რა შუაშია აქ იუმორი და სახუმარო სიტუაცია, თუკი საქმე ეხება გარკვეული ფუნქციური დანიშნულების ნაგებობებს, ავტობუსის, მოლოდინში ადამიანებისათვის მშისა და წვიმისაგან თავშესაფარს, მაგრამ ეს სწორედ ასეა, თუკი იუმორს ამ სიტყვის ყოფითი მნიშვნელობით კი არ გავიგებთ, არამედ როგორც ღირსებას, ადამიანური საქმიანობის ყოველ მხარეს რომ მსჭვალავს და ახლისქნალობის ბუნება გააჩნია. მართლაც, ადამიანს, მისი ასაკისაგან დამოუკიდებლად, ახასიათებს ბუნებრივი გარემოს ელემენტების ფანტაზიით გადასხვადვრებული საწყაროს ქვრედა. თავისი იერით ეს სრულიად მოულოდნელი, პარადოქსული ნაგებობანი თანამედროვე რამდენადმე მშრალი და სტანდარტიზებული არქიტექტურის გვერდით მეტყველ და მკვეთრ კონტრასტს ქმნიან, თითქოს ამსხვრევენო სტერეოტიპს.

პავილიონები. მშვენივრადაა ჩაწერილი გარემო-ბუნებაში და შორეული მთების დატალღულ რიტმს, ხეების ქორორს, პატარა

ტბის მიტვეულ-მოხვეულ სანაპირო ზოლს ეხმიანება. სწორედ ტბასთანაა წამომართული ზღაპრული ოაფენავც.

ხედველობაში უხვად მივიღოთ, რომ ეს თავისებური „ბიოფორმები“ არა მხოლოდ საინტერესო დეკორატიული ღირსშესანიშნაობაა, ტურისტების თავმესაქცევი ამ გზატკეცილზე, არამედ იგი კონსტრუქციული და ტექნოლოგიური თვალსაზრისით საგულისხმო თხელველიანი ბეტონისა და მრუდღახოვანი პროფილების ნაგებობაა. იმასთან, ეს პავილიონები ფუნქციურად მიზანშეწონილი და მოხერხებულია ამ ადგილზე. იქ საიმედოდ შეიძლება შუაფარი თავი მცხუნვარე მშესა თუ კოკისპირულ წვიმას. პავილიონის შიგნით მოწყობილ ხერგობების სისტემის წყალობით აქ მუდამ იგრძნობა ჰაერის მოძრაობა, მაშინაც კი, როცა ვარეთ სულსშემხუთველი სიტყვა.

ძალზე საინტერესოა ორი მხატვრული პანო, რომელიც ამჟობს პავილიონ-ფარდულებს „ოქროს საწმისი“ და „ქართული ხალხური იგავ-არაგები“. ეს ფერწერული პანოები ასევე გამოირჩევა ნიჭიერი იმპროვიზაციულობით. მათში ვერ ნახავთ ვერც სწორხაზოვანულ ილუსტრაციულობას, ვერც სიძველის დამძიმებულ, „სერიოზულ“ სტილიზაციას. ქართული ფოლკლორისადმი მიძღვნილი პანო ერთ ფრიზულ კომპოზიციაში გაერთიანებული ექვსი ეპიზოდისაგან შედგება. ამ თავისებური იგავების პერსონაჟებში არავერია ცრურთმანტიკული ქართული ეგზოტიკისა, რაც, ბოლო დროს, ხშირ შემთხვევაში, ამგვარ დეკორატიულ პანოთათვის ნიშანდობლივად იქცა. ჩემის აზრით, მხატვრებს ამით სურდათ ხაზი გაესვათ გამოსახულებათა პირობით-ალეგორიული ხასიათისათვის. იქაც კი, სადაც იგავ-არაგების ტექსტი გულისხმობს სიყვარულის თემს და დრამატულ კოლონიებზე მინიშნებას, ესედავთ მხიარულ

ესკიზი პანოსათვის „ქართული ხალხური იგავ-არაგები“





გოგონებსა და ბიჭებს, ცხოვრების სისხლი-
სით არასვსე იდილოურ სცენებს, ლაკონურ,
იუმორით გამსჭვალულ დეკორატიულ ნა-
ხატს. სილუეტების მეტრეული ხაზები, სუფთ-
თა ფერების ნათელი პარონია, სიუჟეტური
სიტუაციების სისადავე გამოარჩევს ამ სუ-
რათებს. კომპოზიციამ ორგანულადაა ჩაწ-
ნული ქართული წარწერები. ყოველივე ეს კი
გამოხატულია იშვიათი სილამაზის დიალურჯ
ფონზე, რომელიც მტკიცედ „იჭერს კე-
დელს“, იგავების გამოსახულებები არ გა-
დაპყავს ჩვეულებრივი ყოფითი ამბის პლან-
ში. ამ პანოების ფერწერულ-დეკორატიულ
ეფექტს დიდად განაპირობებს პრიალა-ემა-
ლისებური ფაქტურა, რომელიც მიღწეულია
შესრულების თავისებური ტექნიკით. ეს
ფაქტურა მხატვრებთან (ნ. მავაზონია, ნ.
კაპანაძე, ზ. ლევაძე) თანამშრომლობით და-
ამუშავეს მოსკოვის მახლობლად, ცარიცინოს
ლენინის სახელობის შუშის ქარხნის ტექნო-
ლოგებმა და ინიცირებმა (ა. ბიკოვი, ტ. სირო-
ვეტოვი, ი. ფეოდოროვი და ა. დროზდოვი).
თავის ამ ახალ ტექნიკას მათ უწოდეს „პა-
ლიტრა“. აქ, არსებითად, ახალი სახით აღორ-
ძინდება იუველური ხელოვნების უძველესი
და უყვითლოზობილესი ტექნიკა — ტიხრული
მინაქარი, რომელიც ამჯერად არა მინიატურ-
რული, არამედ მონუმენტური სამუშაოები-
სათვის იქნება განკუთვნილი. მოსკოვის სა-
გამომცემბლო-საექსპერტო კომისიამ ამ მა-
სალის შექმნისათვის მხატვრებს და ტექნო-
ლოგებს საავტორო პატენტი დაუმტკიცა.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი
თანამედროვე საბჭოთა არქიტექტურისათვის
აუცილებელია ეროვნული თავისებურებები.
და სელური სისავსით გამოირჩეულ სან-
ციით ხელოვნების ნაწარმოებებთან ორგანუ-
ლი კავშირი. წინააღმდეგ შემთხვევაში ასე-
თი არქიტექტურა ხალხის ცხოვრების არა-
ორგანულ გარემოდ იქცევა, იმგვარ გარემოდ,
რომელიც მოკლებულია ყოველგვარ იდეურ-
ლმობრძელობით ზემოქმედებას. ახალი არ-
ქიტექტურის ეროვნულს აიღებულად, სტან-
დარტიზებული ხასიათი კიდევ უფრო ღრმავ-
დება, თუ ავტორები, ყალბად გაგებული
სტილური მთლიანობიდან გამომდინარე, თა-
ციან დეკორატიულ და მონუმენტურ ნა-
წარმოებებში ცდილობენ დაუპირისპირდნენ
უსახურ, სტანდარტიზებულ არქიტექტურულ
ფორმებს. ასეთი „სინთეზით“ ორივე მხარე
აგებს: ერთი სახეობის ხელოვნების შეზღუ-
დული მხ.რეები და ნაკლოვანებანი კი არ
ქარწყდება, არამედ ხაზი ესკება და ღრმავ-
დება მეორით.

ბიჭინთის პანსიონატის არქიტექტურული
ანსამბლი კარგად ჩაიწერა გარემო-ბუნება-

ში. ამ კომპლექსის მხატვრულ-დეკორატიულ
გადაწყვეტაში ორგანულად შეირწყა ძველი
და თანამედროვე, ბუნებრივი და ხელოვნუ-
რი. ცოცხალ, მთრთოლავრ ფორმებს კარ-
გად ავსებს გეომეტრიკობები, მანქანურ
ფორმები. აქ ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა მა-
ორგანიზებული მხატვრული საწყისი, რომე-
ლიც, ამასთან, სრულიად არ არის ნაძალადე-
ვი და თავსომხვეული, ზედმეტად პედანტუ-
რი, ამიტომაც, სქემად არ აქცევს ცოც-
ხალ და რთულ არქიტექტურულ-სივრცით
ორგანიზმს, რომელიც ბუნების გაწყობილე-
ნისა და მისი მდგომარეობის მრავალფერო-
ვანი აღქმისთვისაა გათვალისწინებული.

ქვეშარბიტი ხელოვნების ნაწარმოები ესთე-
ტიკური და ზნეობრივი ზემოქმედების
მძლავრ ძალას შეიცავს. მხოლოდ მისთვის
მისაწვდომი საშუალებებით ნიჭიერ მხატ-
ვარს ბევრი შეუძლია გააყეთოს თანამედრო-
ვე ადამიანსა და ბუნებას შორის სწორი პარ-
მონული ურთიერთობის დასამყარებლად
ბუნებრივ და იმ ხელოვნურ გარემოს შო-
რის, საწრეწველო ცივილიზაცია რომ ქმნის.
თავისი ქმნილებებით, იქნება ეს ფერწერუ-
ლი პეიზაჟები, ნატურმორტები თუ გამოყუ-
ნებითი ხელოვნების ნაწარმოებები, მას შე-
უძლია გააღვივოს სიყვარული ბუნებრივი
გარემოსადმი, აღზარდოს ადამიანებში პარ-
მონიის, და არა ბუნებაზე ძალდატანების
გრძნობა. არქიტექტურული ხაგებობის,
მონუმენტების შექმნისას, რეალურ გარემოს
რომ აყალიბებს, მხატვარს შეუძლია მიაღწე-
ოს ბუნების ქმნილებას და ადამიანის ხე-
ლით შექმნილის ულამაზეს შერწყმას.

ჩვენ მაღლივრებით ვიმსჯელებით მხატ-
ვრებისა და არქიტექტორებისადმი იმისათუ-
ვის, რომ თავიანთი ნაწარმოებებით, თუნ-
დაც ეს ლოკალური ხასიათისა იყოს, ისინი
ნიჭიერად, თანამედროვეობის კულტურული
განვითარების საერთო ტენდენციების მი-
მართულებით ხელს უწყობენ ადამიანისა და
გარემო-ბუნების ერთიანობის ასე აუცილე-
ბელი გრძნობის დამკვიდრებას, ბუნებისად-
მი მოწინააღმდეგის გრძნობის გაღვივებას, რაც
თვით ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს.

მზით განათებული ათასწლეულები

ჯურნა ნადირაძე

არქეოლოგიური აღმოჩენა ჩასვენებული მზის ხელახალ ამოზრწყინებას ჰგავს, იგი შუქს ჰყენს ბნელით მოცულ შორეულ წარსულს და ხალხს, რომელმაც ეს წარსული შექმნა, სამერმისო გზას უნათებს. არქეოლოგების უმრავლესობა ველზე იმ იმედით მიემგზავრება, რომ წარსულის ფერფლში წინაპრების ისტორია წაიკითხოს და მათ მიერ შექმნილი კულტურის წყალობით შთამომავლობას მომავლის რწმენა განუმტკიცოს. მკვლევარები ყოველთვის ვერ ახერხებენ ზუსტად ამოცნონ ამა თუ იმ ეპოქის კულტურის შემქმნელი ხალხების ვინაობა, მითუმეტეს, როცა საქმე ეხება ათასწლეულებით დაშორებულ ეპოქებს.

ჩვენში ამ ძეგლების არსებობა უცილობლად მეტყველებს, რომ საქართველო და, საერთოდ, სამხრეთ კავკასია უძველესი კულტურის კერაა. მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების მსგავსად, აქაც დაიწინა ცივილიზაციის აკვანი, უხსოვარი დროიდან საქართველოს მიწაზე მცხოვრებ ხალხს თავისი წვლილი შეჰქონდა საკაცობრიო კულტურის საგანძურში.

კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი როლი შეასრულა წარმოებით მეურნეობაზე გადასვლამ, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მეურნეობის ძირითადი დარგების — მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებას. საქართველოში უძველეს

სი მიწათმოქმედი ტომების მიერ შექმნილი კულტურა აღმოჩნდა მდინარე ხრამისა და მამავერას შესართავებს შორის მოქცეულ დაბლობზე. თხუთმეტი წლის წინ, შულავერში მუშაობა დაიწყო უნივერსიტეტისა და საქართველოს მუზეუმის ექსპედიციამ. ხოლო 1966 წელს ისტორიის ინსტიტუტისა და ხელოვნების მუზეუმის გაერთიანებულმა ექსპედიციამ მდინარე დებედას ხეობიდან ბოლნისის ქვემოთ გაშლილ ვაკეზე გადმოინაცვლა. აქ, სოფელ არახლოსთან, ხრამზე გადებულ ხიდზე რომ გადახვალ, კაკლებს ხეივანში გაფენილი გზის გასწვრივ, მზისფერ ხოდაბუნებზე მწვანე ბორცვებია აღმართული. საუკუნეთა მანძილზე ხალხი ნახირს აძოვებდა ამ გორებზე და არასოდეს აზრად არავის მოსვლია, რომ მათ ფეხქვეშ იმალებოდა უძველესი სოფლები, რომლებიც შორეულმა ხალხმა შვიდიათასი წლის წინათ ააშენა.

ზაფხული იწყებოდა, არახლოს ბორცვზე მუშაობა რომ დაიწყებოდა. ექსპედიციის ხელმძღვანელმა ტარიელ ჩუბინიშვილმა გორაკის გარშემო, გააკეხულ ველზე მუშებს საკონტროლო ჭების გათხრა დაანებებინა და მინის სიღრმეში ძებნა დაუწყო „სველ“ თხრილებს. არქეოლოგის აზრით, დასახლება, თავდაცვის მიზნით, მაშინ დატული უნდა ყოფილიყო წყლით სახვე გარშემოვლებული განიერი თხრილით,

რომელიც აქ მომხდარი გეომორფოლოგიური ცვლილებების გამო ახლა მიწის სიღრმეში იყო საძებნელი. სარწყავი სისტემის არსებობის ეს ვარაუდი ძალზე ნათობად გამოიყურებოდა. მითუმეტეს, რომ არახლოს ნამოსახლარზე ჯერ უძველესი ყოფის ნასაბიჯი არსად ჩანდა. არქეოლოგები მოთმისეებით ელოდნენ ადამიანის ხელით შექმნილ, თუნდაც სულ მცირე ნამუსრევს და, ბოლოს, როგორც იქნა, თხრილიში აღმოჩნდა ბუნარევი, უხეშად ნაქონი კერამიკის ფრაგმენტები. ზოგი მათგანი რელიეფური ორნამენტებით იყო შემკული. საქართველოს ტერიტორიაზე გამოხრილ ნამოსახლარებზე მსგავსი კერამიკა მანამდე არსად შეგვევდროდა.

მიხანად სკოლაში არდადეგები დაიწყო და ბოლოს რაჭის უბნიდან ნვერსელურილი ძეგლებს ჩამოვიდნენ სამუშაოდ. სწორედ ერთმა მათგანმა იპოვნა ზაზალტის ქვისგან გამოკვეთილი, უცნაურად ნახელავი ადამიანის თავის ქანდაკება, რომელსაც ოვალური თავი, დიდი ბუკუნა ცხვირი, ყურებამდე მოხეული პირი და ირიბად გაჭრილი თვალები აქვს. ქანდაკება იციანის, სრულიად ამკარაა, რომ იგი ღვთაების გამოსახულებაა.

ორი კვირა გვიან გათხრების დაწყებიდან და თანდათან აშკარა გახდა, რომ გორაკის თავზე გაჭრილ თხრილი კულტურული ფენები დარღვეული იყო გვიან ამოთხრილი სამარხების ორმოებისგან. აქა-იქ თითქოს შეინიშნებოდა ალიზის ნაგებობის კვალი, მაგრამ კედლების გამოჩენვა მიწისაგან ძალზე ძნელდებოდა. საქმე ისაა, რომ თვითონ ეს ბორცვი ალიზის ფერია და ალიზისგანა წარმოქმნილი. ნეოლითელი ადამიანი, რომელმაც ისწავლა მიწის დამუშავება და ერთ ადგილზე ცხოვრებას შეეჩვია, ნაგებობებს ალიზისაგან აშენებდა. თავკარა მზის ქვეშ ეს სახლები იწვოდა და წვიმის შემდეგ კირივით იშლებოდა. მოსახლეობა ძველის ადგილზე ახალს აშენებდა და ასე, თანდათან, ვაკეზე იზრდებოდა სამოსახლო გორა, რომლის სიმაღლე ზოგჯერ 10-15 მეტრად აღწევდა.

არახლოს გეო-თეფე, სადაც ჩვენი გათხრები დაიწყო, მიწის პირიდან შვიდ მეტრზე იყო შემალაგებული და პექტარნახევიარი ფართობი ეკავა. მისი ჩრდილოეთი ფერდობი შედარებით დაურღვეველი ჩანდა. ფერდობი შამბნარ-ბალახისაგან გაცნობილდ და გათხრებს შეუდგეკით. მიწის თხელ ფენას ფრთხილად ვიპოვებდით და შემდეგ ფაგარისებთ ვწმენდით. ერთი მეტრის სიღრმეზე ფენამ ფერის შეიცვალა და მიწაზე წრე დაიხატა. სრულიად აშკარა შეიქნა, რეს იყო ნაგებობის ნაშთი, რომლის რადიუსი 3 მეტრს აღემატებოდა და საკმაოდ სქელი კედლებიც ჰქონდა. ასეთი ძეგლის გათხრის გამოცდილება ქართველ არქეოლოგებს მაშინ არ ჰქონდათ. საქმეს სიფრთხილით შეუვდეკით. შუა ზაფხული იდგა, პურის ყანებს მზისფერი დაედო, ცხელი ქარი ქროდა და და-

ტალღული ყანა მზეზე ბზინავდა. ქარსიცხანი გორაზე მუშაობა გაჭირდა, მაგრამ არქეოლოგები ნაგებობას მოთმინებით უტრიალებდნენ და მის კედლებს ნამცვე-ნამცვე აცლიდნენ. ასე თანდათანობით სიბრტევის სინათლე ეხაველებოდა და ნამოხარბოთა ადამიანის მარჯვებით შექმნილი შენობა. ათასწლეულების შემდეგ მარადიულმა მნათობმა ისევ გაანათა სახლის კერა და დამრეც ფერდობზე კვლავ დაეცა მისი ჩრდილი. ეს იყო საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ერთ-ერთი უძველესი ნაგებობა.

ერთი წლით ადრე შულავერში მუშაობა დაიწყო უნივერსიტეტისა და საქართველოს მუზეუმის გაერთიანებულმა ექსპედიციამ, რომელსაც პროფესორი ითარ ჯაფარიძე და ალექსანდრე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდნენ. როგორც ახლა ეს არქეოლოგიური ლიტერატურაშია დამტკიცებული, შულავერის ჯგუფის ზოგიერთი ძეგლი გაცილებით უფრო შორეული ხანისაა, ვიდრე არახლოს ნამოსახლარი, მაგრამ ჯგუფში მინდა მკითხველს ორიოდ ხსიყვით ამ ძეგლების აღმოჩენის ისტორია გავაცნო.

სამოციან წლებში შულავერის გორა-ნამოსახლარებს გარდაუვალი განადგურება ეუუქრებოდა, საქმეში საქართველოს მუზეუმის თანამშრომლები რომ არ ჩარეულიყვნენ. ველზე აღმართულ გორეს ბულდოზერები მიაყენეს და ერთ-ერთი მიწასთან გაასწორეს კიდეც.


1964 წლის გაზაფხულზე არქეოლოგები სოფლის მეურნეობის მუშაკებს განუმარტავდნენ, რომ ისინი შლიდნენ შორეული ისტორიის თავფურცელს, რომლის დაწერა მხოლოდ ამ უძველესი გორა-ნამოსახლარების შესწავლის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი.

მეურნეობის თავაკეციბი თავისას არ იშლიდნენ, მაგრამ მეცნიერებმა კანონი მოიმარჯვეს და უძველესი სოფლები დანგრევას გადაარჩინეს. 1965 წელს შედგა ქვემოქართლის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ექსპედიცია, რომელმაც გათხრები დაიწყო შულავერის გორაზე. საეცილობტების ნაწილი დიდი სიფრთხილით შეუდგა გორის თავზე მოხაზული კალონური წრის განმედნას, ნაწილმა კი ზურგჩანთები აიკიდა და ვაკეზე გაშენებულ ზერებს შეეჩინა. მდინარე შულავერის, ხრამისა და დებედს ნაპირებზე და მათ შორის მოქცეულ დაბლობზე არქეოლოგებმა ათამდე ნამოსახლარს მიაკვლიეს. მძიიებელთა ჯგუფმა დიდი ხნის მომქანცველი მოგზაურობის შემდეგ, მდინარე გადალახა და ველის სამხრეთით აღმართულ ქართვოვან მთას თავზე მოექცა. აქედან ხელისგულეით გამოჩნდა ცისფერი მდინარეობით დასერილი შეგმინანიადაციანი დაბლობი და სრულიად აშკარა შეიქნა, რომ ამ თბილეს და ნოყიერ ველზე, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების მსგავსად, უნდა დარწმუნოყო სამინამოქმედო კულტურის აკვანი, კულტურისა, რომელიც დასაბამს აძლევს ცივილიზაციას.

როდის უნდა მომხდარიყო ეს? ამ კითხვაზე მაშინ არავის შეეძლო ეპასუხნა. არქეოლოგებმა კარგად იცოდნენ, რომ პალეოლითის შემდგომ ხანაში წინა-აზიაში ცხოვრობდა ხალხი, რომელთა სოფლების ისტორია თორმეტი ათას წელიწადს ითვლის. ზაგროსის მთების კალთებზე შეფენილ ფერდობზე, სოფელ ზავი-ჩემში არქეოლოგებმა გათხარეს უძველესი სოფელი, რომლის ნაგებობები ქვის საძირკველზე დაფუძნებულ, ოვალური ფორმის, მოწნულ და შემდეგ თიხით შელესილ შენობებს წარმოადგენდნენ. ამ სახლებში მცხოვრები მოსახლეობა აკეთებდა კაჟის იარაღებს, ძვლის გრაფირებულ ნივთებს, სამკაულებს და ქვის სანაყებს. თავიანთ საცხოვრებელ სახლებში ისინი სოხანებზე ღვებდნენ მარცვლის შენახვა ორ-

რობდა ცხოვრება გაეუმჯობესებინა. აზრი გაუჩნდა, ცხოველი მიეშინაურებია. ზოგიერთი მკვლევარი მტკიცებით, ზავი-ჩემის მოსახლეობას ჯერ კიდევ არ ყყავდა მოშინაურებული ცხოველი, მაგრამ ცნობილი ინგლისელი არქეოლოგი ჯეიმს მელაარტი პირდაპირ მიუთითებს, რომ ზავი-ჩემში მოშინაურებული ცხვარი დადასტურებულია 8900 წელს, მაშასადამე, ძველი ნეოთალრიცხვის მეცხრე ათასწლეულში, თერთმეტი ათასი წლის წინათ, რის საფუძველზეც შეიძლება თამამად ვამტკიცოთ, რომ ცხვარი პირველი ცხოველია, რომელიც ადამიანმა მოაშინაურა.

ზავი-ჩემის კულტურას მეცნიერები პროტონეოლითურ კულტურას უწოდებენ, რაც ახალი ქვის ხანის წინა საფეხურს მოიცავს, და რასაც სამინთომოქ-



ხრამის დიდი გორა. ცენტრალური და სამხრეთი ნაწილი.

მოეპს და მიანც, მეცნიერები ფიქრობენ, რომ ზავი-ჩემის მაშინდელმა მოსახლეობამ არ იცოდა მიწის დამუშავება. გაზაფხულის წვიმები ჯეჯილს აბინებდა ზაგროსის მთების კალთებზე. ზაფხულის მზე ამწვებდა ველურ პურეულს და ამ მოზამზარეული ყანების შემყურე ხალხი შეეჩვია ერთ ადგილზე ცხოვრებას. ააშენა სახლი, შეაგროვა მარცვლეული, ისწავლა მისი დაფევა და გამოცხოზაც. ამ მომენტს კაცობრობის ისტორიაში, როგორც ჩანს, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და შეიძლება მას ადამიანის მოშინაურების პერიოდი ვუწოდოთ. იგი ცივ ზამთარში კერიაში გაღვივებულ ცეცხლთან თებობდა და ფიქ-

მედო კულტურის საწყისი ეპოქაც შეიძლება ვუწოდოთ. მისი თანადროული ნამოსახლარები, ზაგროსის გარდა, აღმოჩენილია პალესტინასა და იორდანიაში. ამ ძეგლების გათხრების ისტორია და იქ აღმოჩენილი კულტურის დახასიათება სცდება ჩვენი წერილის მიზანს, მაგრამ ორიოდე სიტყვით მაინც უნდა შევეხოთ პალესტინის სახელგანთქმულ ნამოსახლარს — იერიქონს, რომელსაც ზოგჯერ ნეოლითურ ქალაქს უწოდებენ.

1952 წელს, ინგლისელმა არქეოლოგმა ქალმა ქეთლინ კენინგ² თავის თანამშრომლებთან ერთად იერუსალიმიდან გეზი აღმოსავლეთისაკენ აიღო და

სიძნელეს წარმოადგენს ერთმანეთზე დაშენებულ, სხვადასხვა დროის ხავერდოვანი გარკვევა, საამქველიო პერიოდების დადგენა.

არქეოლოგის სახსელოდ უნდა ითქვას, რომ იგი შესანიშნავად გაერკვა როდესაც სიტუაციაში. მანამდე და მას შემდეგ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში, ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში მუშაობისას მსოფლიოში სახელგანთქმული მცენიოების მიერ შესანიშნავად გათხრილი არქეოლოგიური ძეგლები, და, შვიდობა ითქვას, რომ მულავერის ხეოლითური ნაშთსახლარი სახიშუმოდ გათხრილ ძეგლსა წარმოადგენს.

მკვდრით აღმდგარი უძველესი სოფლის ხელის-გულსტრია ეობების გარეთში სახსელოდ დახგრეული ალიზის ხროული ხავერდობა იყო აღმართული. რამდენიმე ადგილზე, ძედარებით ჩალიძავეტული თხრილების ქრილობ, მოჩანდა ალიზის მუხობე-ი და მათზე დაშენებული ვიწარდელი სახლები. არქეოლოგების ერთ რომ ვიწავთ, თხრილში გაკეთე-ული იყო სტრატეგრაფიული ქრილები, სდაც გამო-ცდილი თვლი საიკითხადა სხვადასხვა ხანის საამ-წველო დონეებს. ეს დონეები მტყველებდნენ, რომ აქ საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდა ხალხი. იხოვებოდა ერთი და იხრდებოდა მეორე თაობა. ინგ-რეოდა სოფელი და მის ადგილზე ახალი შენდებოდა. ასე წარმოიქმნა შვიდი მეტრის სისქის ნამოსახლარ-რი, რომელშიაც არქეოლოგებმა თავდაპირველად ერთმანეთზე დაშენებული ნაგებობების ხუთი საამქვე-ნებლო ფენა გამოჰყვეს. ისინი დიდი სიფრთხილით აცლიდნენ მიწას საცხოვრებელ სახლებს, რომლებიც აშენებულ იყო გამოუწვავი ალიზის აგურით. სითბო და სიმაგრი რომ შეენარჩუნებინა, შენობები გარე-დან და შიგნიდან თიხის სქელი ფენით იყო შელესი-ლი. წრიული ან ელიფსური მოყვანილობის სახლები ფუძიდან სახურავისაკენ თანდათან ვიწროვებოდა და ორნაბეგის-სამი მეტრის სიმაღლის ნაგებობებს სახურავები გუმბათისებურად იკვრებოდა. ტერში დატოვებული მცირე ნახვრტიდან კერაში დახთებუ-ლი ცეცხლის კვამლი ამოდიოდა.

აქ, მარნეულის ველზე, ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე ათასწლეულში, რეა ათასი წლის წინათ, ზზე-ნარევი თიხისაგან ნაგები ოქროსფერი გუმბათოვანი კაბლების სახურავებზე აბოლებული წივის ლურჯი კვამლი სერავდა ჩამოქუთრულ ზეცას და ზამთრო-ბით კერის წინ ჩამოჩდარი კაცი სამეურნეო იარა-ღებს აეთვებდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს იარაღე-ბი ძალზე პრიმიტიული იყო, მის გამოყონებასა სეკ-ცობრიო ცივილიზაციის განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

მკითხველს ორიოდ სიტყვი მინდა გავაცნო მარ-ნეულის ველის კიდევ ერთი უძველესი ნამოსახლარი. იგი სადღესოდ, არქეოლოგიურ ლიტერატურაში, იმირის გორის სახელწოდებითაა ცნობილი.

1965 წელს არქეოლოგების ერთი ჯგუფი შულა-ვერის ღელის ხეეს შეუყვა და სოფელ იმირთან მდი-წარის მარცხენა ნაპირზე აღმართულ ბორცვზე ავი-და. მკვლევარებმა გულმოდგინედ დათვალიერეს თურქული მიდგმის ტომებისაგან სანჯი თავად წო-

დებული უძველესი ნამოსახლარი და დარწმუნდნენ, რომ იგი შედარებით კარგად იყო დაცული. მისი აღმოსავლეთ ფერდობი, საუკუნეების მანძილზე, მდი-ნარეს გამოიხრა და სახლები წყალს წაიღო, მაგრამ ნასოფლარის ძირითადი ფენები ხელუხლებლად იყო შემონახული. ასე ჩანდა თვლის ერთი გადავლებით, მაგრამ არქეოლოგებმა აქ მუშაობა რომ დაიწყეს, აღმოჩნდა, რომ ძველი სხვადასხვა სახის ორმოებით თითქმის მეტრნახვერის სიღრმეზე იყო დაზიანებული. მიუხედავად ამისა, იმირის გორაზე შედარებით უკეთესად მოხერხდა ძეგლის სტრატეგრაფიული დად-გენა. თავდაპირველად აქ ორი საცდელი თხრილი გა-ჭრეს, სდაც ალიზის ნაგებობები აღმოჩნდა. არქე-ოლოგებმა თხრილები გააფართოვეს, ერთმანეთზე ფარ-ეობეს და დახლოებები ათას კვადრატულ მეტრ ფარ-ეთოზე, დანითა და ფუნჯით ხელში, დიდი მოთმინე-რით აღჭურვილებმა, დაიწყეს ნამოსახლარის პრეპარ-აცია. ერთი თვის მუშაობის შემდეგ, კალოსავით მოსუფთაებულ მოედანზე, ათასწლეულების წინათ მიწაში ჩაძირულ სოფელში ისევ დარჩა ამქვეყნიუ-რი ხმები. დაუბრუნა ნივამ და შაჰაუნა წვიმა ახმა-ურდა ვიწრო შუკვებში. გუმბათგანდარეული სახ-ლის სოხანებზე გუბები დადაც და ცოტა ხნის შემ-დეგ, მზისგან შემშრალ ბათქაშზე, აღამიანის ნატერ-ფალი გამოისახა.

ამ სურათმა წარსული უფრო ხელშესახები გახა-და. ძველი წელთაღრიცხვის მეოთხრმეტე საუკუნეში მცხოვრებმა ეგვიპტის ფარაონმა, რამზეს მეორემ, ოთხმოცდაათი წელიწადი იცოცხლა. რამზესის თანა-მედროვე ევროპელები ორმოცდა ოთხი ათასი უკვე ღრმად მოხუცები იყვნენ და იშვიათად თუ ვინმე მი-აღწედა ნახევარ საუკუნეს. მაშინდელი სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის ასაკიც არ უნდა ყოფილი-ყო ამაზე მეტი. რაც შეეხება შვიდი ათასი წლის წი-ნათ მარნეულის ველზე მოსახლე ტომებს, მათ შორის ძნელად მოსაძებნი იქნებოდა კაცი, რომელიც სიცოც-ხლის ოცდაათიანი ზღვარს გადააიჭვებდა.

იმირის გორაზე არქეოლოგებმა გათხარეს ნახე-რად წრიული და შემდეგ ოვალურად ერთ მხარეს და-გრძელებული ნაგებობა, რომელსაც, წრიული ნა-გებობისაგან განსხვავებით, ბრტყელი გადახურვა ჰქონდა. იგი აღმოჩნდა იმირის გორის აღმოსავლეთ ნაწილში, შულავერის ღელის ნაპირზე. ამისთანა უყვა-რი ხანძრისაგან იყო განადგურებული. შენის გამო მისი კონსტრუქციული სურათის წარმოდგენა მკვლე-ვარებისათვის უფრო მოსახერხებელი გახდა. რო-გორც ნაგებობის გათხრელები წერენ, „შენობის ცენტრალური ნაწილი დეფარული იყო თიხაქვანი-ლი სახურავის ძლიერ დამწვარი ნატეხებით, რომელ-საც შერჩენილი ჰქონდათ დამწვარი წველებისა და ტოტების ანაბეჭდები. იატაკი ფარავდა ნაცრისა და ნახშირის ფენა. იატაკი და კედლები ძლიერ იყო დამ-წვარი. შენობა დაგრძელებულია და შედგება ორგა-ნა უხლად გადაბმული ორი სათავისისაგან. ინტერიერში ისინი არაფრით არაა გამოყოფილი და შექმნილია საკმაოდ თავისუფალი სივრცე. შენობის მოლიანი ფართობი 28 კვადრატულ მეტრს შეადგენს“.

ნაგებობა შედარებით კარგად იყო შემონახული.



მისი პოლიტიკური კედლების სიმძლავრე ალაგ-ალაგ ნახევარ მეტრს აღწევდა. შენობის შიგნით აღმოჩნდა საკმაოდ ღრმა კერა, ხოლო ცენტრში ამოღებულ ორმოში დამთვაობის, რიყის ქვის საყრდენი. ნაგებობის გამოთრეულებს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ „აქ მდგარ ხის ბოძს ეჭირა სახურავის მთავარი კოჭი, რომელიც ბოლოებით ყურდნობოდა კედელში დატანებული ალიზის ბოძებს“. მაშასადამე, შენობას ჰქონდა ბრტყელი თიხატყვენილი ბანური სახურავი ერთოთი. ამ ტიპის სახლები, რომლის სახურავი ძირითადად კედლებსა და სახლის ინტერიერში აღმართულ დედაბოძს ყურდნობდა, დამახასიათებელია ძველი წელთაღრიცხვის IV-III ათასწლეულების ქართლის ნამოსახლარებისათვის. მომდევნო ეპოქებში, როგორც ალ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ქართული ხალხის ყოფაში სრულყოფილად შემორჩა ათასწლეულების მანძილზე გლეხის დარბაზის სახით.

შუძღვებელია დანერგული ადვილწილი მარნეულის ველზე ამ უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე გათხრილი და შესწავლილი ადრესამინათმოქმედო ხანის ნაგებობანი. ამ ნაგებობათა ტიპები და მათი ჩასახვა-განეთარების გზები შესანიშნავადაა გამოიყენებული ალ. ჯავახიშვილის სვანელები ნაშრომში, რომელიც საქართველოს უძველესი ხუროთმოძღვრებისადამია მიძღვნილი.

აქ ორიოდე სიტყვით მაინც აღვნიშნავთ, რომ შუა აზიისა და ჩრდილოეთ მესოპოტამიის ენოლითური ნამოსახლარებისაგან განსხვავებით, სადაც ოთხკუთხედი ფორმის ნაგებობებია აშენებული, ჩვენში თავდაპირველად წრიულ-გუმბათოვან ნაგებობებს აშენებდნენ.

გაცილებით უფრო მოვლავნებით, ორი სათავსოს შერწყმის შედეგად, წარმოიქმნა ოთხკუთხედი ფორმის, შედარებით ვრცელი საცხოვრებელი სახლი. წრიული სახლები კი, რომლებიც მეოთხე ათასწლეულის ბოლოდან ნამოსახლარების ძირითად ნაგებობებს წარმოადგენდა, ამიერკავკასიაში შესაძლებელია დამოუკიდებლად წარმოიქმნა. თუმცა, უფრო მართებული იქნებოდა გვეფიქრა, რომ ნაგებობათა ეს ფორმა გადმოღებული იყოს და უკავშირდებოდეს უძველეს მცირეზოურ სირია-პალესტინის სამაშენებლო ტრადიციებს.

აღიზიოთ ნაგები წრიულ-გუმბათოვანი სახლების მკვიდრნი ვერ კიდევ არ იცნობდნენ ლითონსა და ლითონის იარაღებს. სახლების სოხანებზე და მათ შორის მოთავსებულ მოედნებზე, სოფლის მთელ ტერიტორიაზე დიდ რაოდენობით არის მოპოვებული ქვისა და რქის, ძვლისა და ობსიდიანის მრავალფერიანი სამეურნეო იარაღები.

შედარებით მოხერხებულ საოჯახო-სამეურნეო იარაღებს ობსიდიანისაგან ამზადებდნენ. უსსოვარ დროში ვულკანისაგან ამოფრქვეულ მინას მარნეულის ველის მინათმოქმედი ხალხი გულმოდგინებით ეძებდა თრიალეთში და, საერთოდ, სამხრეთ საქართველოს მთარაღეთში. საკმაოდ შორი მანძილიდან მოტანდნენ ამ „მადანს“ ქვის ინდუსტრიაში წამყვანი ადგილი ეჭირა. პოლისფერი ან მოშოი ნითუქდარღვიანი ობსიდიანისაგან ამზადებდნენ ნატიფსა და მო-

ხერხებულ იარაღებს: საჭრისებს, ტყავის გასასუთავებელ სახოკებს, ბურღებს, ნამგლის ჩასატანებელს და ისრის პირებს. იმ უსსოვარი ხანის ხელოსნები შესანიშნავად ფლობდნენ ვულკანური წარმოშობის მინის დამუშავების რთულ ტექნიკას. როგორც ჩანს, ამ საქმეს ყველა ვერ ახერხებდა და სოფელს თითო-ორთადა ხელოსანი ემსახურებოდა. ექვსი ათასი წლის წინ, იმართის გორის № 8 სახლში, როგორც ეს არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, ცხოვრობდა იარაღის ოსტატი. აქ აღმოჩენილი ობსიდიანის ფირფიტები, ნამგლის დამუშავებელი ჩასართები, ქვის ცულები, ქვის კვერები, გრდმედი, ძვლის სახერცტ-საპირალელები იარაღები და, რაც მთავარია, ამ იარაღების დამზადების შემდეგ დარჩენილი უამრავი ანატაკ-ანამტყრევეები, აცოცხლები შორეული ნამოსახლარის სურათს. სახლის ერთ კუთხეში დალაგებული ამ ნივთების მიხედვით კაცს შეუძლია წარმოადგინოს ქერის წინ ჩამომავალი, ტყავის კაბა-ჯუბით შემოსილი ხელოსანი, რომელიც ობსიდიანის დიდ ნატებს ხელჩაქუჩს ფრთხილად ურტყამს და ანატაკები ფირფიტებისაგან დანას ან პურის საშკელ ნამტვებს აკეთებს. ტყავის კაბა-ჯუბით შემოსილი კაცი-თქო, რომ ვაძბობ, მსგავსობაში მიქვს ის არქეოლოგიური ფაქტი, რომ მარნეულის ველის ადრესამინათმოქმედო კულტურის არცერთ ძეგლზე ვერ კიდევ აღმოჩნდა ქსოვასთან და მატყლის დართვა-დაძახვასთან დაკავშირებული ნივთიერი მასალა. ის ფაქტი მკვლევარებს უფლებას აძლევს იფიქრონ, რომ მარნეულის ველის მაშინდელი მოსახლეობა ქსოვით არ იცნობდა. მათ კიდევ დიდი ხანი დასჭირდათ, ვიდრე თითისტარს დაატრიალებდნენ და მატყლის ფთილისაგან ძაღს ჩამოართავდნენ. სამაგიეროდ, დიდი გულმოდგინებით თლიდნენ ცხოველის რქებს. რქების ძირები საჭარე ნახვრტს აკეთებდნენ, ხოლო საპირისპირო მხარეს ქვაზე ღლავდნენ: ასეთი ხერხით გამოპირულ რქის თოხებით ბელტს ატრიალებდნენ.

შუა ზაფხულში ხოდაბუნებზე ობსიდიანის ნამგლით შეიარაღებული ხალხი ყნასს მკვდა და ნაშუალში უოთი შეკონილ ხორბლის ძნებს დგამდა. იმ ძნებიდან გაკალთებულ პურის მარცვალს არქეოლოგიები დღესაც პოულობენ ალიზით ამოღესილ, ჭირნახულის შესანახ ორმოებში და ზუნარავი გამოუწვავი თიხის აგურებში. ათასწლეულების წინათ მონული მარცვლების მიხედვით ბოტანიკოსებმა დაადგინეს მავარი და რზილი ხორბლის ჯიშები, კულტურული და ველური ქერი. იპოვეს ბოსტნეულის თესლიც და, რაც მთავარია, ყურძნის ნიშნები. მეცნიერების აზრით, ეს ნიშნები კულტურულ ვაზზე გარდამავალ ვეჯურს ეკუთვნის. მინათმოქმედ ხალხს, როგორც ეს არქეოლოგიურ ძეგლებს მოპოვებული ოსტეოლოგიური მასალათა დადასტურებულ, ხარძროხის ჯოჯივ დაუდიოდ მარნეულის ველის ზამთრის საძოვრებზე. ზაფხულაობთ ნახორს თრიალეთის მთების ყვავილოვან ფერდობზე მიერეზობდნენ და იქ, მაშავერას სათავეებში, ისე როგორც დღეს, ოთხმოცი საუკუნის წინათაც ისმობდა სალამურის ხმა და მწყემსის შეძახილი. მარნეულის ველის მოსახლეობ-

ზღის ერთი ნაწილის საქმიანობას, რა თქმა უნდა, მესაქონლეობა წარმოადგენდა. არქეოლოგიურად შესწავლილი უძველესი სოფლების ქვედა ფენებში შრომის იარაღები მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი, რაც სრულიად ნათლად მიუთითებს, რომ სამინათ-მოქმედელ კულტურის გარეგანზე ნამეფარი როლი მესაქონლეობას ეჭირა. საუკუნეები დასჭირდა მინის დასამუშავებელი იარაღების გაუმჯობესებას, ხორბლის ჯიშების შერჩევა-გამოყვანას, უღელში შესამე-მელი ცხოველის გახედვნას და, რაც უაღრესად მნიშ-ვნელოვანია, მრავალწლოვანი მცენარეების სელექციის. სამეურნეო იარაღების სრულყოფამ და მინათ-მოქმედების განვითარებამ ხელი შეუწყო მოსახლე-ობის გამრავლებას. მდინარე ხრამისა და მამავერსას სანაპიროებზე ახალი სოფლები წარმოიქმნა და ისე როგორც ფუტკრის სკას ნაყარი გამოეყოფა და ახალ თავშესაფარს დაუწყებს ძებნას, მარნეულის ველის მთავარ ნამოსახლოს გამოყოფილი ჭარბი მოსახლე-ობა არჩევს ადგილს და აშენებს ახალ სოფლებს. ამ გზით წარმოიქმნა უძველესი სოფლები: თხიბ შულა-ვერში, თთხი არუხლანში, ხანის წითელსოფელში, ყი-ზაჩაღანში და უქანასკნელ ხანს ხრამის ნაპირზე მი-კვლული „დიდი გორა“, რომელიც ენეოლითური ხა-ნის გრანდიოზულ ნამოსახლარს წარმოადგენს.

სანარჩეო იარაღების, მინათმოქმედებისა და სამა-შენებლო საქმის განვითარებამ, მოსახლეობის გამ-რავლებასთან ერთად, ხელი შეუწყო სოციალურ ძვრებს და სავარაუდო სოფლის გამოყვანა სავარაუ-დო თემი. ამ სოციალური უჯრედის წარმოქმნაში „გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა სანარ-მოო ძალების სწრაფ განვითარებას, შრომის ნა-ო-ფერების ზრდას; თუ წინათ საკვების მიწისპირა მო-საპოვებლად აუცილებელი იყო ადამიანთა გარეთიან-ება დიდ სავარაუდო კოლექტივებად, ამიერიან მნიშ-ნათმოქმედებას და მესაქონლეობას საკვებით შეე-ძლო უზრუნველყო საკვებით ადამიანთა ბერადე უფრო მცირერიცხოვანი ჯგუფი — სავარაუდო თე-მი“. ეს პროცესი შედარებით რთული გასააზრებე-ლია და მის შესახებ საუბარს აღარ გავაგრძელებ. ორიოდე სიტყვით შევხებში მორწყვის საკითხს, რე-მელიც საკაცობრიო ცივილიზაციის განვითარებაში ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა და ძველი ის-ტორიის ერთ-ერთ პრობლემად მტკუნ საკითხს წარმო-ადგენს. ამ საკითხის შესწავლას მთავარი ყურადღება დაეთმო არახლოს ნამოსახლარზე. როგორც უკვე აღ-ვნიშნე, ზაფხულის სეზონში იქ მუშაობისას დიდი სიცხეები დაიჭირა და ერთადერთი სულის მოსაბრუ-ნებელი მამავერიდან გამოყვანილი სარწყავი არხის ბოლოში შეგუბებული პატარა მორევი იყო. ექსპე-დიციის ხელმძღვანელი არხის გასწვრივ დიდხანს უშედეგოდ ეძებდა მამავერიდან ველზე გამოტანილი ნეოლითისდროინდელი რუს ნაკვალევს. გეოლოგე-ბის დასკვნით, გეომორფოლოგიური ცვლილებების შედეგად, 80 საუკუნის მანძილზე ვაკის იმ ნაწილს, სადაც ეს უძველესი სოფლები წარმოიქმნა, ორი-ორნახევარი მეტრის სისქის საფარი უნდა დადებო-

და. მამავერიდან გამოყვანილი მამავერი-ლი არხის კალაპოტი მინის პირიდან ორსა-მეტრის სიღრმეში იყო საძებნელი, ხოლო თუ ამ რუდან გა-მომდინარე წყალი ავსებდა სოფლს გარემოვლენ-ბულ თავდაცვით არხს, მაშინ ამ არხის ფსკერი მი-ნის სიღრმეში ოთხ-ხუთ მეტრზე მაინც იქნებოდა ჩა-ძირული.

ტ. ჩუბინიშვილმა განიზრახა არქეოლოგის ბარით დაემტკიცებინა ენეოლითურ ეპოქაში მარნეულის ველზე საირიგაციო სისტემების არსებობა და და-სწავლა სარეზერვუარე საკონსტრუქციო ჯგუფის გაჭრა ერთ-ერთ მათგანს სადაც უნდა გადაეყვანა ენეო-ლითური ხანის „სველი“ თხრილი. ეს მეტად სარისკო და რთული სამუშაო იყო. ღრმა ჭებებიდან მინას ბა-ნარზე გამობოძული კალათებით ვეზიდებოდით. სამუ-შაო მუდმივ დაკვირვებას მოითხოვდა, მხოლოდ არ-ქეოლოგის განაფულ თვალს შეუძლია ჩვეულებრივი ქანობისაგან ფერით განსხვავებული მდინარეული შლამის გამოჩენვა, რომელიც უსათუოდ უნდა ყო-ფილიყო დაღეპილი არხის ძირზე, მისი პრეპარაციის შემდეგ შესაძლებელი გახდებოდა არხის ფსკერის ფორმის და ზომების აღდგენა.

სამუშაოს დამთავრებამდე ორი კვირით ადრე, ერთ-ერთი ჭის სარკესავით სწორად ჩამოთლილ, მო-ყვითალო ფერის კედელს ზოლად გამოეყო შავი ფე-რის შლამნარევი შრე, რომლის სისქე ოცდაათ სანტიმეტრს აღემატებოდა. შრე, როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან, ზემოდან ქვემოთ, ირიბულად ეშე-ბოდა და უერთდებოდა ჰორიზონტალურ ხაზად გა-ვლებულ ასეთივე ფერის შედარებით სქელ ფენას, რომელიც თითქოს აშკარად გამოხატავდა არხის ფსკერს. ამ ადგილზე თხრილი გავაფართოვეთ და ქვაბულში უძველესი არხი დაიხატა. რამდენიმე ხნის შემდეგ მიაგნეს რუს ნაკვალევსაც, რომელიც მდინა-რე მამავერიდან ვაკეზე იყო გამოყვანილი და რომ-ლის მუშეობითაც იქნებოდა სოფლის თავდაცვითი, განიერი თხრილები და ირწყვებდა პურის ყანები. ამ აღმოჩენამ დაადასტურა მარნეულის ველზე ენეო-ლითის ეპოქაში სარწყავი სისტემების არსებობა, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სისტემა მაინც პრიმიტიულ ხასიათს ატარებდა. აქ არ წარმოქმნილა დიდი გავრთიანებები, რომელსაც ძალდატანა აღემარ-თა რთული საირიგაციო ნაგებობანი და შუამდინა-რეთის ადრეული სამინათმოქმედო კულტურების მსგავსად საფუძველი მოეზაზდებინა დიდი ცივილი-ზაციის შესაქმნელად.

(დასასრული შემდეგ ნომურში)

ცხენი

არნოლდ გეგემპორი

ჩვენს ერამდე 2000 წლის წინათ დათარიღებულ ძველ აღწავლეთში აღმოჩენილ ძველებში ცხენი უკვე ეტლში შეზღუდა გამოავლდა. ჩვენს ერამდე პირველი ათასწლეულის შუა პერიოდში მეცხენეობა უმაღლეს დონეზე იყო განვითარებული არანა და მე-ნომბელ ქვეყნებში. ამ დროისათვის ცხენები აქ შესანიშნავი — მაღალი, მოხდენილი და მსუბუქი ექსტერიტით ხასიათდება. თავისი ცხენებით ამ დროისათვის განთქმული იყო ასევე ინდოეთი, თურქმენეთი და არაბეთი.

შემდეგში, ჩვენს წელთაღრიცხვიდან დღემდე, გამოკვეთი ახალი და ახალი ჯიშის ცხენები, სხვებს შორის უფრო აღდგებას მისახერხებს არაბული ცხენის სელექციის რაოდენიმე ცენტრი.

არაბული ცხენი — ეს ფრთაშესხმული რაშია თვით „ათას ერთი ღამის“ ზღაპრიდან, გედის ამჟიკი კისერი, პატარა ღამაში თავით, მეტყველი თვალებით, თიქოსდა საკრთილი გამოკრთილი ფეხებით, იგი თვით საეკობავის განსახიერებაა.

არაბული ჯიშის ცხენის წარმოშობის საიდუმლოება ლეგენდებისა და მითების ბურთისათა ვარგოცული. მეცნიერება დღემდე ვერაუბლებდენ, რომ ცხენის ეს ჯიშო მსოფლიოში უკვლავ ძველა, მაგრამ ამ ბოლო დროს არაბული ცხენის წარმოშობა VII საუკუნით

იქნა დათარიღებული. ამ დროისათვის არაბებმა დაიპყრეს სპარსეთი და შუა აზია. მაშინ დამპყრობლებმა ხელში ჩაიგდეს სპარსული, თურქული, თურქმენული წარმოშობის ცხენთა ჯიშები. არაბულ ტომთა ნახევრადმოშობაზე ცხოვრების წესმა, შშირმა და ხანგრძლივმა დამპყრობლურმა ომებმა, ცხენის როლი დაიდა და გაზარდა. საუკუნეების განმავლობაში არაბებმა და უფრო აღდგებას აქცევდნენ ჯიშის სიწმინდეს, მკაცრად არჩევდნენ ცხენებს ექსტერიტის, ტემპერამენტის, გამძლეობისა და შრომისმოყვარეობის მიხედვით. სწორედ ამის შედეგად წარმოიშვა ცხენის ის ჯიშო, რომელიც მიეღო მსოფლიოსათვის „არაბულად“ ცნობილი. ძირითადად არაბეთის ნახევარუნძულის გავრცელებულ უდაბნოს ზონაში მოხინაღრე ეს პირუტყვი გამოირჩეოდა კიდევ ორვათადად მშვიდი ბუნებით, „ასტეტური ცხოვრებით“, კმაყოფილებობა მცირეოდენი საკვებითა და წელით და ხანგრძლივი ფიზიკური დატვირთვის შემდეგაც აღვიდად აღდგენდა ძალეს. საუკუნეთა მანძილზე მსოფლიოს მრავალი ხალხი იუენებდა არაბულ ჯიშს თავისი მეცხენეობის განვითარებლად. მაგრამ ინგლისური წინადა სისხლის ცხენის გამოყვანამდე არაბულ ცხენს ჯიშობრივი მონაცემებით ვერცერთი ჯიშო ვერ შეედრებოდა დედანაწინა.

„არაბულ მარბენალ ცხენთა მოძრაობა ნებისმიერ ბალერინას შემსრდებოდა“, — თქვა ქვეყნის ერთ-ერთი ცხენსაშენის დათვალეიტების შემდეგ სახელგანთქლმა ბალერინამ გალინა ულანოვა. რუსეთში ჯიშთან მეცხენეობას XVII საუკუნეში საფუძველი ჩაუყარ გრაფმა ორლოვმა. დასაბამი კი მას არაბულმა ულანმა სმეტანამ მისცა. 1770 წელს ჩესმენის ყურეში თურქეთის ფლოტის შემსუხვირის შენედა, ეკატერინე მეორის სახელოვანმა, სარდალმა ალექსანდრე ორლოვმა საუკუნეთის ცხენები უცხოეთში შეიძინა. ვითარებისა და მიხედვით ცხენთა ერთი ჯგუფი საშუალო ნადავლს შეადგენდა, მეორე — დამარცხებულისაგან სარუქარის, მესამე — იუადეს. თანამედროვეთა გადმოცემით, არაბულ ულან სმეტანაში ორლოვმა სამოცი ათასი მანეთი გადაიხდა ოქროთი. იმ დროისათვის ეს გაუგონარი თანხა იყო. 1774 წელს გრაფის მიერ შექმნილი ყველა ცხენი მისივე განვარდულებით რუსეთში წამოყვანდა. მხოლოდ ერთის, ვერცხლსფეროთი ულანის—სმეტანას გამოგზავნა ვერ გაბედა გრაფმა სომალდით. იგი საშუალო და ცუდის თანხლებით წამოყვანეს ხელითით. არაბეთიდან ჯერ თურქეთის შემდეგ უნგრეთისა და პოლონეთის გავლით ულანს მოხდა მოსვლა. აქ ცხენმა მხოლოდ 1776 წელს მიადგა, სმეტანას ნაშრადმა არაერთი სახელოვანი ფურცელი ჩაქურა რუსეთის მეცხენეობის განვითარებაში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ორლოვური მარბენალი ჯიშების მომრავლებას სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ გადაიტყა. წინაპართან შედარებით უფრო გამძლეებმა და სწრაფებმა, მათ არა ერთი და იგი უმაღლესმა პრიზი მოპოვეს საერთაშორისო სარბიულზე.

ცხენთა მსოფლიო არენაზე შეუდარებელია ასევე ინგლისური წინადა სისხლის ჯიშის ცხენი. ინგლისი ჯერ კიდევ იულებს კვირის დროიდან იყო გამოქმნილი თავისი ცხენებით. შუა საუკუნეებში აქ უკვე მოხედნენ აღმოსავლური ჯიშის ცხენები, მათ შორის არაბულიც. ინგლისებებს განსუფარებთი უფრო ცხენებით ნადარბობა, რამაც ბოძე მისცა მარბენალ ცხენთა საუკეთესო ჯიშების გამოყვანას.

ინგლისური ცხენი წინადა სისხლის არ არის ამ სატყვის აბსოლუტური, ანდა „შემყვიდრებითი“ გაგებით. აქ იგულისხმება გამოყვანილი ჯიშის სრულყოფილი



ფლობა. ინგლისელი სელექციონერბა, გარეგნულ მონაცემებთან ერთად, დად მოთხოვნილებას უყენებდნენ ცხენის გამძლეობას სხვადასხვა დისტანციაზე სიარბლში. აა, საგულასხმო მავალითა. თუ ინგლისური ჯიშის დიდის ცხენის გული ექვს კალოგრამს იწონის, ტვირთმზიდი შიშიმ წონის ცხენის გული ოთხ კალოგრამს არ აღემატება.

საუკეთესოთა შორის უკეთესი ინგლისური დიდის ცხენი ძალზე ძვირი ღირს. ეს რომ ლატონი სიტყვები არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ ამერიკელმა მესაკუთრებმა ინგლისური ულავი ნიუინსკია შეერთებული შტატების ცხენსაშენის ერთ-ერთ მესაკუთრეს ფანტასტიურ ფასად— 5 მილიონ და 440 ათას დოლარად მიიყიდა! კიდევ უფრო აბტრონიომიული ფასა — 6 მილიონი და 500 ათასი დოლარი დაუჯდა ბიზნესმენებს მეორე ცხენი. ამბობენ, ნებისმიერი მზედარი, რომელსაც წილად ხვდება ინგლისური წმინდა ჯიშის ცხენით ასპარეზობის ბედნიერება, სხვაზე ღირს ჯდება.

მსოფლიო, განსაკუთრებით კი ჩვენი ქვეყნის, ცხენობის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა აგრეთვე თურქმენულმა ახალტეიანურმა ცხენმა. თავისი გარეგნული თუ თვისობრივი ღირსებებით, ეს ცხენიც მსოფლიო ელიტურ ჯიშთა დონეზე დგას.

რა შეიძლება ითქვას კავკასიურ ცხენთა ჯიშობრივ ღირსებებზე? აქამდე საუბარი გვქონდა გაშლალ, ვაკე ადგილებს შეგუებულ ცხენთა ჯიშებზე. მაგრამ სულ სხვაა მთები. თავისი პიტალო კლდეებითა და უფსკრულების პირას გაშავალი ვიწრო ხალიყებით, დათოვლილი უღელტეხილებითა და შთას ქანთა ნაშალებით... ღერმონტოვი რომანში „ჩვენი დროის გმირი“ ასე წერს კავკასიურ ცხენზე: „შავი, როგორც კუპრი, ფეხები — სიშებია, ზოლო თვალები არანაქლებ მშვენიერი. ვიდრე ბელსია; და როგორი ძალა! გინდა 50 კერის იქნე. თვინიერებას ნულარ იკითხავ — პატრონს სულ ძალღვეთ უკან დასდევს, სმითაც კი სცნობს! გეგონება, არსოდეს აღვირზე არ აბანოსი“. ამ

ცენში დიდი რუსი პოეტი, რა თქმა უნდა, „ყაბარ-დოლუს“ გულისხმობდა. ერთობ ღრინი, გამძლე და თვინიერ ცენს, რომელიც შესანიშნავად დადის ოთხთავ და ჩორთთავს. ის, რომ იური ლტჩონტოვი თავის რომანში ყაბარდოულ ცენს გულისხმობდა, პოეტის ჩანაბატებით და სურათებითაც დასტურდება. გაიხსენოთ, თუნდაც, სურათი „მოკოცნებები კავკასიაზე“ ანდა „აქრორიანი და თავადის ქალი მერი“.

ყაბარდოული ჭიშის ცენი ყარაბაზული, თურქმენული, არაბული, ნოღაური და ცენის სხვა ჭიშთა ხანგრძლივი და რთული სელექციის შედეგია. ამ ჭიშმა ჭერ კიდევ XVI საუკუნიდან გაითქვა სახელი კავკასიის ფარგლებს მიღმა. მაღალ მთებში ცენი ტურჩისტული ლაშქრობებისათვის უციესი ცენის შერჩევა არ შეიძლება.

დიდი გამძლეობითა და სისწრაფით გამოირჩევა აგრეთვე მტკვარაქვის მთისწინეთში შემოყვანილი უძველესი ჭიშის ცენი—ყარაბაზული, თავისი ელგანტური ექსტერიერით. იგი ყველაზე ლამაზია კავკასიის ცენთა ჭიშებს შორის.

საქართველოს მთელ რიგ მთიან რაიონებში შეუცვლელია თუშური ჭიშის ცენი. იგი ძველქართული ცენებისგანაა წარმოშობილი. დიდ გამძლეობასთან ერთად, თუშური ცენი ხანგრძლივი სიცოცხლითაც გამოირჩევა. 20-25 წლის ასაკში, რაც ცენისთვის ღრმა სიბერედ ითვლება, მას ჭერ კიდევ შესწევს უნარი მთის პარობებში დიდ მანძილზე სარულსა, ამასთან, ფრთხილი, დაკვირვებულა და კვიანია. აღნიშნული და სხვა თვისებების გამო, თუშური ცენი ფრიად პოპულარულია ჩვენი რესპუბლიკის მთის მოსახლეობაში.

თუშეთის ალაზნთა თვალწარმატა ზეობები, თოვლით შეპყდარავებული დიდებული მთები, სივრცეში შთანთქმულ ღლიისფერ მთაგრეხილია კონტურები.

ალპური ყვეალებით მოითოლო მდელიბო. უსასრულო ბილიკებით დაქუდილი მთათა კალთებზე მდებარე სივრცე ხავერდოვანი მწვანე მოლისა და აქ მონალაზე ცენთა რეუმები. ზაფხულში ცენები იალაღებზეა გაშვებული, ოჯახისა და მიწდრის სამუშაოებში კი უშთავრესად სახედარს იყენებენ.

მთათა მიუვალ ქარაფებს შერწყმულა, შეუვალი ციხე-კოშუები, ერთმანეთზე გადაწეული ბილიკებზე ნიავისაგან ფავარგაფერენი ცენთა სწოლდა, — ზღაპრული სანაზაობა თუშეთისას!

ისინი მშვენიერნი არიან. მშვენიერია მათი სახელები: არაბულია, მერცხალია, ბედაურა...

ბუნებამ და ხალხებმა სელექციამ ბედნიერად შეეახა თუშური ცენს გრაცია, ამბანობა, სილაპაზე, ადამიანთა რამდენი შრომა, დაუსრულებელი ძიება და სელექციონერის ნიჭი დასჭირდა ბუნების მიერ შექმნილ ერთ-ერთ დიდ შედეგს — ცენს!

თუშური ცენის დიდება გუშინ არ დაბადებულა, ისევე, როგორც ხევსურული და მეგრული ძროხები, იმერული და თუშური ცხვრები, მეგრული თხა და ქახური ღორი, თუშური ცენიც საუკუნოვანი ხალხური სელექციის ნაყოფია, გამიჯნული მაღალმთის ძნელად სავალ პარობებში. თუშური ცენი მთელს კავკასიაში და მის გარეთაც განთქმულია. განთქმულია როგორც სწრაფად მზრბოლი, რომელიც ნახევარი სიტყვით უტეხს თავის მზდარს, ცნობილია როგორც ერთგული მებარგული, რომელსაც 100-150 კილოგრამი შეუძლია გადაატანოს შორ მანძილზე.

თუშა ცაცი და ცენი განუყოფელი ცნებებია. თუშა ცენზე არ იზადება, თორემ მთელ სიცოცხლეს საუფარელო პარუტყვთან ერთად ატარებს. ჭერ კიდევ ძუძუთა ბავშვები, ცენის ზურგზე აკადებული ზურჩინის თვლებში ჩამსულები, მთიდან ბარში თუ ბარიდან მთაში, სოფლიდან სოფლად მოგზაურობენ, მოაზრ-



დებიან და ცხენზე შესვამენ, დაეკაცდებიან და ცხენია მათი ჭირისა თუ ლხინის მუდმივი თანამგზავრი. საიშედონი, აქაურ კლდეებზე სიარულით ჭიჭიბებს თითქოს არც ჩამოუვარდებიან. დედამწიწაზე სხვაგან აღზაო, იშვიათად ანდობენ ცხენებს ძმდუთა ბავშვს.

ჯაჭვულას პარზე ცხენით გამოიყვანს თუში იჯახს, შემოდგომამდე დაბანაწებებს შაშა-შაშაა ნაფუძარზე, შემდეგ მოხსნის უნაგირ-საკაშს და ერთგულ პირუტყვის კარგა ხნით თავისუფლად მიუშვებს საძოვარზე.

იშვიათი სანახავია აქაური დოღოც. დაქორლებენ უბელო ცხენებს თუში ვეჯაცება, ეჩიბებიან ერთი-მეორეს. ერთ ორგანიწად ქველთა მშედარი და ცხენი, შოქაშეთა შემოკვილის, მთარხების მძიმე ტულაშუნს, ბეკანებზე ჩაფრენილ გადარეულ ცხენ-მხედარს სულ სხვა საწარმოში გადაიყვანა.

შაგარ აქაური შთის პარველყოფილ, ბუნებრივ კეიწებებს კიდევ უფრო დიდებულ იერს მატებენ თავისუფლებამაინიჭებულ ცხენთა რეშბი. უხსოვარ დროში ნაწონ თავისუფლებას — როცა საჭირო არ იყო ზურგიით მხედრის ტარება, ურჩიის თუ ეტლის ტარება — ცხენი ძალიან სწრაფად უზრუნდება და დიდად იყუჩებს. კასპიისპირეთსა და ვოლგისპირეთში, ჩრდილოეთ ამერიკასა თუ სამხრეთ საფრანგეთში ბუნებაში გაჭრილი ცხენები ველური ბუნების შვილებად იქცნენ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ფუჭი და ამო შიქმენა მათთვის უნაგირის დადგმის ყოველგვარი ცდა, დიდის მონდომებითა და გაჭირვებით დაქერილი ცხენები უარს ამბობდნენ ჭამაზე და პროტესტის ანეთი გზით იბრუნებდნენ თავისუფლებას.

დაჭრიან გომერჩასა და პარიკითის, წოვათასა და ომალოს მწვანე მინდვრებზე თუშური „მუხტანგებმა“ და გამოშვევად ჭიჭიბებენ. ტვირთაკიდებულო, ანდა შეკაშული თანამომქმენი ცხენი სოლიდარობის ნიშნად პასუხს აძლევენ. ამ პასუხიდან ჩანს: თუ არა აღიერი და მხედრის ძლიერი მარჯვენა, თავისუფლების ძელი ინსტიქტი უდავოდ აქვც გამოარჩებდა. გავა ორი, სამი, ან რამდენიმე კვირა და ეს დროებით თავისუფალი ცხენებაც თანამომქმენთა ბედს გაიზარებენ. გამოცდილი თუში მხედრებს მათ ისე ოსტატურად ამოღებენ ლაგას, დაუდგამენ უნაგირს, რომ მაშინვე გაიხსენებენ თავიანი ძირითად დანიშნულებას.

თუშეთში ადამიანისაგან დროებით გათავისუფლებული ცხენი შთის რომანტიკას კიდევ ერთი, განუმეორებელი შტრიხით ავსებს.

ასობით წლის მანძილზე დიდა კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ კალთების მეზობელი ტომები გამუდმებით ავიწროებდნენ თუშ მოსახლეობას. გაჭირვების ფასს თუშს დაუფასებელ სამსახურს უწევდა ერთგული მეგობარა ცხენი. ერთგულ სამსახურს უწევს მშვილობიან დროსაც: შრომაში, ლხინში, თუშური ცხენი გამრჩე ადამიანის ხელით გამოყვანილ შინაურ ცხოველთა მსოფლიო გენოფონდს მიეყოფნება. მისი შენარჩუნება და მომრავლება ამიტომაც ყოველად აუცილებელი და გადაუდებელი საქმეა. თავისუფლების მოყვარე ეს ლალი არსება თუშეთში რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანიზაციების მიერ ახლო მომავალში დასახული კეთილდღეობის პრობლემაში არახიდეს დაკარგება დანიშნულებას.

... იუველირის ხელი და მოთმინება დასჭირდა ბუნების შედევრის — ცხენის გამოყვანას. სამაგიეროდ, მის სილამაშესა და ადამიანთან მეგობრობაზე რამდენი შედეგია შეიქმნა ბელოცხენის სრულად სხვადასხვა დარგში, პოეზიაში. გაიხსენოთ ლერმონტოვის, ბარათაშვილის, ვალკოტინის სტროფები, დელაკრუას, პუსენის, გუდიაშვილის ტილოები, კლოდტის სკულპტურული ანსამბლები და, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი სხვა რამ...



საჟორტეპიანო პელაგობიქის პართი

საქითხის ბაემო

რუსულან ხოჯავა

შმაღლს მუსიკალურ სკოლებში პედაგოგიკის ინტენიური განახლების პროცესში წამოჭრა ახალი ტიპის სპეციალისტების მომზადების საკითხი, რომელიც მის-წავლუ-ახალგაზრდობისგან მოითხოვს არა მარტო პრაქტიკული ჩვევების მაღალ დონეზე დაუფლებას, არამედ სამეცნიერო საფუძვლების განმტკიცებას, თეორიული დისციპლინების ღრმა ცოდნას, დამოუკიდებელი პროფესიული აზროვნების განვითარებას.

ამვე ამოცანებს უკავშირდება სანოტო ტექსტის რედაქტირების საკითხიც. როგორც ვიცით, სიტყვა „რედაქცია“ წარმოდგება ლათინურიდან redactus, რაც ნიშნავს წესრიგში მოყვანას. არსებობს ორი ტიპი მუსიკალური რედაქციისა. ტექსტოლოგიური რედაქციები—Urtext-ის ავტორიული გამოცემები, სადაც ზუსტად არის დაცული ავტორისეული ტექსტი. თუმცა Urtext-შიც რედაქტორს ზოირად შეაქვს ელემენტარული ცვლილებები, რასაც თვით სანოტო ტექსტის ჩაწერის სპეციფიკური თავისებურებები განაპირობებენ. მაგალითად, როდესაც ნაწარმოები წინა ეპოქაშია შექმნილი, რედაქტორი ნოტების ჩაწერის თანამედროვე ნორმების შესაბამისად ცვლის მუსიკალური ტექსტის ფიქსირების იმდროინდელ ხერხებს. Urtext-ს უთანაბრდება კრიტიკული გამოცემები, რომლებიც იქმნებიან ყველა არსებული ავტორგრაფისა და ორიგინალური გამოცემის შედარებით ანალიზის შედეგად.

რედაქციის მეორე ტიპს წარმოადგენენ საშემსრულებ-

ბლო რედაქციები და ინსტრუქციული, პედაგოგიური რედაქციები; აგრეთვე ის რედაქციები, რომლებიც შეიცავენ როგორც საშემსრულებლო მითითებებს, ისე პედაგოგიურ კომენტარებსაც. ამ ტიპის რედაქციები წარმოადგენენ გარკვეული ინტერპრეტაციის ფიქსირების თავისებურ ფორმას.

სანოტო ტექსტის რედაქტირების საკითხი წყდება ავტორისეული ჩანაფიქრისა და შემსრულებლის ინდივიდუალობის ურთიერთმიმართების შექმნაზე. ამ პრობლემას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მუსიკის საპირობებს განხორციელების აქტს — შემსრულებლის შემოქმედებით შეამავლობას.

საშემსრულებლო ხელოვნებაში კამათი „ობიექტური სიზუსტისა“ და „სუბიექტური თავისუფლების“ შესახებ მომდინარეობს იმ დროიდან, როდესაც საშემსრულებლო მოღვაწეობა გაემიჯნა საკომპოზიტორის. თუმცა, ჯერ კიდევ 1722 წელს ფრანსუა კუპერნი წერდა: „მე ვაცხადებ, რომ ჩემი პიესები ისე უნდა შესრულდნენ, როგორც არიან დაწერილი. ისინი მაღალი გემოვნების ადამიანებზე ვერასოდეს მოახდენენ საჭირო შთაბეჭდილებას თუ შესრულების დროს ყველაფერი, რაც მე დავეწერე, რაიმეს დამატებისა ან მოკლების გარეშე, არ იქნება ზედმიწევნით დაულო“.

გასული საუკუნის საშემსრულებლო ხელოვნებაში ავტორისეული ტექსტის მიმართ მიღებული იყო თავისუფალი მიდგომა, რომელიც ვრცელდებოდა როგორც

საშემსრულებლო მითითებების, — ტემპის, დინამიკურ-აღნიშვნების, ისე თვით ტექსტის მიმართაც. ცნობილია, რომ ლიტრი სიცოცხლის ბოლო წლებში სინანულს გამოთქვამდა მის მიერ ბეთოვენის ტექსტში დაშვებულ დარღვევების გამო.

ჩვენს დროში, ზუსტი მეცნიერებისა და ტექნიკის ეპოქაში, გავლენა რომ მოახდინა მუსიკალურ აზროვნებასა და მის აღქმაზეც, სრულფასოვანი და მხატვრულად გამართლებულია ისეთი შესრულება, რომელიც ყურსდანიხა მეცნიერულად შესწავლად მუსიკალურ ტექსტს, და მის საფუძველზე ნაწარმოებს აძლევს დამოუკიდებელ ინდივიდუალურ გააზრებას. ასეთი შესრულების დროს შემსრულებელი ნაწარმოებს ასრულებს არა მარტო „სწორად“ არამედ, და რაც მთავარია, შემოქმედებითად — როგორც მის მიერ განცდილს, მის საკუთრებად ქცეულს.

ავტორის ჩანაფიქრისა და საშემსრულებლო ინტერპრეტაციის აბსოლუტური დამთხვევა არ არსებობს მაშინაც კი, როცა შემსრულებელს ეს მიზანი ამოძრავებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუნდაც იგი ამ ავტორის მოწაფე იყოს, სრული დამთხვევის შეუძლებლობა გამოხატულება იმ ზოგადი კანონზომიერებისა, რომლის მიხედვითაც ყოველი ადამიანი წარმოადგენს განუმოკლებელ ინდივიდს. ავტორის ჩანაფიქრსა და შემსრულებლის ინტერპრეტაციას შორის განსხვავება იზრდება პროპორციულად იმ დროსთან, რომელიც შემსრულებელს ამოვსებს ავტორისაგან. „სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანაირად ესმოდა“ — წერდა შუმანი. ერთი სიტყვით, წარსულის მუსიკის განსაზიარებასა და აღქმაზე დიდ გავლენას ახდენს დროის ფაქტორი. ცნობილი გერმანელი მუსიკალური მეკლავი არნოლდ ვერინგი (1877—1941) წერდა: „წარმოვიდგინოთ, რომ ბახის რომელიმე ნაწარმოები სრულდება მაქსიმალური სტილისტური სიზუსტით, ყველა უგუნჯო რეტორიკის დაცივით, თავისი ორიგინალური სუბითა — ერთი სიტყვით, წარმოვიდგინოთ, რომ ვიმყოფებით 1724 წლის ლაიფციგში. ვანა ეს ნაწარმოები, როგორც ხელოვნების ნიმუში, მსმენელზე ისეთივე შთაბეჭდილებას მოახდენს, როგორსაც იგი ასოთხმოცი წლის წინათ ახდენდა? როგორც ჩანს, არა. წარსული საუკუნის ოსტატთა შედევრებმა ჩვენი სმენა და ჩვენი აღქმა აზიარეს სხვა კრატერებზე. ჩვენი მუსიკალური გამოცდილება ამდრდილებულია ჰაინდის, მოცარტის, ბეთოვენის, ვეებერის, შუმანის, შუმანის, ბრაშის, ლისტის, ვაგნერისა და სხვათა მუსიკისაგან მიღებული შთაბეჭდილებებით. ყოველივე ეს ისე ღრმად აღიბეჭდა ჩვენს მუსიკალურ ცნობიერებაში, რომ შეუძლებელია მისი უგულვებელყოფა...“

შემსრულებელს შესრულებაში შეაქვს რაღაც პირადი, პოდიმნარე საკუთარი ინდივიდუალიზიდან. მიუხედავად ამისა, შესრულება მაინც ყოველთვის უნდა ვარირებდეს კომპოზიტორის ჩანაფიქრის ჩარჩოებში. ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც შემსრულებელი სწავდება და ინარჩუნებს ავტორისეულ ტექსტში მოცემულ კანონზომიერებებს, სწავლება ნაწარმოების არსსა და მის ქვეტექსტს. მაგრამ იმისათვის, რომ ქვეტექსტს ჩაეწვდეთ, საჭიროა თვით ტექსტის ზუსტი წაკითხვა — „შეუძლებელია დაეუკრათ ის, რაც „ნოტებს“ მილია“,

თუ არ დაეუკრათ ის, რაც დაწერილია ნოტებში“
წერდა შარლ მიუნში.

სწორედ აქ დგება რიგი ისეთი მნიშვნელოვანი და არსებითი საკითხებისა, როგორცაა ავტორისეული ტექსტის და მისი წაკითხვის საკითხები, საშემსრულებლო რედაქციების საკითხი.

დღეს ყველა ამ საკითხს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თანამედროვეობის ის საერთო ტენდენცია, რომელიც მიმართულია მუსიკოს-შემსრულებლის, მუსიკოს-პედაგოგის, მოსწავლის გონებრივი შესაძლებლობების აქტიუზაციისაგან. აქედან გამომდინარე, მუსიკოს-პედაგოგის წინაშე დგას პრობლემატი, განმეორებულში სწავლებს იდეა, რომელიც წარმოადგენს პედაგოგიური პროცესის ერთ-ერთ არსებით მომენტს. ამ იდეამ წამოჭრა ერთი მხრივ, ავტორისეული ტექსტის მეცნიერული შემოწმების, შესწავლისა და დაზუსტების ამოცანები, ხოლო, მეორეს მხრივ, ამ ტექსტის საფუძველზე, დამოუკიდებელი, მხატვრულად გამართლებული წაკითხვის ჩვეულების გამოშვებისა და განვითარების აუცილებლობა. აქედანვე წარმოიჭრა საკუთარი საშემსრულებლო რედაქციების შექმნის ტენდენცია, რომელიც ეფუძნება არსებულ საშემსრულებლო პრაქტიკისა და ტრადიციების შესწავლას და მათდამი კრიტიკულ მიდგომას.

ვინაიდან, ავტორისეული ტექსტის მხატვრულად გამართლებული წაკითხვა უნდა ეყრდნობოდეს, პირველ რაგში, მოცემული ტექსტის შესწავლას, (ე. ი. საჭიროა არა მარტო ზუსტი წაკითხვა და ბრმა რეპროდუქცი: ტექსტისა, არამედ სწრაფვა მისი არსის წედომისაკენ). ამდენად, აქ უკვე უდიდესი როლი ენიჭება მოსწავლეთა — მომავალ შემსრულებელსა და პედაგოგთა შესატყვისი ცოდნისა და კულტურის გამოშვებას. მოსწავლე მიჰყვება რა კომპოზიტორის აზრთა დინებას, უნდა დარწმუნდეს, რომ კომპოზიტორისეული საშემსრულებლო მითითებები, როგორც წესი, წარმომდგარია ტექსტში მოცემული კანონზომიერებებიდან. მან უნდა ისწავლოს ამ კანონზომიერებათა ამოკითხვა, ვინაიდან, გოლდენვეიზერის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ვერ იქნება კომპოზიტორზე ქვიანი“.

რაც შეეხება რედაქტორის მიერ შემოტანილ საშემსრულებლო მითითებებს, მოსწავლემ უნდა ისწავლოს გარჩევა, თუ რა შემთხვევებში მომდინარეობს რედაქტორის შენიშვნები ავტორის ტექსტიდან, და როდის უგულვებელყოფს რედაქტორი ნაწარმოების ფუძემდებელ კანონზომიერებებს, ამახიჩავს, ახვევს მას უცხო თვისებებს.

რესპუბლიკის მუსიკალურ სასწავლებლებში, სკოლებსა და მუსიკალურ სტუდიებში ლექცია-კონცერტების ჩატარების დროს დაგრწმუნდი, რომ პედაგოგების მნიშვნელოვანი ნაწილი ნაკლებად იცნობს მუსიკალურ ნაწარმოებთა სხვადასხვა რედაქციებს. მათ ამა აქვთ შერჩევითი მიდგომა, ვინაიდან არ არის დადგენილი ამა თუ იმ რედაქციის ხარისხის კრიტერიუმი, ნაკლებად არის ცნობილი რედაქტირების პრინციპები. ახალგაზრდობს ამა აქვს გამოშვებული სანოტო ტექსტის დამოუკიდებელი რედაქტირების ჩვეულები, რის გამო ხშირად ვაწყდებით შეუთანხმებლობას ცალკეული სარედაქციო დეტალებსას. მაგრამ ახალგაზრდა პედაგოგებს დიდ სურვილს



აქტ — გაერვენი სხვადასხვა რედაქციების თავისებურებებში. ეს განსაკუთრებით შეინიშნება ბახის ინენციებზე, სკარლატის, ჰაიდის, მოცარტის, ბეთჰოვენის სონატებზე მუშაობის დროს.

როგორც აქედან ჩანს, მწვავედ დგას სანოტო ტექსტის რედაქტორების ჩვევების გამომუშავების საკითხი. ამ ჩვევების გამომუშავება უნდა ხდებოდეს ან სპეციალური ფორტპიანოს, ან პედაგოგიური პრაქტიკის გაკვეთილებზე.

უღრესად საინტერესოა ამ მხრივ ცნობილი საბჭოთა ორგანიზატორის, მუსიკალური მკვლევარის და ბახის საკლავირო ნაწარმოებების რედაქტორის, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორის ლ. როიზმანის მეთოდი, — იგი სტუდენტს ავალბებს რომელიმე კომპოზიტორ-კლავირისტის ტექსტის რედაქტორის მის.

მოსწავლის დამოკიდებულება სანოტო ტექსტის მიმართ აღზრდას მოითხოვს. ამ მხრივ არსებობს უცხოელ და საბჭოთა პედაგოგთა საყურადღებო დაკვირვებები. ჩვენს რუსულთაში გამოიკვამ. ავაზაშვილის კრებული — „ფორტპიანოზე დაკვირვის სკოლა სწავლების I წლისათვის, დამატებითა და სანოტო რეელი საგარჯიშოებისათვის“. ამ სახელმძღვანელო მინდვით მოსწავლეთი თვითონ უნდა განსაზღვროს ჰიესის ხასიათი, ტემპი, დანაკის დინამიკური ნიშნები, შტრიხები, ხოლო შემდეგ ზუსტად შესარტულოს ყოველივე ეს. იწყება დამოუკიდებელი აზროვნების გამომუშავება.

განსაკუთრებით მწვავედ დგას ძველებური საკლავირო მუსიკის, ბახის და ბახამდელი მუსიკის რედაქტირების საკითხი.

მუსიკოსის აღზრდისათვის, მისი პიროვნების ფორმირებისათვის დიდი ესთეტიკური, ეთიკური და პედაგოგიური მნიშვნელობა ენიჭება ძველებური მუსიკას. სამწუხაროდ, პედაგოგების ფართო წრეებში ამ გარემოებას არ ექცევა სათანადო ყურადღება. გარდა პროგრამით გათვალისწინებული ი. ს. ბახის პოლიფონიური ნაწარმოებებისა, კომპოზიტორ-კლავირისტების ნაწარმოებებს ნაკლები ადგილი ეთმობათ პედაგოგიურ პრაქტიკაში, როგორც სწავლების დაწყებით, ისე საშუალო და უმაღლეს რგოლში ამიტომ ეს შესანიშნავი მუსიკალური მემკვიდრეობა, რომლის მხატვრული ღირებულება ესოდენ მაღალია, მოსწავლის—მოძველი პედაგოგისა და შემსრულებლის აღქმისა და შესწავლის მიღმა რჩება.

უკანასკნელ ხანს მთელს მსოფლიოში გაიზარდა ინტერესი ბახის და ბახამდელი მუსიკის მიმართ. ეს ინტერესი დაბასიათებლად შემსრულებლების, მკვლევარების, რედაქტორებისათვის და მუსიკის მოყვარულთა ფართო აუდიტორიისათვისაც. მაგრამ პედაგოგიურ პრაქტიკასა და საზოგადოების მუსიკალურ მოთხოვნილებას შორის აღინიშნება ერთგვარი წინააღმდეგობა. მუსიკისმოყვარულნი დიდი საინოვნებით ისმენენ ძველებური მუსიკას, ხოლო პროფესიონალებმა ბევრ შემთხვევაში არ იციან როგორ უნდა შესრულდეს ეს მუსიკა ახალგაზრდა პედაგოგებმა შემომჩველს — შევიძინე საკლავირო მუსიკის კრებული, მინდა მიეცე დასაკრავად მოწაფეს, მაგრამ არ ვიცი, როგორ უნდა შესრულდეს იგი. როგორც ჩანს, ძველებური მუსიკის კრებულებს წამძღვარებელი მონაწილანი შესავალი წერილები საკმარისი არ

არის ამისათვის. საჭიროა, რომ სტუდენტი ეცნობოდეს ამ მუსიკას სწავლის პროცესში.

ზემოაღნიშნული დასკვნების გამოტანისას ჩვენ ძირითადად ვყურდნობოდით ჩვენ რუსულთაში გამოცემულებს, თუმცა, როგორც ჩანს, ეს პრობლემა საყოველთაოა. ცნობილია ავსტრიელმა პიანისტმა, პედაგოგმა და მკვლევარმა პაულ პლანერ-სკოლამ 1973 წელს ნ. კობაჩევსკისთან საუბარში აღნიშნა, რომ ამ სფეროში ჯერ კიდევ ბევრია გასაყეთებელი მსოფლიოს მასშტაბით. აი, რას ამბობს იგი ბახის საკლავირო ნაწარმოებების შესრულებაზე: „შემსრულებელთა უმრავლესობა არ იცნობს ბახის მუსიკის არა მარტო რიტმულ კანონებს, არამედ არტიკულაციას, ორნამენტების შესრულების სტილს და ა. შ.“.

უპირველესად, საჭიროა მოსწავლეს განუთავსოს XIX საუკუნის კომპოზიტორთა ტექსტებისთვის საკლავირო მუსიკის ტექსტების გარჩევის უნარი. ავუსხნათ საკლავირო მუსიკის რედაქტირებასთან დაკავშირებულ სართულელები, რომლებიც სათავეს იღებენ იმდროინდელი ინსტრუმენტების მსკიფილიდან. ვფიქრობთ, საჭიროა, რომ სტუდენტი-პიანისტები ეცნობოდნენ ამ ინსტრუმენტებს — ჯევერისა და ორგანოს, რაც, სამწუხაროდ, არ ხდება პედაგოგიურ პრაქტიკაში. ამასთან ერთად, კომპოზიტორ-კლავირისტების ოხხულებებში არ არის საშემსრულებლო მითითებები. ბახი თავის დროის პრაქტიკის შესაბამისად არ აღნიშნავდა ნოტებში ტემპს, დინამიკას, არტიკულაციას, (აღნიშვნებს ვხვდებით იშვით შემთხვევაში). ხშირად ძნელია კატეგორიული მტკიცება იმისა, თუ როგორ უნდა შესრულდეს ესა თუ ის ეპიზოდი ან ნაწარმოები. სწორედ ამიტომ არც ერთი რედაქცია, თვით ძალზე ავტორიტეტულიც, არ უნდა მივიღოთ როგორც უდავო და საბოლოო.

ყოველი რედაქცია თავისი ეპოქის პროდუქტია. ათეული წლების მანძილზე ძირფესვიანად იცვლებოდა შეხედულებები ბახის მუსიკის შესრულებაზე, იცვლებოდა შესრულების სტილი. პაულ ჰინდემიტი ამბობს, რომ: „თვითელი თაობა ცდილობს ბახი წარმოიდგინოს თავისებურად“. შესაბამისად ცვლილებები ხდებოდა და ხდება რედაქტორულ შეხედულებებშიც. სწორედ ამიტომ ჩვენ არა გვაქვს უფლება, ვანერჩველად და უტირტიკოდ ვიარაგვებოთ ძველი რედაქციებით. ზოგ შემთხვევაში კი მთლიანად უნდა უარი ვთქვათ ძველ რედაქციებზე.

რადგან ბახის და სხვა კომპოზიტორ-კლავირისტის ნაწარმოებთა არც ერთი რედაქცია არ არის სრულყოფილი, ამიტომ პედაგოგს, შესრულებელს, მოსწავლეს ეძლევა დამოუკიდებელი მიზეზი, ექსპერიმენტირების უფლება. როგორც ბაღურა-სკოდა ამბობს, პედაგოგი და მოსწავლე უნდა ეცნობოდეს თანამედროვე მუსიკის მკითხვლების მიღწევებს მუსიკალური სტილის, მისი პრობლემების სფეროში; აუცილებელია ძველებური საშემსრულებლო ტრადიციების საკითხებში გარკვევა: შესწავლა ამა თუ იმ კომპოზიტორისა და ეპოქის მუსიკალური სტილისა, ასე მაგალითად, დიდ დახმარებას აღმოუჩენს პიანისტს, პედაგოგს, ბახის ბრანდენბურგის კონცერტების პარტიტურები, სადაც ბახს მოეცემლი აქვს არტიკულაციური ლიგები, ბახის მიერვე გამოფრული მელიზმები. ასეთ შემთხვევაში ჩვენ გვეძლევა საშუალება ავირ-



ჩიით და შევთავაზოთ მოწაფეს იმ მრავალრიცხოვან შესაძლებლობებს შორის შესრულების ის ვარიანტი, რომელიც მოცემული აქვს თვით კომპოზიტორის და შევძლებით კიდევაც დავასაბუთოთ ჩვენი არჩევანი.

ამ მხრივ, მართებულია და სარგებლობის მომტანი ამ საკითხისადმი ნ. კობაქეძის მიდგომა. მის მიერ რედაქტირებულ საკლავირო პიესების კრებულებში ზოგიერთ შემთხვევაში იგი საკვანძო ტრეკებს ტექსტს ტემპისა და დინამიკური აღნიშვნების გარეშე, რითაც დამოუკიდებელი ვაგზრების საშუალებას აძლევს პედაგოგსა და მოსწავლეს.

პროფესორი ლ. როიზმანი აღნიშნავს, რომ სოციალისტურ რესპუბლიკებსა და განსაკუთრებით გდრ-ში პრინციპულად ახალი, თანამედროვე შეხედულებები ეითარდება ბახის ნაწარმოებთა გამოცემის თაობაზე. აას გვაიმოწმებენ ბ. კელერის, ე. ზოლდანის რედაქციები. ამ ახალი რედაქტირული მიმდინარეობის ძირითადი ამოცანაა, აღნიშნავს როიზმანი, მისწრაფება კომპოზიტორის ჩინაფიქრის მაქსიმალური დაზუსტებისაკენ. ჩვენთვის სანამუშაოა ბახის ნაწარმოებთა როიზმანისეული რედაქციები შესრულებული თანამედროვე დონეზე. მათ დიდი სარგებლობა მოაქვთ როგორც მოსწავლეთათვის, ისე ახალგაზრდა პიანისტებისათვის. ბახის ნაწარმოებთა ჩერნის რედაქციები კი კარგა ხანია მოაქვდა და უგულვებელყოფილია ავტორიტეტული მუსიკოსების მიერ. მიუხედავად ამისა, ჩვენი რესპუბლიკის გამოცემებში გავაგრძელებ ჩერნისეული რედაქციების ბეჭდვას, გვერდს უვლიან იმ რედაქციებს, რომლებიც თავიანთი მხატვრული და პედაგოგიური ღირსებებით შეესატყვისებთან ჩვენი დროის მოთხოვნილებებს.

სანოტო ტექსტის რედაქტირების საკითხებს განიხილავენ ა. გოლდენვეიზერი და ი. ბრაუდო (საკლავირო მუსიკის რედაქტირება), რომელთა დებულებებმა და აგრეთვე პროფ. ლ. როიზმანის შეხედულებებს ეყრდნობით წინამდებარე წერილში. საკლავირო მუსიკის შესრულების საკითხებს კი ეძღვნება ბრაუდოს, როიზმანის, ალექსევის, დრუსკინის, ასლანიშვილის, კალინანას და სხვათა გამოკვლევები. აღსანიშნავია, აგრეთვე ბახის ნაწარმოებთა და საკლავირო პიესების კრებულებს ვრცელი შესავალი წერილები, ბაშლაგის წიგნი „ორბამენტია მუსიკაში“, რომელმაც სვეციალისტების აზრთა სხვადასხვაზეა გამოიწვია, მაგარა, სამწუხაროდ, ყოველივე ეს გამოდის მცირე ტირაჟით. პედაგოგთა მნიშვნელოვან ნაწილს, განსაკუთრებით რესპუბლიკების ქალაქებსა და სოფლებში (მუსიკალური სკოლები და ღღეს ჩვენთან ყველგანაა) ხელი ვერ მიუღწევიათ ამ ლიტერატურასა და სანოტო მასალაზე. ერთი სიტყვით, საჭიროა ქართულ ენაზე დამზარეული ლიტერატურის შექმნა „მუსიკის პედაგოგის დასამარებლად“ და ანოტირებული გრამფირფიტების გამოშვება.

სასურველია, რომ თბილისის კონსერვატორიის სპეციალური ფორტეპიანოს, პედაგოგიკისა და მეთოდის კათედრების, კულტურის სამინისტროს მეთოდოპედაგოგებთან ერთად ამ დარგში უფრო ქმედითი და ორგანიზებული დახმარება გაუწიონ რესპუბლიკის საშუსოკო სასწავლებლებს, სკოლებს, სკოლა-სტუდენტებს, პედაგოგიურ კადრებს.

შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვის დღევანდელი თეატრალური ცხოვრების ყველაზე ნიშანდობლივი მოვლენაა მოულოდნელი „დეცენტრალიზება“ ნურტილებისა რაც მასურებელთა აქტიურ ინტერესს აღძრავს. რასაკვირველია ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს, ტგანკის მალაია ზრონაიას ან ლენინური კოპკაშვილის სახელობის თეატრების დარბაზები დაცარიებული უბლიყოს, მაგრამ მით უფრო თვალშისაცემი ამბავია, რომ მსოფლიო სახელის მქონე თეატრების რეჟისორული და აქტიორული მიღწევებით განვსვრვებულ მასურებელს ასე იზიდავს კრასნაია პრესნიას თეატრი-სტუდია (მთავარი რეჟისორი ე. სპეცივევი), ჩაილიგინის ქუჩის „სარდაფი“ (ხელმძღვანელი ო. ტბაკოვი), ან რ. ვიკტიუკის ახალი ნამუშევარი მოსკოვრეჩის კულტურის სახლში. იქ მასურებელი სტუდორ ატმოსფეროში ხდებდა, ეს ატმოსფერო კი ყოველთვის უჩვეულოდ ამაღლებული და წრფელია, სინრფლის გინდა კი დღევანდელ მასურებელს მშვენიერის განცდაზე ნაკლებ რთი იზიდავს.

ეს ახალგაზრდული თეატრები გამოცდილებით, ოსტატობით, ტექნიკით. ბუნებრივია, ზოგჯერ ვერ დგანან უფრო ხანდაზმული თეატრების დონეზე. მაგრამ ისიც უდავოა, რომ ახალბედები, ხშირად, უფრო გვიწოდებენ თავიანთი უშუალობით, პირდაპირობით, გაბედულებით, ალტიკებით. შემთხვევითი როდია, რომ სწორედ ამ თეატრების „მცირე სცენაზე“ იდგამს ფეხს ახალგაზრდა დრამატურგთა ახალი ნაწარმოებები, სწორედ აქ ტარდება ყველაზე გაბედული ექსპერიმენტები. რომლებიც, ხშირად, წარმატებით გვირგვინდება. დღევანდელი ახალგაზრდული სცენის მაჯისიღემით შეგვიძლია განვჭვრიტოთ ჩვენი აკადემიური თეატრების მომავალიც, მათი ხალხნიდელი დღე.

მოსკოვში „მცირე სცენების“, „მცირე დარბაზების“, სტუდენტისა და „სარდაფების“ გამოჩენა სასიკეთო საქმედ მიგვაჩინია. მოდის ნიჭიერი ახალგაზრდობა, მოდის თავისი გემოვნებით, მოთხოვნილებით, მისწრაფებებით. ეს კი, იმასთან ერთად, რომ ყოველთვის საინტერესოა, ყოველთვის (მით უფრო დღეს) უცვლილებელია. სიტყვამ მოიტანა და, ვიტყვი, რომ ანალოგიური პროცესი ხდება ლონდონის თეატრალურ ცხოვრებაში. ჟურნალ „იუნოსტი“ ამას წინათ გამოქვეყნებულ

„XX საუკუნის სიმღერები“

ა. ბესტავაშვილი, გ. დიომინი

ი. სმელკოვის სტატიაში კი უკვე მოცემულია ცდა იმისა, რომ სამოყვარლო ახალგაზრდული თეატრების ფესტივალის მასალების მიხედვით შეჯამდეს პირველი შედეგები და გაკეთდეს საგულისხმო დასკვნები.

მოსკოველ დრამატურგთა უკანასკნელ შეკრებაზე სამართლიანად აღინიშნა, რომ ახალი (თუნდაც, მცირე) თეატრების შექმნა მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს ახალგაზრდული დრამატურგიის განვითარებას, რადგან ისეთი ვითარებაა, რომ ახალგაზრდა დრამატურგების კარგი პიესების დადგმაც კი ვერ ხერხდება, ვინაიდან აკადემიური თეატრების რეპერტუარი ძალზე გადატვირთულია. ჰოდა, სხვაგან სადაა დებიუტებისა და ექსპერიმენტების ადგილი, თუ არა ისევ ახალგაზრდულ სცენაზე, სად უნდა მოსინჯონ ახალგაზრდებმა თავიანთი ძალა, სად უნდა გასწიონ რისკი?

ძალზე პერსპექტიული ჩანს თბილისში მეტეხის თეატრისა (მთავარი რეჟისორი ს. მრველიშვილი) და კინოსტუდია „ქართულ ფილმიდან“ არსებული თეატრალური სახელოსნოს (ხელმძღვანელი მ. თმანიშვილი) არსებობა. მაგრამ დღეს უკვე სასურველია, რომ თბილისში მეტი და მეტი თეატრალური მოედანი მოქმედებდეს — თბილისის უმიდრესი სცენურის ტრადიციები ამის სრულ წინაპირობას ქმნის.

ქართული თეატრის გამოგნებელი წარმატება საზღვარგარეთ ახარებს ყველას. ვინც კი თეატრალურ სამყაროს ზიარებულა, მაგრამ ეს წარმატება, იმავდროულ-

ად, ახალი ამოცანების წინაშე აყენებს თეატრს, რამეთუ, საბოლოო ჯამით, მასურების სულიერი და კულტურული დონე განსაზღვრავს თეატრის დონეს. კაცმა რომ თქვას, არც ერთი ხელოვნება არ არის იმდენად დამოკიდებული „მომხმარებლისაგან“, არც ერთი ხელოვნება არ არის სისხლხორცვეულად ისე დაკავშირებული მასთან, როგორც თეატრი. მსახიობსა და რეჟისორს ზოგჯერ, დარბაზის რეაქცია უფრო მეტს აძლევს, ვიდრე სპექტაკლის პროფესიული ანალიზი, და მსახიობი თუ რეჟისორი. ზოგჯერ, მასურებისგან უფრო მეტს იღებს, ვიდრე იქით აძლევს მას. ცოცხალი ურთიერთობა მასურებელთან, რასაც მოკლებულია კინო, ხელოვნების ეს ყველაზე მასობრივი სახეობა, თეატრს წარმოუდგენლად დიდ უპირატესობას ანიჭებს ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით. და შემთხვევითი არაა, რომ სამოცდაათიან წლებში, როცა იწყება კინემატოგრაფის ქეშმარიტად „ოქროს ხანა“, ხალხი დაუოკებელი გატაცებით აწყდება თეატრს. თითქოს სხვაგვარად უნდა ნასულიყო საქმე, თითქოს კინო და ტელევიზიონისგან ვერა ძალას ვერ უნდა მოეწყვიტა მასურებელი.

უშუალო კონტაქტის, ცოცხალი ურთიერთობის წყურვილმა მასურებელი თეატრში დააბრუნა, მეტიც — დღეს მასურებელს ფიცარნაგებზე უხმობენ! შიშით შეეყურებდით ამას, „გარშეშეშს შესვლა ეკრმალებოდა“ და ფეხისწვერებზე ავიდიოდა სცენაზე, რათა გვენახა რ. ვიკტიუკის მიერ დადგმული „მუსიკის გაკვეთილები“ ან

ვ. რუდის სპექტაკლები „სიყვარული“ და „კიბისქვეშა გალია“. მაგრამ მალე შიშის ნაცვლად სიხარული გვეუფლებოდა — მორჩა, ამას იქით გარეშები არა ვართ! სცენაზე ავდივართ ძნელად გზასაგნები კულისებისმილმა ზიგზაგებით და ვარკვევთ—სად დავსდებით? ამ მორთესაც და იმ მხარესაც დაახლოებით ერთნაირი სკამები დგას. ჩვენ სად ვსდებით და მსახიობები სად სხდებიან? თავზიანი, გულისხმიერი გოგონები და ჭბაუკები გვიწვევენ — დაბრძანდითო. სულ რამდენიმე რიგია ხაზგასმულად კამერული, ინტიმური მორთულობა. მსახიობები თამაშის დროს პირით ჩვენსკენ არიან მოქცეულნი, ზურგით — მყურებელთა ცარიელი დარბაზისკენ. თავიდან ყოველივე ეს ბუნდოვან პროტესტს იწვევს: რა ყირამალობაა? ვის რაში სჭირდება ასეთი რამ? სპექტაკლის დაწყებიდან ნახევარი საათის შემდეგ პროტესტისა და გაურკვევლობის გრძნობა ქრება. ის კი არაა, გრძნობ, რომ ეს ყველაფერი „ჩვენია“ და „ჩვენზეა“. მსახიობები თითქმის უგარიზოდ არიან, ჩვენსავით აცვიათ. ისე თამაშობენ, რომ ვერც ამჩნევთ, თუ თამაშობენ. რაც მთავარია, რეჟისორი არც კი გახსოვს. კარგია ეს თუ ცუდი? არამცდარამც არ ვამცირებთ „რეჟისორული თეატრის“ მიღწევების მნიშვნელობას, — ამ თეატრმა უნიჭიერესი ოსტატების მთელი პლეადა წარმოშვა, — მაგრამ მაინც შევნიშნავთ, რომ ამ ბოლო ხანს მყურებელი ერთგვარად მოქანდა რეჟისორის ავტორიტეტულობაში. ხომ არავინ დაინკეებს ახლა კამათს იმაზე, რომ უკვე კარგახანია სპექტაკლში მთავარი რეჟისორია, დიახ, რეჟისორი და არამცდარამც მსახიობი ან, მით უმეტეს, დრამატურგი! რეჟისორულ თეატრს ვუმაღლით ჩვენ ბევრ გამარჯვებას და მისი ღვანლის დაუფასებლობა უსამართლობაც იქნებოდა და უმადურობაც, მაგრამ დრო მიდის და მიდის, იგიც იცვლება და ჩვენც ვიცვლებით, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცვლილებების მოლოდინში ვართ.

დღეს რეჟისორს მოუწევს „ჩრდილში მოექცეს“, რათა მყურებელს მსახიობთან ურთიერთობის საშუალება მისცეს არა მარტო მკაცრ რეჟისორულ ფარგლებში. თუკი, ვთქვათ, ცოტა ვინმეს ახსოვს მთავარ როლებსაც კი ვინ ასრულებდა ტაგანკის თეატრის „გუშინდელ“ სპექტაკლში „ოსტატი და მარგარიტა“ და ბევრი ვერც კი შეამჩნევს ერთი მსახიობის მეორით შეცვლას, რადგან ამ სპექტაკლში მთავარი იყო არა მსახიობი, არამედ რეჟისორის ჩანაფიქრი, დღეს კი ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია ლენინგრადის დიდ დრამატულ

თეატრში „ცხენის ისტორია“ ლებედვეის გარეშე ან რუსთაველის სახელობის თეატრში „რიჩარდ III“ რამაზ ჩხიკვაძის გარეშე, თუმცა, ერთ შემთხვევაშიც და მეორე შემთხვევაშიც არაჩვეულებრივად დიდია რეჟისორის როლი.

ესაა სწორედ ცხადი მაგალითი იმ „ბუნობისა“, რომელიც ახლა დგება და იჭერს ადგილს „რეჟისორული თეატრისა“, თეატრისა, რომლისთვისაც თვით პიესის ტექსტიც კი რეჟისორის ნებასდაყოლილ ნედელ სამუშაო მასალასაკითხა, ცვლივითაა.

მაშ, ასე, ახალ თეატრს სჭირდება არა მხოლოდ ახალი „შექმნიველი“ რეჟისორი, არამედ ახალი აქტიორული შემოქმედებლობაც. მოსკოვის ახალი დრამატული თეატრის სპექტაკლის განხილვისას რეჟისორმა მარკ ზახაროვმა ძალზე ზუსტად თქვა: „აქ „თამაში“ საჭირო არაა, აქ „თამაში“ საქმეს აფუჭებს...“ „თამაში“ ის გულისხმობდა მთელ კომპლექსს ათეული წლების მანძილზე ხმარებისგან გაცვეთილი ხერხებისა და საშუალებებისა, რომლებიც გამოუსადეგარი იყო ახალგაზრდა რეჟისორი მ. რუდის მიერ დასადგმელად ზერჩეული დრამატურგიული მასალისათვის.

და ბოლოს, ახალი თეატრი მაშინ ისახება, როცა ახალი დრამატურგია იქმნება: ვ. სლავეკინის, ა. კოხანცევის, ვ. მილაიკინის, ლ. პეტროშევისკაიას პიესებს მარტო ახალგაზრდული თეატრების რეპერტუარში როდი უჭირავს თვალსაჩინო ადგილი, მაგრამ ამ ტალანტების აღმოჩენის პატივი

სცენა სპექტაკლიდან „სიყვარული“.





სცენა სპექტაკლიდან „კიბისქვეშა გალია“.

მანც თვითშემოქმედებით კოლექტივებს, თეატრ-სტუდიებს, სტუდენტურ თეატრებს ეპუთენით.

ლიჯდმილა პეტრუშევსკაიას დღეს ყველაზე პოპულარულ დრამატურგად აღიარებენ, მის სახელს თანამედროვე რუსული დრამატურგიის „პოსტკამპილივის“ ეტაპს უკავშირებენ. იგი ავტორია ოცზე მეტ პიესისა, რომელთა ნახევარი დადგმულია. პირველად მისი პიესები განახორციელა ლოვოის თეატრმა „გაუდეამუსმა“, ამჟამად კი მის ორ პიესას დგამს იური ლიუზმიოვი ტავანკის თეატრში. მის პიესებს ელოდებიან ოღვე ევროპოვი და მარკ ზახაროვი, რომლებმაც არაერთჯერის განაცხადეს, ლ. პეტრუშევსკაია უადრესად თანამედროვე ყაიდის, თავისებური, განუყოფორებელი ნიჭის დრამატურგიაო.

ბევრი მასურებლისთვის ლ. პეტრუშევსკაიასთან ნაცნობობა მანც მულტიფილმით დინწო და არა თეატრით. მხედველობაში გვაქვს ფილმი, რომელიც ლ. პეტრუშევსკაიას სცენარით გადაიღო მულტიფიკაციის შესანიშნავმა ოსტატმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა იური ნორშტენმა. მისმა საუკეთესო ფილმებმა „ყანა

და წერო“, „ზღარბი ნისლში“ მსოფლიო აღიარება პპოვა: ნორშტენის ახალსაქმეშეუარსაც „ზღაპართა ზღაპარს“ უდავოდ, დიდხანს უწერია სიცოცხლე ხელოვნებაში. 1980 წლის აპრილში დუშანბეში გამართულ XIII საერთაშორისო კინოფესტივალზე მას მიენიჭა პირველი პრიზი.

მულტიფილმის შინაარსის მოყოლა ფუქი საქმეა, ამიტომ აქ შემოვიფარგლებით იმის სურვილით, რომ იშვიათი პეტტური სულით გამსჭვალული ფილმები ნორშტენისა და პეტრუშევსკაიასი ყველამ ნახოს.

ბავშვობის მოგონებები, ომი, თითქმის მივიწყებული იანჯანა, შემოდგომის ფოთოლცვენა, დაცარიელებული აგარაკები. განშორება, მშობლიური მიწის გულდამ თუთქველი სიყვარული — ყველაფერი ეს ნაჩვენებია ეკრანზე, დიახ. ნაჩვენებია, რადგან ფილმში ტექსტი არაა გამოყენებული. საუბარი წარმართულია სიმბოლოებით, მეტაფორებით, სახეებით, ნიშნებით. ამ უტექსტო ფილმმა კიდევ უფრო თვალნათლივ წარმოაჩინა პეტრუშევსკაიას დრამატურგიის მთავარი ღირსება — მისი მგზნებარე, უმოწყალო (რა პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს ეს) სიყვარული ადამიანისადმი და ეს სიყვარული უმოწყალო იმიტომაც, რომ იგი უსახდეროა, უსაშველოდ ძლიერია. ჩვენ ხომ იოლად მივუტყვებთ ხოლმე იმათ, ვინც ჩვენს გულთან ახლოს არაა, მაგრამ უფრო მკაცრნი ვართ იმთ მიმართ, ვინც გვიყვარს.

ი. ნორშტინმა შეიგრძნო ლ. პეტრუშევსკაიას ამგვარი სიყვარული და იგი ფილმ „ზღაპართა ზღაპარში“ გადაიტანა. მთელ ფილმს სიყვარული და სიკეთე ადგას შარავანდად.

აქ ისიც უნდა ვთქვათ ზახასამით, რომ პეტრუშევსკაიას არა მარტო უყვარს ადამიანი. იგი მას უადრესად პატივსაც სცემს. თანაც, ყოველგვარი იდეალიზაციის გარეშე, ისე, რომ სულაც არ ხუჭავს თვალს მის ნაკლოვანებებზე.

ადამიანის პატივისცემა, — არა მალაფარდოვანი, გულისამაჩუყველი, დამპირული, არამედ მკაცრი; ღრმად შინაგანი გრძნობა საერთოდ ახასიათებს იმ ახალგაზრდა რეჟისორთა ნამუშევრებს, რომლებზეც გვინდა აქ გვახარებოთ.

ადამიანის (და არა ჯუნგლებისადმი, რაც უნდა იდუმალი და მშვენიერი იყოს იგი) სადიდებელი პიძინად აფლერა ო. ტაბაკოვის სტუდიაში რეჟისორების — კ. რაკინისა და ა. დროზდინის სპექტაკლი „მავული“.

„ჯუნგლების ნიგნი“ — „მავული“

სცენაზე მხოლოდ ერთ საათზე ცოტათი მეტხანს გრძელდება. მაგრამ მასში იმდენად ღრმა და ემოციური აზრია კონცენტრირებული, რომ თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის ახალგაზრდული სექციის წევრებამ, როცა ეს სპექტაკლი მოსკოვში ნახეს, მას „პატარა საოცრება“ უწოდეს.

...შედიხართ ნახევრადნებულ სარდაფში, თხუთმეტოდედ ახალგაზრდა მსახიობი სცენურ მოძრაობებში ფარჯიშობს. თვალი ცდილობს პლასტიკის მთელი გამა დაიჭიროს, მაგრამ ეს შეუძლებელია: ყველა თავის ნომერს, თავის ილღოს ამუშავებს, ხეწს. აი, ერთი „ლოტოსის“ პოზას იჭერს, შემდეგ თავით დგება ისე, რომ ჰაერში აყრს ფეხები ერთმანეთზე აქვს მიტყუპებული... მოძრაობების ტემპი იზრდება, სხეულები ფანტასტიკურად იგრძობება, იწელება და ჩვენ უკვე ადამიანებს კი არა, მშვენიერ ველურ მცენარეებს ვუყურებთ. ისმის ყვირილი და მთელი ეს მასა, შთამბეჭდავი რიგმის ნებას დამორჩილებული, თავქაჯ-შეყრილი მოჭრის პირდაპირ თქვენკენ, წამიც, წამიც და... ზედ თქვენზე მოხლილი ეს მასა ელვისებური სისწრაფით ტრიალდება და დარბაზის მეორე ბოლოსკენ მიჰქრის. ეს უკვე მსახიობები, სტუდენტები არ არიან. ეს თავისუფალი ჯოგია, დუნგლების თავისუფალი ხალხი მოჭრის შამბნარში.

აქ აუცილებელია ერთ პედაგოგზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. იმ ოთხი პედაგოგიდან, რომლებმაც სტუდიასთან ერთად, მისი ჩასახვიდან დღემდე, გამოიარეს მთელი გზა — ო. ტაბაკოვი, კ. რაიკინი, გ. ლონტიევი, ა. დროზნინი — ეს უკანასკნელი ყველაზე ნაკლებადაა ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის. იგი წარმომადგენელია თეატრისათვის იმ იშვიათი, დეფიციტური პროფესიისა, რომელსაც ჯერჯერობით სახელიც არა ჰქვია — იგი სცენური მოძრაობების სპეციალისტია.


პირველი შეხვედრით, მისი სფერო შემოფარგლულია ორთაპრობლებით, შერკინებებით და ა.შ., მაგრამ ა. დროზნინის სცენური მოძრაობის არსი უფრო ფართოდ ესმის: ყოველი ფესტი, ყოველი მოპრუნება ჩვეულებრივი დიალოგის დროსაც კი, მოითხოვს არა ყოფით, არამედ მხატვრულ გადანყვეტას. თეატრალურ საზოგადოებაში კონსულტანტად მუშაობის მრავალწლიანმა გამოცდილებამ ა. დროზნინი დააარწმუნა, რომ პროფესიული მსახიობები სათანადოდ არ არიან დაუფლებული მოძრაობის ოსტატობას, სხეულის ვარჯიშით, რაც შეიძლება, ადრე უნდა დაიწყო.

და როცა ჩაისხა თვით იდეა მოსწავლეების სტუდიისა, როცა შეიქმნა ახალგაზრდობასთან ხანგრძლივად, მკაცრი შერჩევის საფუძველზე მუშაობის საშუალება. ა. დროზნინი გატაცებით შეუდგა საქმეს. სპექტაკლში „ნახვამდის, მალუგის!“, რომელიც თავდამირველად სცენურ მოძრაობაში საგამოცდო ნამუშევრად იყო ჩაიჭირებული, გამოჩნდა ბრწყინვალე ნაყოფი პედაგოგ ა. დროზნინისა და რეჟისორ კ. რაიკინის თანამშრომლობისა.

თვით თეატრში აშკარად შეიგრძნობა არსებობა პოტენციური ძალებისა, რომლებმაც მოსკოვის ახალი თეატრი უნდა შვას. თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკაც მკვეთრად მიზანსწრაფულია — ექებენ ახალ ავტორებს, რადგან ახალგაზრდა თაობასთან ლაპარაკი ყველაზე უკეთ იმათი მეოხებით შეიძლება, ვინც ყველაზე მკაფიოდ გამოხატავს ამ თაობის წინაშე მდგარ პრობლემებს. საგანგებოდ სტუდიისთვის დანერგეს პიესები ვ. მაიაკინმა

სცენა სპექტაკლიდან „მუსიკის გაცეითილები“.





სცენა სექტაკლიდან „XX საუკუნის სიმღერები“.
ალექსანდრე — ვიქტორ პრისკურინი

და ო. კუჩინამ, დანტერესებული არიან ლ. პეტრუშევსკაიას დრამატურგიითაც.

მშვიდობით, მაუგლი, გამარჯობა, ადამიანო!

ადამიანი, რომელიც არ გამგელდება და ადამიანებს უფლებას არ მისცემს მგლების ხროვად იქცენ... ადამიანი და მგელი... ადამიანები და მგლები...

მგლის ლეკვი ი. ნორშტეინის მულტიმედიაში, უფრო სწორად, როდინდელი. როდინდელი იავნანადან, ნაღვლიანი, კეთილი, გულისამაჩუყებელი მგლის ლეკვი, რომელსაც გული ადამიანებისკენ მიუწევს, ნაღვერდალზე კარტოტის ნვავს და ღმუილით ღიღინებს, გაადამიანურებული მგლის ლეკვი, გმირის ბავშვობა, მისი სული, მისი მოგონებები.

მაგრამ პეტრუშევსკაია სხვა მგელსაც იცნობს. პიესაში „ჭიქა წყალი“ ეს მგელი სცენაზე არ ჩნდება, მაგრამ იგი ამ პიესის მთავარ გმირად უნდა ვლინდეს, მაგრამ ვერც ამ მგელმა შესძლო ადამიანში ადამიანის მოკვლა. ორმოცნუთიან დიალოგში (უფრო სწორად, მონოლოგში, რადგან ძირითადად, სცენაზე მყოფი ორი ქალიდან ერთი ლაპარაკობს) ჩვენთვის საცნაური ხდება ტრაგიკული მარტოსულობა ქალისა, ვინც სიკეთისთვის იყო მოვლინებული ამქვეყნად („ჭიქა წყალი“ — იდგმება პირველ საოლქო დრამატულ თეატრში. რეჟისორი — ვ. კორენკოვი).

უნდა ითქვას, რომ ადამიანის, განსაკუთრებით ქალის, მარტოობის თემას ლ. პეტრუშევსკაიას შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ვავისენერთ თუნდაც „ზღაპართა ზღაპარში“, ომ-

ის ქარიშხალი როგორ ტოვებს ქალს მარტო, რომლებიც ახლა უკვე ძველმოდური ტანგოს ტალღებში დაცურავენ...

სრულიადაც არა მგლები, არამედ თითქოს საეხებით ჩვეულებრივი, რიგიანი ადამიანები მოქმედებენ ლ. პეტრუშევსკაიას „მუსიკის გაკვეთილებში“, რომელიც რეჟისორმა რ. ვიქტიუკმა დადგა „მოსკოვრეჩის“ კულტურის სასახლის თეატრ-სტუდიაში.

პართლაც რომ ჩვეულებრივი ხალხია — მსახურობენ, ტელევიზორს უყურებენ (ტელევიზორი სცენაზე გამოუთიშავადა ჩართული, ოღონდ ხმას საჭიროებისამებრ არეგულირებს დექტორი გოგონა), ხედებიან ჯარიდან დაბრუნებულ შვილს, ცოტას გადაპკრავენ ამ სასიხარულო ამბავთან დაკავშირებით. საეხებით ბუნებრივია, რომ მშობლებს თავიანთი ერთადერთი შვილისთვის ბედნიერება სურთ, შიშობენ, ვაითუ, მას შეირთოს მისთვის უფუფერეველი გოგონა, რომელიც მღებდა ნუშაობს მშენებლობაზე და საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს. მშობლების აზრით, ის გოგონა მათ ბინას და ქონებას უშინებს... ასეთი სარძლო მათ ხელს არ აძლევს და ისინი სასწრაფოდ სხვას მოძებნიან, — ის სხვა მათსავე სახლში ცხოვრობს და მას ბავშვობიდანვე აჯავრებდნენ, კოლიას საცოლე ხარო.

მაგრამ აქ შეეწერდეთ, რადგან პიესის შინაარსი დაწერილობითაც რომ მოკვევთ, სათქმელს ბოლომდე ვერ ვიტყვი, სექტაკლის არსს ვერ გადმოვცემთ.

აქ უნდა ითქვას, რომ ლ. პეტრუშევსკაია სიუჟეტური „სიურპრიზების“ ნამდვილი ოსტატია. სიუჟეტის ყოველი შეტრიალება მის პიესაში ყოველთვის მოულოდნელობა, ფინალები კი სერიოზული გამოცდაა რეჟისორისა და მსახიობებისთვის და მაყურებლისთვისაც! მაყურებელი ყოველთვის როდი ხდება, რომ ყველაფერი უკვე დამთავრდა (დამთავრდა სცენაზე, რადგან შემდგომ რაც ხდება, უკვე ადამიანის სულში ხდება და ამიტომ შეუძლებელია დამთავრდეს). „ჭიქა წყალში“ მსახიობი ხმადალა წარმოთქვამს „მორჩაო“. რათა აუღიდტორის გაოგნება გაფანტოს. არც „მუსიკის გაკვეთილების“ ფინალური სცენაა იოლად გასააზრებელი. აქ საქმეს მარტო ფინალის პირობითობა და მოულოდნელობა როდი აართულებს — ჩვენ ერთბაშად ვერცკი ვხვდებით, რა „საქაწინაზე“ გველაპარაკება ნამყვანი. საქმე ისაა, რომ ნიკოლაი კოზლოვი (აი ის, ჯარიდან დაბრუნებული ჯველი, საცოლეს რომ უძებნიან) პომერული ხარხარით იკლებს სცენას.



სცენა სპექტაკლიდან „მთელი“.

ჩვენ ეს გმირი მთელი სპექტაკლის მანძილზე გვებრალებოდა: საწყალი ბიჭი, ერთი უნებისყოფი ვინმეა, ოზივატელმა, მომხვეჭელმა მშობლებმა სული ამოხადესო, ვფიქრობდით... მაგრამ თვით ნიკოლაის მშობლებიც კი, მაცურებლებთან ერთად, თავზარდაცემულნი რჩებიან, როცა გაიცნობიერებენ, თუ ვინ გაუზრდიათ თავიანთი „მუსიკის გაკვეთილებით“. მგელიც არის და მგელიც, — ეს თვინიერი, დამყოლი, გაბადრული ვაჟბატონი თავისი უსულგულობითა და რაციონალური ეგოიზმით რა საშინელი, საშოი ვინმეა!

რეჟისორ რ. ვიკტიუკის ნამუშევარი უმაღლეს შეფასებას იმსახურებს. მას არა მარტო მიაქვს მაცურებლამდე დრამატურგის ჩანაფიქრი—ტყვიას ტყვიანი სვამს, მაგრამ, თითქოს, გულდაგულ განზე გადგომას ცდილობსო, მსახიობებს ყოველმხრივ ეხმარება საშემსრულებლო ნიჭის გამოვლენაში, თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ მისი თეატრი პროფესიული კი არა, სამოყვარულო თეატრია. ოღონდ ეს მოყვარულობა მაღალი კლასის მოყვარულობაა, როცა ყველა პროფესიულ ჩვენს დაოფლებული მსახიობები „დაცლილნი“ არიან გულისმომიყრებელი „ნაცადი“, „საიმედო“ შტამპებისაგან, იმ „თამაშისგან“, რომელზეც მარკ ზახაროვი ლაპარაკობდა.

როგორც უკვე ითქვა, ახალი დრამატურგია ახლებურ სცენურ ხორცმესხმას მო-

იხზოვს. ამიტომ სასვებით ბუნებრივია რსფსრ დამსახურებული არტისტის ი. გოშევის ეჭვი, რომელიც მან გამოთქვა ლ. პეტრუშევსკიას პიესებზე ერთ-ერთი განხილვის დროს: ეს იმდენად უჩვეულო დრამატურგიაა რომ მსახიობი ძირფესვიანად, მთლიანად უნდა გარდაიქმნას, მან შესისხლბორცებულ, ჩვეულებრივ პოზაზე, ყესტსა და ინტონაციაზე უარი უნდა თქვასო. აქ კი არ უნდა ითამაშო, უნდა იცხოვრო. და, იმედროულად, ისიც ბუნებრივია, რომ სცენის ცნობილი ოსტატები თავიანთ შესაძლებლობებს ცდიან ამ პიესა-ცხოვრების ახალ „ჟანრში“. იმავე განხილვაზე ინა ჩურიკოვა ლაპარაკობდა, რომ შეულამაზებელი ცხოვრებისეული სიმართლე მსახიობებსაც და მაცურებლებსაც აქცევს არა ამ სიმართლის უბრალო მჭვრეტელებად, არამედ მოვლენების უშუალო „ნამდვილ“ მონაწილეებად.

ახალი დრამატურგიის დადგმის პირველმა ცდებმა გვიჩვენეს, რომ მისი სცენურ ხორცმესხმით ფორმა არცთუ იოლად და სწრაფად იძებნება. ძალზე ბევრ რამეს იძლევა ამ თვალსაზრისით ლ. პეტრუშევსკიას ერთ-ერთი საუკეთესო პიესის „XX საუკუნის სიმღერების“ ავტორისეული წაკითხვა.

ეს პიესა-მონოლოგი გამსჭვალულია იდეალური ადამიანის (არა იდეალური გმირის, არამედ სწორედ იდეალური ადამიანის) მძაფრად მონატრების სულისკვე-

თებით. ამ პატარა დრამატურგიული შედეგის გმირი ორგზის ტრაგიკული პიროვნებაა იმით, რომ იცის — არსებობს სხვა, მშვენიერი ცხოვრება, ცხოვრება სულისმიერი, მაგრამ მან არ იცის, როგორ ეზიაროს იმ ცხოვრებას. სანუკვარი საუფლოს კარიბჭის გასაღების ნაცვლად მის ხელთაა ფრაზების, სტრიქონების, მელოდიების ნაფლეთები, მსოფლიო კულტურის რეკვიზიტი, უბადრუკი და არაფრისმაქნისი რამე, როცა იგი გაუცნობიერებლია, გაუთავისებელია, არაფუნქციონირებელია. ადამიანისა და მაგნიტოფონის“ სიტუაცია რთული სიტუაციაა. ცდა იმისა, რომ ადამიანმა თავისი სულიერი „მე“ მაგნიტოფონზე ჩანეროს, უბადრუკი ფორსის, პიროვნების პაროდის სახეს იღებს.

შემთხვევითი როდია, რომ ახალი დრამატული თეატრის რეჟისორმა ვ. რუდიმ სწორედ „XX საუკუნის სიმღერები“ (ლენინური კომკავშირის სახელობის თეატრის ნიჭიერი მსახიობის ვ. პოსსუკინის შესრულებით) აქცია ლ. პეტრუშევსკაიას ორი სხვა პიესის „სიყვარულისა“ და „კიბისქვეშა გალიის“ თავისებურ პროლოგად. სპექტაკლი მიჰყავს ახალგაზრდულ ანსამბლს, რომელიც გზიბლავთ გულწრფელობით, უკიდურესი სიბარბოთით.

ჭურნალ „ტეატრში“ გამოქვეყნებულმა ერთაქტიანმა პიესამ „სიყვარულმა“ მასივნე მიიპყრო რეჟისორების ყურადღება. ვ. რუდისეული ნაკითხვა ერთ-ერთი ყველაზე უფრო საყურადღებო, შთამბეჭდავი ნაკითხვაა.

პიესის გმირები ახალგაზრდები, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არიან. ირკვევა, რომ მათთვის თურმე, თავის დროზე „მამაკაცურ და ქალურ საწყისებზე“ ლექციებიც კი ნაუკითხავთ და მათ ყველაფერი იციან, და ყველაფერი შეუძლიათ, მაგრამ, აი, სიყვარული კი არ შეუძლიათ და რისთვის შეუძლენდა, არ იციან. სამკედრო-სასიციცებლო ბრძოლა ორი სულგაციებული პიროვნებისა მთავრდება გულისმომწურავი განწყობით, რომელიც, ვაი რომ, ამ სულიერი ხეივრების „გამოჯანმრთელების“ დიდ ვერაფერ იმედს ბადებს.

როგორ სწყურია სიყვარული ამ ქალს! როგორ ეწამება! რამდენჯერ ეუბნება კაცს, რომელთაგან ეს-ესაა მამაჩემი ხელი მოაწერა: „მე შენ არ გიყვარავ!“ მაგრამ თვითონ მას თუ შეუძლია სიყვარული? იცის კი, რა არის სიყვარული? კარგი, მო, კაცი ჩაწერისთვის დაქორწინდა, ასე ეჭვობს პატარძალი და ამას პირდაპირ ამტკიცებს სიდედრი. მაგრამ ქალი, ქალი

რალად გათხოვდა? მარტოობის, იმ ცივი სარეცელის შიშით, რომელშიც ოცდაათწლიანი იწვამის ნული იწვამის მითოვებული დედები? მორალის კითხვა ადვილია. გაგება უფრო ძნელია.

უნდა გაეუგოთ „კიბისქვეშა გალიის“ გმირ ქალსაც, რომელსაც ასევე უგანა ბედნიერებამ, მაგრამ ადამიანობა და გულის სინრფულ ვერ ნაართვა.

უნდა გაეუგოთ ორ „ხელიდან წასულ ანგელოსს“, დამკრძალავი ბიუროს ორკესტრიმ მუსიკებს, რომლებიც „გაცხადებით საქმროები“ მხოლოდ იმიტომ არიან, რომ გადაპყრან და კუჭი აარხენონ.

ვ. რუდის მიერ დადგმულ ამ სპექტაკლს მრავალი ასპექტის აქვს და უზარმაზარი ემოციური ძალის შემცველია. აქ ისევ და ისევ გვინდა ხაზი გავუსვათ სიყვარულისა და სიკეთისკენ, ცხოვრების მშვენიერებისკენ ლტოლვას, შესაძლოა გაუცნობიერებულსა და გაუაზრებულს, რომელიც ლ. პეტრუშევსკაიას გმირებს მათი სულიერი ყოფის სილატაკეუ ამაღლებს. ზოგ პიესას ქვესათაურად „კომედია“ უზის, მაყურებელი კი ტირის, მძიმე ფიქრებს ეძლევა. თავის თავს კითხვას უსვამს: რამდენი სწორი მიმართება მაქვს ნუთისოფლისა და ადამიანების მიმართო.

აი, მაგალითად: ყველა ჩვენგანი მიიღწევის გაუთლელ, მშენებლობის უბრალო მღებავს, საბავშვო სახლში გაზრდილს, რომელიც მოდის და გიცხადებთ, რომ თქვენი შვილისგან შვილს ელოდება? კიდევ რა უნდა? რა უიცი, ჩემი შვილისგან ელვის ბავშვს? იქნება ვისგან აიკიდა?! და „მუსიკის გაკვეთილების“ გმირები გართავადებენ ორსულ ქალს, რომელიც ავადმყოფობის შემდეგ ჯერაც არ გამოკეთებულა.

ირგვლივ მყოფთა და საკუთარი თავის მიმართ კითხვები ხშირად ებდება თანამედროვე ახალგაზრდული თეატრის მაყურებელს. და რამდენადაც ძველებისგან აგრერიგ დაფასებული კათარზისი რაკი აქ შეჭველად იჩენს თავს, უკვე ეს (რადგან ეს არც ისე ცოტაა!) ამართლებს ამ დასების არსებობას, დასებისა, რომელთა ერთგული მოკავშირეა მათი წევრების ახალგაზრდულობა, ენთუზიაზმი, ნიჭი და მაყურებელთა უსაზღვრო მადლიერება.

მოსკოვის ტაგანკის თეატრის შესახებ ბევრი გვსმენოდა და მასთან შეხვედრისაგან ბევრს მოველოდით, ამდენად, მომთხოველობის გრძნობაც დიდი იყო. ალბათ ამიტომ, სპექტაკლის შემდეგ მასურებლისაგან კრიტიკულ თვალსაზრისს უფრო ხშირად მოისმენდით. ვიდრე ალტაყების გამოხატველს. მაგრამ როცა მთლიანობაში ვიხსენებთ ნანახს, ერწმუნდებით, რომ არაერთი საინტერესო მიგნების, გადაწყვეტის მოწმენი გავხდით. თეატრის დღესასწაულის შერგანებაც გავვიჩნდა და ბევრი საკითხის განსჯის, შთაბეჭდილების გაზიარების სურვილიც.

თეატრმა წარმოგიდგინა თავისი 12 წლის ნამუშევარი, თითქმის მისი დაარსებიდან — დღემდე. ცნობილია, რომ წლების განმავლობაში სპექტაკლი „ბერდება“ და ტაგანკის ადრეულ სპექტაკლებსაც დროის „დალი“ დამჩნევია. ამდენად, მხატვრულ-ისტორიული თვალსაზრისითაც უნდა მიუღწევთ თითოეულ სპექტაკლს, ვინაიდან ტაგანკის თეატრი მუდამ ახალი, მოწინავე გზების ძიებაშია და არ უნდა დაეფიქსოთ, რომ ზოგი რამ, რაც დღეს მათ სპექტაკლში შაბლონად გვეჩვენება, თავის დროზე, შესაძლებელია, ნოვატორული მოვლენა იყო. ავიღოთ, თუნდაც, „პამელის“ ცნობილი ფარდა, რომელმაც ასეთი ხმაური გამოიწვია. შემდგომში მან იმდენგვარი წარმატებული და წარუმატებელი გადამუშავება განიცადა, იმდენი სხვადასხვაგვარი გამოძახილი ჰპოვა, რომ დღეს, შეიძლება წლის შემდეგ, ცხადია, მასურებელს ვეღარ აოცებს.

ამ წერილში მიზნად არ დავგისახავს ტაგანკის თეატრის გასტროლების თეატრმოდენობითი თვალსაზრისით განხილვა. ჩვენი ძირითადი მიზანია ამ სპექტაკლების სცენოგრაფიული ანალიზი. ტაგანკის თეატრი რეჟისორის და მხატვრის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით ხასიათდება, ამდენად, მხოლოდ ამ უთხბით სპექტაკლის მთლიან სახესაც შევხებებით ხოლმე.

უკვე თავის პირველ სპექტაკლში — ბ. პრეტის „სეწუანელი კეთილი კაცი“, რომელიც მხატვარ ი. ბლანკთან ერთად დადგა ბ. შუტყინის სახ. თეატრალურ სტუდიაში და რომელიც შემდეგ მისი თეატრის სცენაზე გადავიდა (ამ სპექტაკლით ჩაეყარა საფუძველი 1964 წელს მოსკოვის ტაგანკის თეატრს), რეჟისორი იური ლიუბიმოვი ისწრაფოდა დეკორაციის მაქსიმალური ლაკონიუ-

ლიუბიმოვისა და გოროვსკის თეატრი

ქეთევან კინწურაშვილი

რობისა და აქტიური ქმედითობისაყენ. ამ გზით წვიდა მისი თეატრის სცენოგრაფიული ძიებები.

ამჯერად ჩვენ მხოლოდ სავასტროლო სპექტაკლებით შემოვიფარგლებით. მათ შორის ყველაზე აღრინდელია „ისმინეთ!“ — პოეტური წარმოდგენა ვლ. მაიაკოვსკის ნაწარმოებების მიხედვით (პრემიერა შედგა 1967 წელს).

ეს სპექტაკლი იმ წარმოდგენების რიგს მიეკუთვნება, რომლებიც ლიუბიმოვმა რუსულ პოეზიას მიუძღვნა და რომლებითაც სცენაზე დაამკვიდრა ლარიკულ-პოეტური სანახაობის განსაკუთრებული ენარი.

მაიაკოვსკის პოეზია მაყურებელთა დარბაზისადმი მომართვა, მგზნებარე მოწოდება: და ნახერად — საესტრადო წარმოდგენა, აუდიტორიის წინაშე თვით მაიაკოვსკის საჯარო გამოსვლებსაც რომ ეხმაურება, ამიტომ ასეთსავე მკაფიო, გახსნილ პლაკატურ სცენურ სახეს მოითხოვს.

მხატვარმა ე. სტენბერგმა მთლიანად, უკანა კედლამდე გახსნა სასცენო ყუთი. კედელზე მაიაკოვსკის ნახატის მიხედვით სქელო მავთულით შესრულებული ფანტასტიკური ლომის კონტურული გამოსახულებაა. მას ხან თვალები ენთება, პირი ან კული უმოძრავებს, რითაც ხაზი ესმება ხოლმე დარბაზში პოეტური სიტყვით შექმნილ სატირულ — ირონიულ განწყობას.

უშუალოდ სასცენო მოედანზე დიდი ხის კუბები, თეთრად და წითლად შეღებილი გვერდებით, ცალ მხარეს შავი ასოთი ან სასვენი ნიშნით. მოქმედ პირთა მიერ ამ კუბების შემოტანა-გატანით, კომბინაციით იქმნება სიტუაცია. ეს კუბები, მახიობებთან ერთად, ქმნიან პლასტიკურ მახანსცენებს ხანდახან ისინი ლოზუნგებად ეწყობა და მომღვეწო სცენის ეპიგრაფად გვევლინება.

მაიაკოვსკის პოეზია, თუ შეიძლება ითქვას, ორ განზომილებაში ითვლება. ერთი მხრივ, პოეტი პირდაპირ, მთელი სიცხადით, ყოველგვარი წილისკლების გარეშე ამბობს, ჰედანეს სათქმელს. ეს არის წინა პლანი. და ამასთან, მის ლექსებს აქვს ასეთივე მკვეთრი, პაოსითი აღსაესე ფონი — ლექსების განზოგადების ძალით შექმნილი. ეს ორი პლანი აისახა ნაწილობრივ გაფორმებაშიც, სპექტაკლი ფერშიც ლაკონურია, ჰარბობს წითელი — რევილუციის ფერი, კოსტუმები ძირითადად ლოკალურ შავ და თეთრ ფერებშია გადაწყვეტილი.

სპექტაკლის რიტმი დღეს, 12 წლის შემდეგ, როგორც ჩანს, შენელებულია, ოდნავ დაშლილიც, მაგრამ, ცხადია, რომ მხატვრის და რეჟისორის მიერ მიგნებული გადაწყვეტა მახვილად პასუხობს მაიაკოვსკის პოეზიის მაღალ მოქალაქეობრივ ხმას, მის პუბლიცისტურ ხასიათს.

1969 წელს ტაგანკის თეატრში დაიდგა მოლიერის „ტარტიფიფი“. სპექტაკლი მხატვრულად გააფორმეს ა. ანიკსტა და ს. ბარხინმა.

როგორც ლიუბიმოვის ყველა სპექტაკლი, ეს სპექტაკლიც ფარდის გარეშე იწყება. სხვა

სპექტაკლებისაგან განსხვავებით, სცენა არ არის გამოშვებული, კულისები და ჰასოსები, სცენის „ჩიბები“ შავი ქსოვილით არის დაფარული.

შავ ფონზე ოქროსფერ ჩარჩოში ჩასმული პარადული პორტრეტებია წარმოდგენილი, მოქმედ პირთა სახელებით. სცენის პირობნტალი მდიდრულად ორნამენტირებული ოქროსფერი ჩარჩოებით არის ფლანკირებული, ოქროსავე ფარდებით (ამ დიდ ჩარჩოებში ეპასოპოსის და ლუდოვიკოს მარიონეტული გამოსახულებები ჩნდება ხოლმე). წინა პლანზე, ცენტრში ოქროსფერი გრიფონის მოცულობითი გამოსახულებაა, მაყურებელთა დარბაზში კი პატარა ოქროს კიბე ჩადის.

პორტრეტები, რომლებიც მოქმედ პირებს მთელი სიმაღლით წარმოგვიდგენენ, მსუბუქ ფერებშია დაწერილი. არისტოკრატების პირობები ასევე მსუბუქია და ირონიულად გრაციოზულია. მათი ჩაქმულობა, საერთო ფერადოვანი გადაწყვეტა, უხვად, გემოვნებით გამოყენებული ოქროსფერი და ჩარჩოს როკოკოებრივი ორნამენტის ასოციატივად უკავშირდება მოლიერის ეპოქას.

პორტრეტები სპექტაკლის ერთადერთი მორთულობაა და, ამასთან, მისი აქტიური ენაწილია. მოქმედების პროცესში სურათები ცოცხლდებიან. მათ პროტოტიპებს — მახიობებს ისეთივე სამოსი მოსავთ, როგორც ნახატში. პორტრეტებს შემუშავებული ჭრილები აქვთ და მსახიობები მათთან ერთად თამაშობენ: ხან თავს გამოყოფენ სურათში, ხან ხელს, ფეხს და ა. შ., ხანც მთლიანად პორტრეტებზე გვევლინებიან. მოქმედ პირები ადვილად უნაცვლებენ ადგილს სურათებს. ვ. ბერიოვინის თქმით, პორტრეტების გული მისილი, ეცემიან, ტირიან და იცინიან.¹ ეს, გარკვეულად, მსახიობებსაც მარიონეტულ ხასიათს ანიჭებს.

ამგვარად, გაფორმებაში მოგნებულია მოლიერის პიესებისათვის დამახასიათებელი ირონიულობაც, მხატვრული სიმსუბუქეც, გრაციოზულობაც და კეთილშობილი ბრწყინვალებაც.

მ. გრამ, ამასთან, დადგმა ოდნავ ცალმხრივი ხასიათისაა. ა. ბარმაკი პიესა „ტარტიფიფის“ შესახებ წერს: „პიესა — კომედიაა, მაგრამ ავტორმა მოქმედი პირები თითქმის ტრაგიკულ მდგომარეობაში ჩააყენა, მათ უბედურებას ერთი ნაბიჯი ამორბობთ და განაუნდა დავიწყეთ, რომ პიესის კეთილი და-

სასრული სრულიადაც არ გამოძინდნარობს მოქმედებიდან და ერთიანად ირონიულია.²

ფეოქრობთ, ტაგანის სპექტაკლში მოლიერის პეისის დრამატული კონფლიქტი მთელი სიღრმით არ იხსნება. პერსონაჟები ზედმეტად არიან გაშარებული და თითოეული გმირი ჰყარავს საკუთარ, დამოუკიდებელ ხასიათს. ასეთ ერთფეროვან წაითვისას ხელს უწყობს მხატვრული გადაწყვეტაც. პორტრეტები მსახიობებისათვის თამაშის გადაჭარბებულად აქტიური იარაღია.

ამ ორ სპექტაკლში უკვე ჩანს ლიუბიმოვის სწრაფვა სადა, ლაკონური სცენოგრაფიული გადაწყვეტისაკენ, რომელიც მხოლოდ მსახიობებთან კავშირში იღებს დასრულებულ სახეს, მსახიობებთან ერთად მოქმედებს, მათთან ერთად ქმნის პლასტიკურ მიზანსცენებს, მხატვრულ-შინაარსობრივ გადასვლებს, დრამატურგის ერთიან სცენურ ხორცშესხმას.

„გამოშვლებული სცენა, მსახიობთა პლასტიკით და ჩრდილ-სინათლის თამაშით შექმნილი სინთეზირებული სახეები — ყოველივე ეს შეესატყვისებოდა 60-იანი წლების მხატვართა ახალი თაობის ძიებებს³ — წერს ე. ბერიოზკინი.

ამგვარად, ლიუბიმოვი თავიდანვე მკვეთრად იღვა თანამედროვე ბოზიციაზე, იგი თავად კვალადა ახალ გზებს რეჟისურაში და მასთან კავშირში — სცენოგრაფიაში. მაგრამ მისი რეჟისორული კონცეფცია სახვითად სრული სისავსით რომ ასახულიყო, ლიუ-

ბიმოვს „საკუთარი“ მხატვარი ესაჭიროებოდა. ორი ინდივიდუალობის შერწყმაც მოხდა. აქ ჩვეულებრივ მიუხალოდ მიუხალოდ ჩვენი საუბრის ძირითად საგანს — ლიუბიმოვის და ბოროვსკის თეატრი.

დ. ბოროვსკი (დაბ. 1934) თეატრის მხატვართა იმ თაობის წარმომადგენელია, 60-იანი წლების დასაწყისში რომ მოვიდნენ თეატრში და ერთგვარი გადატრიალება მოახდინეს სცენოგრაფიულ აზროვნებაში, დაუბრუნეს მას შემოქმედებითი თავისუფლება, გააფართოვეს სცენის ბირობით-ესთეტიკური გარემოს შესაძლებლობები.


ლიუბიმოვს რომ შეხვდა, ბოროვსკის ნამუშევრები უკვე გამოირჩეოდა დრამატურგიაში ღრმა წვდომით, სპექტაკლის სახიერი ფორმის მახვილი ხედვით (გორკის „ფსერზე“, კიევის ლესია უკრაინკას სახ. თეატრი, რეჟ. ლ. ვარპახოვსკი, 1963). ლიუბიმოვთან თანამუშევრებში, რომლის მასწრაფებებიც მხატვრის შინაგან სწრაფვას ეხმარებოდა, იგი მთელი სიღრმით გაიხსნა.

მათი თანამშრომლობის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია „ჰამლეტი“ და „განთიადი კი აქ წყნარი იცის“ (ორივე—1971 წ.). რომლებმაც მრავალი წარმატება მოუტანეს ავტორებს საკავშირო თუ საერთაშორისო ასპარეზზე.

ბ. ვასილიევის ნაწარმოებმა „განთიადი კი აქ წყნარი იცის“ მკითხველს ფართო აღიარებამთან ერთად, სცენური და კინემატოგრაფიული ხორცშესხმაც ჰპოვა.

სცენა სპექტაკლიდან „ბიზნესი“





სცენა სპექტაკლიდან „პაქის საათი“

ნური გარემო ომის „კოლორტის და ფიქტურული რისაა“. ამ უხვ გარემოცვასთან კონტრასტულია ში განსაკუთრებით ნათლად ელინდება ქალი-შვილების სიწმინდე, მათი ქალური უშუალო-ზა და სიფაქიზე.

როდესაც ტყეში გერმანელები გამოჩნდებიან, ძარა იშლება და მისი ფიკრები, აქ უკვე ვერტიკალურ მდგომარეობაში, ასოციაციურად, ხეების ტანს წარმოგვიდგენენ.

„ტყე“ და „პაობი“ სცენაზე რთულად წარმოსადგენი სურათებია. მაგრამ რეჟისორი და მხატვარი იმავე ფიკრების სათანადო განლაგებით, დახრით, რხევით, მონაცვლეობით სურათის შესაფერის სცენურ გარემოს ქმნიან.

სიკვდილის წინ გოგონების თვალწინ მშვილობიანი წარსული რომ გაივლებს, ფიკარი ტრიალებს ხოლმე და მახვილად შერჩეული ერთ-ორი დეტალი (მაგ. პატეფონი) კონკრეტული გმირის წარსულ ყოფას მიაჩვენებს.

იმზე შექმნილი ნაწარმოებების დიდი ნაწილი ლირიკული გადახვევის საფუძველზე, ტრადიციის მაქსიმალური გამაფრებობით ხასიათდება. ვასილევსკის ნაწარმოებში ეს სიმძაფრე ფაქიზ ზღვარზე, ფსიქოლოგიური სიღრმით არის მოწოდებული. სპექტაკლში სრულად რეალური საგნების პირობითი მოწაბით შექმნილი დამაჯერებელი გარემო, შესაბამისად, ხან ტრავგიკულად შემაპრწუნებელია და ხანაც პეტეტურად ამოღებული.

იმავე, 1971 წლის ბოლოს შედგა „პამლეტის“ პრემიერა. ამ სპექტაკლში ერთი დეკორაცია მოქმედებს — უხეში ბაწრებიდან უხეშად ნაკსოვი ჩიჩობის უზარმაზარი ფარდა. მოქმედებს—ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მაგრამ სანამ იგი ამოქმედდება, სასცენო მოედანი ცარიელია. ჩვენს წინაშე ტაგანის ნაცნობი სცენაა, თეთრად შეღებილი ხის ფიკრებით მოპირკეთებული, ზოგან ხისავე მუქი ძელებით, რომლებიც ფახვერკის ასოციაციას ქმნიან.

ავანსენის ცენტრიდან დარბაზში ხის კიბე ეშვება. ლიბიმოვი ხშირად მიპარავს მსახიობის სამაყურებლო დარბაზთან უშუალო კონტაქტის ხერხს. საამისოდ უმეტესად ისაპირება პატარა კიბე, რომელიც სპექტაკლის საერთო სცენოგრაფიული ხასის დეტალია, მუდამ შესატყვისი ფაქტურით გადაწყვეტილი.

წინა პლანზე ხანჯალია დარკობილი, რომელზეც შავი ტყავის ხელთათმანებია გადაფენილი. გმირები უახლოვდებიან მას და თითო ხელთათმანი მიაქვთ, თითქმის გაოწვენეს იღებენ. თითო ხელთათმანი სიმბოლოს მნიშვნელობას იძენს. ორი, ალბათ, უკვე უტილიტარული ხასიათის მატარებელი იქნებოდა.

ლიბიმოვის სპექტაკლი, რომელიც სახელწმიფო პრემიითაც აღინიშნა, დამახტრებულიად ითვლება ომის თემაზე შექმნილი ნაწარმოების საუკეთესო თეატრალურ ინტერპრეტაციად. ამაში მხატვარს უმნიშვნელოვანესი როლი მიუძღვის.

სპექტაკლის სცენურ სახეს საბარგო მანქანის ჩვეულებრივი ძარა ქმნის. მახუთით დათხერლი, დახეული ბრეუნტი ფარავს სცენის კედლებს და პორტალებს. პლანშეტზე ძველი ძარა დგას — ამ საბარგოთი ჩაიოდინ ქალი-შვილები ზემდეგ ვასკოვთან. ეს ძარაა მათი საცხოვრებელი ფარული ფრონტზე, საომარი სანგარიც, აბანოც და მზის აბაზანის მისაღები ადგილიც. მხოლოდ ძარა თავისი პირვანდელი პირდაპირი დანიშნულებიდან სათანადო გარდაქმნას განიცდის: ხან გადაიშლება, ხან ზემოთ იწევა და ა.შ.

მოქმედ პირთა საომარ ჩაცმულობასთან ერთად, მხატვრის მიერ მოწოდებული სცენ-

სცენის სიღრმეში, პორიზონტალურ ყავისფერ ძელზე ხმლები და ლითონის საბრძოლო ხელჯაგები ჰკიდია.


ფარდა პირველად მარჯვნიდან მოიწვეს. შემდეგ კი ყველა მხარეს და ყოველი მიმართულებით მოძრაობს — დიაგონალზე თუ წინა პლანდან სიღრმეში. დიდ მასიურ ხის ძელზე დაკიდებული, იგი საყუდარი ღერძის გარშემოც ტრიალებს. მსახიობები უცვლიან მას მდგომარეობას და ქსოვილის პლასტიკური ცვალებადობით თუ განათების მეშვეობით, თავად „ქერწყნებ“ მისგან სამეფო ტახტს ან ელსინორის სიმფაგის ლაბირინთებს, გემის იალქანს და ა. შ.

გარდა იმისა, რომ ეს ფარდა ასოციაციურად სათანადო სიტუაციას ქმნის ხოლმე, მისი ძირითადი დატვირთვა იმპობლერ-მეტაფორული ქვეტექსტია. იგი ხან მშვიდია, ხან ტალღოვანი, ხანაც ბედის სიმბოლოდ იქცევა და ერთხანად წალეკავს ყველაფერს — ხმაურით იყრება იატაკზე ხმლები და ხელჯაგები, იგი სასახლის ბორცვი ზრახვების თეატრიც არის — ხერხელები ხანდახან ჯამუშით თვალები და ხელები გაიღვებენ. მის უკან იმალება პოლონიუსი დედოფლისა და ჰამლეტის საუბრის სცენაში. ფარდის უკან ჩასაფრებულს გმირავს მას ჰამლეტი. განათების ზემოქმედებით ფარდა ხან დეკორატიულად შთამბეჭდავი, გამჭვირვალე ხდება, ხანაც მძიმე და შეუმთავარი.

პიუსის არსის განზოგადების მიზნით, კოსტუმები მკვეთრად გათანამედროვეებულია. ნაქსოვი პერანგები და ჭინები, ტრიკოტაჟის კაბები, გრძელი ნაქსოვი პონჩო ორიოდე დეტალთა (ოქროს ჯაჭვი მელალონიით, ბერეტე ფრთით, ფართო საყელო) არის შევსებული. ჩაცმულობაშიც მორუხო-მოყავისფრო გამაჭარბობს. მხოლოდ ჰამლეტია მთლიანად შევებით მოსილი.

ხმლები, ხელთათმანები და წინა პლანზე მაგდებული ერთი-ორი თავის ქალა, რაიმე ეპიზოდის ან მოქმედების ხარგასმის, დაძაბვის მიზნით ზოგჯერ ხელში რომ იღებენ მოქმედი პირები, ის ძვენი დეტალებია, რომლებიც სახიერად ავსებენ სპექტაკლს.

მატყარი, რეჟისორთან ერთად, ცდილობს მაყურებელთან მაქსიმალურად ახლოს მოიტანოს სატყელო, არ გაფანტის მასი ყურადღება დეტალებით და უქადურესად ლაკონიურ გარემოში უქიდურეს განზოგადებას მიაღწიოს. სადავოა, რამდენად სრულყოფილად არის მაღწეული მიზანი, რამდენად ამართლებენ ასეთი სცენური წყობითი დაიკონტრულებული მოვლადობის მსახიობები. მსახიობის პრობლემა საერთოდ, როგორც პრესაშიც აღინიშნა, ჩანს მწვეველ დგას ტავანის თეატრში. მითუმეტეს, რომ ბოროცკის სცენ-



სცენა სპექტაკლიდან „ოსტატი და მარკიტა“.

ნოგრაფია კი არ „ფარავს“ მსახიობს, პირიქით, წინა პლანზე სწევს მას და საინტერესო რეჟისორულ მიგნებებში ვერ იმალება შესრულების სისუსტე. შესაძლებელია, სპექტაკლი კლასიკის „ახლებური“, გათანამედროვეებული წყობისთვის თვალსაზრისით, თავის დროზე მოდერნი ხარკიც იყო. დღეს კი, როდესაც ეს უკვე ნაწილობრივ განვლული ეტაპია, მაყურებლის ცხოველი ინტერესი სპექტაკლმა დამოკიდებულებამ შეცვალა. მაგრამ ფაქტია, რომ სპექტაკლი შექსარიის უკვდავი ნაწარმოებსა ორიგინალური ინტერპრეტაციაა.

სპექტაკლში „ხის ცენები“ (1974) ი. ლიუბიმიოვი აპრაპოვის მოთხრობების საფუძველზე, დღევანდელი სოფლის სოციალურ პრობლემებზე მსჯელობს.

ბოროცკიმ კვლავ ნაწარმოებებში ასახულ ყოფაში მიაგნო დეტალს, რომელიც სპექტაკლის სცენოგრაფიულ სხედ და სიმბოლოდ იქცა. ეს არის ფარცხი, მიწის დასამუშავებელი ტრადიციული გლეხური იარაღი. სოფლებიდან ჩამოტანილი ნამდვილი ფარცხები ერთიან ვერტიკალურ ფარდებდა გააერთიანეს და ლითონის პირები დარბაზისაკენ მიმართეს. პირველ მოქმედებაში მათზე წნული რუსული ქალამნები, ხის კოვებები, გოდრები, კალათები, თითისტარი და სხვა ნივთები ჰკიდია — ნივთები, რომლებიც ხმარებიდან გადავიდა, მაგრამ რომელთაც ჯერ კიდევ ვერ ელევიან გლეხები.

მეორე მოქმედებაში ფარცხებიდან აწყობილი ერთი „ფარდა“ სოფლის მღაზიის თარიობად არის გამოყენებული, რომლებზეც თეთრი ქალაღებია გადაფარებული და გასაყიდი საქონელია განლაგებული, ხოლო მე-


ორზე პურები აწვია (მთავარი გმირი პურის მცობელია).

წინა პლანზე, თავის ჩვეულებრივ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, ერთი ფარცხი ღვას, რომელიც სარეცელის დანაშნულენას ასრულებს.

სცენის სიღრმეში დაკიდებული ფარცხების ვერტიკალური „ფარდები“ მოპრაპუნს, ავიწროებენ და ათავისუფლებენ სცენურ სივრცეს. შესაფერისი საგნებით შევსებულნი, ისინი ჩრდილოეთ რუსეთის სოფლის, ძველი რუსული საცხოვრებლის კოლორიტსა და ატმოსფეროს გადმოგვცემენ.

ლიუბიმივის და ბოროვსკის ზოგიერთი რეცისორული და მხატვრული მიგნება სპექტაკლიდან სპექტაკლში გადადის, ხდება გადააზრება, ახალ კონტექსტში გამოყენება, ამა თუ იმ ხერხის განმეორებაც, ამაში ელიზნება მიგნებულის სიცოცხლისუნარიანო-

სცენა სპექტაკლიდან განათილი კი აქ წყნარი იცის“.



ბა და ტაგანკის თეატრის საკუთარი სტილი სთქმელის მოწოდების საკუთარი მხატვრული პრინციპი მკვიდრდება.

აღნიშნულის თვალნათელი დადასტურება სპექტაკლის ოსტატი და მარგარიტა (1977) სცენოგრაფიული გადაწყვეტა. პროგრამაში მხატვრულ და დასახლებული არიან მ. ანოკტი, ს. ბარხინი, დ. ბოროვსკი, ი. ვასილოვი, ე. სტენბერგი, ეს იმეტომ, რომ დეკორაცია სხვადასხვა სპექტაკლის გაფორმებიდან აღებული ფრაგმენტებიდან არის შედგენილი.

აქ მოქმედებს ფარდა „ჰამლეტიდან“, ცენტრში დიდი გოთური საათი ჰკიდია სპექტაკლიდან „პიკის საათი“, მარჯვნივ „ტარტიულის“ ოქროს ჩარჩო ღვას, გამოყენებული კუბები სპექტაკლიდან „ისმინეთ“ და საბარგო მანქანის ზურგი სპექტაკლიდან „განთიადი კი აქ წყნარი იცის“...

ერთი შეხედვით, ასეთი გადაწყვეტა, შესაძლებელია, ეკლექტიკურ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ყოველი დეტალი აზრიანად არის გამოყენებული, „თამაშობს“ სპექტაკლში და მთლიანობაში გამართლებულია.

როგორც ცნობილია, ბულგაკოვის რომანი ენარობრივად რთული ნაწარმოებია. აქ ისე არის გადაჭობილი რეალური და ფანტასტიკური, რომ მისი სცენური ხორცშესხმა ერთიან სტაბილურ პირობით-რეალურ გარემოში ძნელი წარმოსადგენია. ამდენად, დეკორაციაში რეცისორის მიერ სხვადასხვა ხასიათის ფრაგმენტის გამოყენების საჭიროება ამ მხრივაც ვასაგები ზდება. ძნელი სათქმელია, ეს მიზანი იყო, თვითმიზანი თუ შეუზომის პროცესში მიღებული გადაწყვეტილება. ყოველ შემთხვევაში, რეცისორმა შესწლო ამ ფრაგმენტების ერთ მთლიანობაში მოყვასა მათი სცენური დატვირთვა.

დიდი, მრგვალი ლითონის გოთური ციფერბლატი, წინა პლანზე რომ ჰკიდია ლითონისავე ლერძზე, დროის მატერიალიზებული სიმბოლოა. იგი ხან მძიმედ ირხება, ხანც სწრაფად გაიჭროლებს. მის ციფრებზე ხან ერთი გმირი ჩამოჯდება, ხან მეორე, ციფრები ხან ერთდება, ხან ჩვეულებრივ მდგომარეობაშია, მოქმედების შინაარსის და სიტუაციის შესატყვისად. როდესაც საჭიროა, იგი ეშმაკისეულ ცოცხალად იქცევა და მეოცნებე მარგარიტას საქანელადაც.

ოქროს ჩარჩო-პორტრუს პილატეს ტრიბუნაა. ჩარჩო თითქოს დროსა და სივრცეში აშორებს მას ჩვენგან, როგორც ირეალურ ფიგურას. აგურის მოსოვეური სახლი მარცხნივ, სულიერად დაავადებულთა საავადმყოფოა, ოსტატის სამყოფელი.

რეცისორმა, მხატვრების დახმარებით, შექმლო სცენაზე გადაეტანა ბულგაკოვის ნა-

წარმოებისათვის დამახასიათებელი ლირიზმი და ფანტასტიკა, გროტესკი და ირონია, დრამატული ელემენტი და ფარსი, რაც ისეა შეარწყმული რომანში, რომ მოსალოდნელი იყო სამწირობა სცენაზე ასახვა ეპოეა მხოლოდ ერთ რომელიმე მხარეს. სპექტაკლში რომანის განმარტავადებული ძალაც იგრძნობა, თუმცა ცალკეული სცენები მოკლებულია ბულგაკოვის დღე-ღამე დესქრიპციური სიღრმის. დეკორაციული გადაწყვეტა ხელს უწყობს სცენაზე რომანის თავისებური რიტმის შენარჩუნებასაც — საერთო კოცხალე, ქმედითი რიტმი იეშუაზე და პილატეზე თხრობის დროს დინჯია და მშვიდი.

ლიუბიმოვი თავის შემოქმედებაში ხშირად მიმართავს კლასიკურ თუ თანამედროვე რუსულ პროზას. პროზის გასცენიურება დამახასიათებელია თანამედროვე რეჟისურისათვის. მაგრამ საინტერესოა, რომ ლიუბიმოვი გვერდს უხვევს ინსცენირების ჩვეულ გზას. იგი ცდილობს გააერთიანოს ავტორის და პერსონაჟის ტექსტი. თუ „ოსტატი და მარგარიტაში“ მას ეპიზოდურად მაინც შემოჰყავს ავტორი, მიკროფონით ზელში (მისთვის ავანსცენაზე, მარცხენა მხარეს, ხის კათედრაც დგას, მინის გრაფინით — ბულგაკოვის მიერ აღწერილ ლიტერატორთა სახლშიც, ალბათ, ასეთი კათედრა იდგა), დოსტოევსკის „დანაშაულსა და სასჯელში“ იგი თავისებური რეჟისორული ექსპლიკაციის გზას მიმართავს, თუ შეიძლება ითქვას, უშუალოდ პროზას თამაშობს სცენაზე.

ლიუბიმოვის და ბოროვსკის ერთ სპექტაკლზე მტუროვსკაია წერს: „მხატვარი და რეჟისორი არ ისახავენ მიზნად შექმნან რამდენადმე რეალურ გარემო. ისინი იყენებენ შინაარსის ადეკვატურ „წინშობრივ სისტემას“.4 იგივე შეიძლება გაიქმეოთ სპექტაკლზე „დანაშაული და სასჯელი“ (1979).

სცენა მთლიანად თავისუფალია. მხოლოდ მარჯვენა, ავანსცენაზე, პორტალის წინ, დოსტოევსკისდროინდელი ავეჯით და ნივთებით შექმნილი საცხოვრებელი ოთახის ფრაგმენტია.


ეს ის ოთახია, სადაც უკვე მოხდა დანაშაული — იატაკზე ორი ქალის სისხლიანი გვამების ბუტაფორიებია. აღენა ივანოვანს ოთახი რასკოლნიკოვის ოთახიც არის („ოთახი — კუბო“), მარმელადოვების ლატაკი საცხოვრებელიც („ოთახში არაფერი არ იყო განსაკუთრებული. ავეჯი — მთლიანად ძალზე პეული“). მწერლის მიერ მოცემული აღწერიდან მხატვარი მხოლოდ რამდენიმე ნივთს არჩევს — კედლის სარკე ხის ჩარჩოში, ძველი კომოდი, დიდი ვაკეთილი სკივრი, ხატი. ზემოთ, ავანსცენის და პორტალის კუთხეში კიბის მოაჯირია აკრული. სცენაზე რამდენიმე

კარია — რამდენიმე ძველი, განსხვავებული კარი.

სისხლით მოთხერილი ყრუ თეთრი კარი ასრულებს კუბოს, საწოლის დანიშნულებას. კარია რასკოლნიკოვის სახიერი სასჯელი. კარი დასდევს მას, მოსვენებას არ აძლევს. კარი მოწყდება ოთახს, დაძრწის, ჩერდება შეაგულ სცენაზე. განათების ეფექტების ზემოქმედებით, იგი შინაგან დინამიკას იძებს და საზარელ სიმბოლოდ იქცევა. თავისი რეალური მდგომარეობიდან ამოგლეჯილი, იგი უკვე თავისი, დამოუკიდებელი ცხოვრებით კოცხლობს სცენაზე და ქვეტექსტს იძენს.

ნათელი ხდება, თუ რა ძლიერი დრამატული საწყისი იმალება კარებში. მხატვარი ხომ ზუსტად ისეთ სიტუაციაში არ იყენებს კარს, როგორც აღწერილია რომანში, აქ არც სისხლით ისვრება კარი. მაგრამ მხატვარმა წითელი ლაქით გაამძაფრა მისი მნიშვნელობა. რასკოლნიკოვი ცდილობს ჩამორეცხოს

სცენა სპექტაკლიდან „დანაშაული და სასჯელი“.





სისხლი კარს და ვერ ახერხებს. კარი ის ბარიერი, რომელიც მან გადალახა მკვლელობის ჩასადენად და სპექტაკლში ეს კარი მისი დანაშაულის და სასჯელის სიმბოლოა, რომელსაც იგი გონებიდან ვერ ამოიშლის. ბ. ენგელარდტი შენიშნავს, რომ დოსტოევსკისთან ვერ ვნახავთ ვარც სამყაროს ე.წ. ობიექტურ აღწერას, მის რომანში არ არის არც ყოფა, არც ქალაქის ან სოფლის ცხოვრება, არც ბუნება. მაგრამ არის ხან გარემო, ხან ნიადაგი, ხან მიწა, იმისგან დამოკიდებულებით, თუ რა თვლით უცქერის მას მთავარი მოქმედი პირი.⁵

ეს სიტყვები ბოროტკისეული გაფორმების გასაღებად შეიძლება მივიჩნიოთ. მან ყველაზე მძაფრი დრამატული პოტენცია კარგაში ამოიკითხა, რომელსაც ასეთი ძრწოლოვით უცქერის მთავარი გმირი, და სცენაზე განაზოგავდა მიგნებული დეტალო.

სასცენო მოედანი, როგორც აღვნიშნეთ, თავისუფალია. მაგრამ იგი იცხება: იცხება მოქმედებით — შიშველი სცენა თითქმის წინ ავლებს მსახიობებს, ხელს უწყობს მაყურებელთან მათი მსხვილი პლანით მოახლოებას, ხელს უწყობს მათს ფსიქოლოგიურ გახსნას, მათი გრძნობების გაიშვლებას.

შუქის პარტეტურა ლიუბიმოვის სპექტაკლში მუდამ შთაბეჭდილია. ამ სპექტაკლში კი კანათებით განსაკუთრებით ძლიერი ფსიქოლოგიური აქცენტები მიიღება სცენაზე შექმნილი მიზანსცენებიდან (ადამიანები იქნება ეს, თუ რაიმე დეტალი — კარი, ნაჯახი და სხვა) უკანა, თითო კედელზე უზარმაზარი ჩრდილები ეცემა. გრაფიკულად მკვეთრი, მხატვრულად გააზრებული ჩრდილები ყველანაირი მთლიანი მიზანსცენების შემადგენელი ნაწილია. ხოლო როდესაც მსახიობები საკუთარი ხელით ინათებენ სახეზე ფარანს, ან მაყურებლისაკენ მიმართავენ მას, ესა თუ ის აზრი კიდევ უფრო მძაფრად იკვეთება.

ნაწარმოებიდან ამოღებულია და სცენაზეა გადატანილი ცალკეული საგნები — დეტალები, რომლებიც უკვე რომანში სცენური ზემოქმედების პოტენციალს შეიცავენ. მაგ., ნაჯახი, სცენაზე ხშირად ჩნდება ნაჯახი — მკვლელობის იარაღი და ჩაიდნილი ბორტმოქმედების სიმბოლო.

ამგვარად, სპექტაკლში არ არის დეკორაცია, აქ არის დეტალები, რომლებიც, განათების ზემოქმედებით, მსახიობებთან ურთიერთკავშირში გარკვეულ მხატვრულ-აზრობრივ დატვირთვას იღებენ.

მხატვარი ალექსანდრე ვასილიევი სტატიისში „დოსტოევსკისეული გამოცდა“, მოვიტოვებოდა, თუ რა რთული იყო მისთვის დოსტოევსკის „დანაშაულსა და სასჯელზე“ მუშაობა (რეჟისორი ი. ზაიდასკი, მოსკოვის

მოსოვეტის თეატრი). მხატვარი ხუთ წელს 1964-დან 1969 წლამდე ფიქრობდა სპექტაკლის სცენურ სახეზე. იგი ძნელად გასცდა ცთუნებას — სცენაზე გადაცდა დოსტოევსკისეული პეტერბურგის დოქუმენტური ადგილები (მან ლენინგრადაში მრავალი ფოტოსურათი გადაიღო, რომელთა საფუძველზეც შეიქმნა პირველი ესკიზები). და როდესაც მიხვდა, რომ მატერიალური გარემო სცენაზე ეანრულობამდე ამდაბლებდა დოსტოევსკის რომანის მაღალ ტრავიზმს, იგი თანდათანობით მივიდა იმ პირობით, ვანზოგადოებელი სცენური გარემოს შექმნამდე, რომელიც მის შემოქმედებაში გარდატეხის ეტაპად და სამუქოთა დეკორაციული ხელოვნების ისტორიაში ერთ-ერთ წარმატებად აისახა.

სტატიაში იგი აღნიშნავს: „...მე მიშლიდა გადამტებული კონკრეტობაცია, სახის ზედმეტად ყოფითი გაგება. მიშლიდა ზედმეტად რეალური კარები, ჰიერარქია, სარკმლები.“⁶

სხვა დეტალებთან ერთად, მას ხელს უშლიდა რეალური კარი, როგორც ვნახეთ, ლიუბიმოვთან და ბოროტკისთან რეალური, შეუნიღბავი, სცენურად გადუქმუშავებული, თავისი პირვანდელი ფაქტურით დატოვებული კარი სიმბოლოდ იქცა.

ეს ნიშანდობლივია. ზაიდასკის და ვასილიევის სპექტაკლის შექმნიდან 10-15 წელი გავიდა. ა. ვასილიევი 30-იანი წლების ბოლოს მოვიდა თეატრში და 60-იანი წლების გარდატეხის ეტაპი მისთვის, ცხადია, არა მხოლოდ საერთო ბრძოლა იყო დეკორაციულ ხელოვნებაში 40-50-იან წლებში გამეფებულ „ნატურალიზმის“ და „ფოტოგრაფიზმის“ წინააღმდეგ, არამედ შინაგანი ბრძოლაც — საკუთარი ესთეტიკური აზროვნების წინააღმდეგ. ბოროტკი კი, როგორც აღვნიშნეთ, 60-იანი წლების ახალგაზრდა „შეამბოხებ“ თაობას ვანეუცუნებდა, რომელმაც დღესათვის თავადაც უკვე დიდი გზა განვლო თეატრში. ამ თაობის და კერძოდ, ბოროტკის შემოქმედებაში მატერიალურმა საგანმა სცენოგრაფიული თვალსაზრისით, მკვეთრი ტრანსფორმაცია განიცადა. ვასილიევი ებრძოდა რეალურ საგანს და დგენდა მას, როგორც ხელისშემშლელ ნატურალისტურ დეტალს სცენაზე. ბოროტკისთან იგივე სავსე თავისი სიცოცხლით ცოცხლობს სცენაზე. ჩვეულებრივი ნივთი ისეა ხოლმე გამოყენებული, რომ იგი ხანდახან შეუცნობელია ჩვენთვის. რეალური ფრაგმენტების უჩვეულო შეთანხმება მეტაფორულ კვებექსტს იძლევა, რთულ ასოციაციებს ქმნის. ნატურალისტური დეტალებიც კი (ნამდვილი წყალი ვედროში ან წვიმის სახით, ბუნებრივი მიწა დასავლავების სცენაში, ცოცხალი მამალი ან ძაღლი და სხვა), ისეთ კონტრექტშია მოცემული

რომ სცენური ტრანსფორმაციის გზით, პირობითობას იძენენ.

ლიუბიმოვის თეატრს „კინემატოგრაფიულს“ უწოდებენ ხოლმე. შევეცდებით ავხსნათ ამის მიზეზი. ჩინოს და თეატრის სპეციფიკურ თავისებურებებზე, განსხვავებულზე კამათისა იმასაც აღნიშნავენ, რომ თეატრისაგან განსხვავებით, ვერაზე სავანა თითქმის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მსახიობი. კამერა საგნობრივ სამყაროს მოძრაობით, აზრით, დამოუკიდებელი ფსევდოობით აღავსებს.⁷ ლიუბიმოვმა და ბოროცკიმ კი შეძლეს თეატრშიც, სცენაზე განსაკუთრებული დატვირთვა მისცენ სავანს, მსხვილი პლანით მოიტანონ ჩვენთან, რთულ აზრობაში და ფიზიკურ ურთიერთობაში შეიყვანონ ადამიანთან, ზოგჯერ მოქმედების ინიციატორადაც აქციონ. ეს იმდენად საგრძობია, რომ ხანდახან ზოგიერთი სცენა შორეულ ასოციაციას ბადებს ტარკოვსკის ფილმთან „სარკე“, სადაც მხატვარ დეიფუსის დახმარებით, რეჟისორმა მატერიალურ სამყაროს ასეთი რთული ფსიქოლოგიური დატვირთვა დააკისრა.

ბოროცკის აზრით, „არაფილანს“, მხოლოდ სცენის ჩვეულებრივი მოწყობილობით, შეიძლება შეიქმნას სპექტაკლი.⁸ სცენის რეალურ გარემოში, რეალური საგნებით და კონსტრუქციებით, რომლებიც პიესაში ასახულ ეპოქას, მის ქანს, ატმოსფეროს ეხიანება, რეჟისორი და მხატვარი ქმნიან სპექტაკლს. მათი თანამშრომლობა იმდენად მჭიდროა და აქტიური, რომ ძნელ ხდება იმის გარკვევა, ესა თუ ის ჩანადფერი რეჟისორს ეკუთვნის თუ მხატვარს. მხატვრის მიერ მოცემული ფრაგმენტი — ფრაგმენტი იქნება ეს, ფარდა, ფიტრები, საათი თუ კარი, სპექტაკლში მოქმედებს, რიტმულ კამერტონად იქცევა. მაგრამ მხოლოდ რეჟისორულ ვაგზებში, თეატრალურ სინთეზში იღებს დასრულებულ სახეს. ბოროცკის მიერ შექმნილი პლასტიკური გარემო მხოლოდ მოქმედების განვითარების პროცესში, სცენაზე მიმდინარე მოვლენებთან ცოცხალ კონტაქტში იხსნება. ვერც კარი, ვერც საათი განყენებულად სცენური ზემოქმედების ძალს ვერ შეიძენენ. ისინი კარნახობენ რეჟისორს და განაწყობენ მსახიობებს ამა თუ იმ მოქმედების შესასრულებლად, თამაშობენ მათთან ერთად. მათი დახმარებით აქტიურად ერთიან პიესის შინაარსს, სპექტაკლის სცენურ იდეას. ამ საგნებით იქმნება და გარდაიქმნება სცენური სივრცე ცხოვრებისეულ გარემოდ. სწორედ ეს არის ე. წ. „მოქმედი სცენოგრაფია“.

რაც შეეხება კოლორატს, ფერი ბოროცკის ნამუშევრებში ნაკლებ ემოციურ დატვირთვას ატარებს. საგნები პრაქტიკული ფერ-

ით, რეალური ფაქტურითაა დატვირთული სცენაზე. პალიტრა ჩამქარალია, მძაფრ ფერადოვან აქცენტებს მოკლებული. აქედანაც ჩანს, რომ მისი მხატვრობა დამოუკიდებელ დეკორატიულ დატვირთვას არ ატარებს და რომ არა თანამოაზრე — რეჟისორი, მის მიერ მოცემული დეტალები ფრაგმენტებად დარჩებოდა სცენაზე, ისინი ვერ იქცეოდნენ სცენურ სივრცეში ერთ მთლიანობად.

ტავანის თეატრის წარმოდგენები ერთდღიურულ მათურებულზეა გათვალისწინებული. რეჟისორი გუწევს ნაცნობ ავტორის, ლიტერატურული ქმნილების კიდევ ერთხელ სანახავად. გვიავაზობს მის საკუთარ, იქნებ ზოგჯერ მათურებისთვის პრეტენზიულ, მაგრამ საინტერესო სცენურ ინტერპრეტაციას. გუწევს დარბაზში ზოგადსაკაცობრიო პრობლემებზე დასაფიქრებლად, მათ განსაკუთრად, ისე, როგორც მას ესახება ესა თუ ის პრობლემა. ლიუბიმოვი ნებისმიერ სპექტაკლში, კლასიკურ თუ თანამედროვე ლიტერატურულ საფუძველზეა იგი აგებული, ცდილობს თანამედროვე ელერადობა მიანიჭოს თეატრალურ ნაწარმოებს. ბოროცკის სცენოგრაფიაც, შესაბამისად, ფართო ფანტაზიის, ასოციაციური აზროვნების თანამედროვე მათურებულს მოითხოვს, რომელსაც შესწევს უნარი მიიღოს შემოთავაზებული პირობითი გარემო, გაერკვეს საგნების სიმბოლურ-აზრობრივ ქვეტექსტში, მათ მეტაფორულ ურთიერთკავშირში.

აღნიშნული მომენტები დ. ბოროცკის წარმოადგენს, როგორც 70-იანი წლების საბჭოთა სცენოგრაფიის ერთ-ერთ მოწინავე ოსტატს, რომლის შემოქმედებაც თანამედროვე რეჟისორული და დეკორატიული ხელოვნების სახასიათო ნიმუშია. ამიტომაც არის, რომ დღესდღეობით, თეატრალურ-დეკორატიულ ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებზე საუბრისას, კრიტიკოსები ხშირად ეხებიან ბოროცკის ამა თუ იმ ნამუშევარს, როგორც ბოლო პერიოდის თეატრის მხატვრობის ძირითადი ტენდენციებისათვის ნიშანდობლივს.

შენიშვნები:

¹ В. Березкин, «Сцениграф и вещь». ДИ СССР, II, 1972, стр. 29.

² Театр № 8, 1977, стр. 95.

³ Декоративное искусство СССР, № 11, 1972, стр. 28.

⁴ Театр, № 6, 1979, стр. 37.

⁵ Ф. М. Достоевский. Статьи и письма. Сб., 2, Л.-М., 1924, стр. 93.

⁶ Творчество, № 11, 1971, стр. 13.

⁷ О. Савицкая — Л. Додин. Театральное действие сегодня. Творчество, 9, 1979, стр. 9

⁸ Сб. «По страницам журн. «Творчество», 1972, стр. 37.

ემირ ბურჯანაძის გამოცენა

ემირ ბურჯანაძის ნამუშევრები იმასაც ნათელყოფს, თუ საიდან იღებენ ისინი ფსევდებს. ეს არის შემოქმედებითად ათვისებული მდიდარი ეროვნული მემკვიდრეობა, ძველი ქართული ორნამენტებითა და ასომთავრული ანბანით დაწყებული და დღევანდელი გრაფიკული სკოლის მხატვრული პრინციპებითა და მონაპოვრებით დამთავრებული.

თბილისის სამხატვრო აკადემიაში ემირ ბურჯანაძე სწავლობდა (1957-1964) ისეთი ოსტატების ხელმძღვანელობით, როგორც არიან ლ. გრიგოლია, ვ. ქუთათელაძე, ვ. კეშელავა, ს. გაბაშვილი. ლინოგრაფიურებისა და ავტოლითოგრაფიების სერიებში, რომლებიც სადიპლომო შრომის სახით შეასრულა, ახალგაზრდა მხატვარმა მყარი პროფესიონალიზმი და რთული შემოქმედებითი ამოცანების გადაჭრის უნარი გამოავლინა.

ტრადიციული ქართული ორნამენტი, მისი სახეები, ანბანი, სტილიზებული ცხოველების გამოსახულებანი (წამოსული ძველიდან) მის ნამუშევრებში ოსტატურად არის შერწყმული თანამედროვეობის მხატვრულ პრინციპებთან, ამ პრინციპების დამაკავშირებლად კი მხატვრის ინდივიდუალობა გვევლინება.

ე. ბურჯანაძე ყოველთვის ლაკონიურია. მისთვის დამახასიათებელი სიძუნწე დეტალების გამოყენებაში, სიმკაცრე კოლორიტის შერჩევაში (ძირითადად შავი და თეთრი ტონები) გარკვეულად პასუხობს მხატვრის ბუნებას და, ამავე დროს, ხსნის გაფორმებული წიგნის შინაარსს.

წიგნის გრაფიკოსისათვის დამახასიათებელი დეკორატიულობა ამ ნამუშევრებში თავშეკაეებულად მჟღავნდება. ორნამენტი მკაცრია თავისი ფორმით ლა დეტალების მხრივ. ფერები, როგორც აღინიშნა, ასევე შეზღუდულია, მაგრამ გადაწყვეტის ეს სიმკაცრე ერთგვარი ხერხია დეკორატიულობის ხაზგასასმელად. მხატვარი თავისებურად წყვეტს ორნამენტის გამოყენების ამოცანას და თავის მხატვრულ ჩანაფიქრს მაცურებლისთვის მისაწვდომად ახორციელებს.

ნამუშევრებში იგრანობა, რომ ემირ ბურჯანაძე გულდასმით იძებს და არჩევს შრიფტს, ორნამენტს, კომპოზიციას, გეოგაზობს მათს რამდენიმე ვარიანტს, სახე-

ლელა ოჩიაური

ემირ ბურჯანაძე ქართული წიგნის გრაფიკის შესანიშნავ ტრადიციათა გამგრძელებელი მხატვარია. მისმა პერსონალურმა გამოფენამ ცხადყო, თუ რაოდენ დიდი შრომაა დახარჯული თითოეული ნამუშევრის შესაქმნელად, რაოდენ დიდი ფანტაზია, გულმოდგინება და სიყვარული ქმნიდა გამოქმედლობა „მერანის“ საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილ ექსპონატებს.

ბას; ცვლის მანერას, მასალას, ხერხებს. თითოეულ ნახატში კვლავაც განმსაზღვრელია მდიდარი ქართული ტრადიციების შეთანხმება თანამედროვეობასთან.

ამიტომაც, რომ, რა ხერხსაც არ უნდა მიმართოს მხატვარმა ჩანაფიქრის ხორც-შესხმისას, რა კუთხიდანაც არ უნდა მიუდგეს სათქმელს, მისი ყველა ნამუშევარი ეროვნული სულითაა აღბეჭდილი, უაღრესად ქართულია, იქნება ეს წიგნის ტიტული, ყდა, ილუსტრაცია თუ შრიფტისა და ჩართული ანბანის ცალკეული ნიმუშები.

მას იტაცებს მრავალფეროვანი ქართული ორნამენტი, იყენებს ქართულ ხელოვნებაში ფართოდ გავრცელებულ ყურძნის მტყენების, ბროწეულის ხეების, ვაზის სახეებს და თავისებური ინტერპრეტაციით აწვდის მნახველს.

რა თქმა უნდა, მხატვარი არ იფარგლება მხოლოდ წიგნის გაფორმებით, მუშაობს პეიზაჟებზე, პორტრეტებზე, პლაკატებზე, ემბლემებზე.

პეიზაჟებზე ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლებია წარმოდგენილი: გერგეთი, სიონი, სნო... ამ პეიზაჟების — ხედების მხატვრულ - კომპოზიციური გადანყვება წარმოაჩენს ძველი არქიტექტურის დამახასიათებელ თავისებურებებს.

ემბლემებსა და პლაკატებში, რომლებიც მეცნიერულ-კულტურულ მოვლენებს ეძღვნება, ასევე ფართოდაა გამოყენებული ქართული ორნამენტი, ანბანი. მხატვარი აქაც საზს უსვამს ეროვნულობას, ლაკონურობა, მთავარზე აქცენტირება, შესრულების სინატიფე ნიშანდობლივია ამ ნაწარმოებები სათვისაც.

ასომთავრულ და მხედრულ ანბანს იგი მოხდენილად იყენებს ექსლიბრისებში. წარწერებში, მონოგრამებში და ქმნის მრავალ ვარიანტს.

ნ. დუმბაძის „მზის“ და კარლო კალაძის ლექსების, ქურთი პოეტების კრებულის, მურმან ქოიავას „გზა გასაყართან“ გაფორმებაში მხატვარი ინარჩუნებს სისადავეს, გაურბის ზედმეტ თხრობითობას, ნათლად გადმოსცემს სათქმელს. მიუხედავად ძუნნად შემკული ფურცლებისა, აქ არაფერი არ არის ბუნდოვანი და ნახევრად თქმული. ორიოდე შტრიხით მხატვარი მკითხველს სრულ წარმოდგენას უქმნის ნაწარმოებზე. ყოველ ნამუშევარში მიზნად ისახავს შექმნას წიგნის ზომიერად დეკორატიული სახე (რაც ყოველთვის ახასიათებდა ქართულ ხელოვნებას).

ძიებისას იგი რამდენჯერმე უბრუნდება



მუსია.

ერთსა და იმავე თემას. ეს განსაკუთრებ-
ებით მზლანდება შრიფტზე მუშაობისას.

მხატვარი ქმნის თანამედროვე ქართულ
ასოთა ცალკეულ სახეებს, ჩართულ ასოებს,
ზოგან ასომთავრულისა და მხედრულის
შერწყმით, ზოგან მთლიანად მხედრულით.
გარდა იმისა, რომ თვით ასოთა მოხაზუ-
ლობა, ფორმები მხატვრულ-დეკორატიულ
იერს იძენენ, დეკორატიულია თვით ფურც-
ლების ჩარჩოები, შრიფტის კომპოზიციუ-
რი განლაგება. ყოველივე ეს არ სცილდება
მხატვრის შემოქმედებისათვის დამახასია-
თებელ პრინციპებს — სადა დეკორატიუ-
ლობას, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს
ე. ბურჯანაძის ინდივიდუალობას.

მხატვარი განსხვავებულ მანერას იყე-
ნებს ერთ კონკრეტულ ნამუშევარშიც კი.
იგი ლაქებს (შავსა და თეთრს) უპირისპი-
რებს მსუბუქ შტრიხს; კონტურულ ნახატს
მიმართავს ასევე ლაქებთან და შტრიხთან
ერთად. აწონასწორებს, თავს უყრის კომ-
პოზიციებს და დასრულებულ, მოწესრი-
გებულ სახეს აძლევს. ქართული ორნამენ-
ტის მრავალფეროვნება ამ ნამუშევრებში
იბადება იმდენად არა ცოდნიდან, არამედ
სულიდან, რადგან ღრმად არის გამჭვდარი
შემოქმედის ბუნებაში.

რა თქმა უნდა, ეს არც თუ ისე დიდი
გამოფენა საკმარისი არ იყო ემირ ბურჯა-
ნაძის შემოქმედების გაცნობისათვის, მაე-
რამ ის, რაც „მერანში“ ვიხილეთ, თითქოს,
ერთგვარად თავს უყრის მის საინტერესო
ხელოვნებას და გარკვეულ წარმოდგენას
გვაძლევს იმ მხატვარზე, რომელსაც საგუ-
ლისხმო წვლილი შეაქვს ქართულ გრაფი-
კულ ხელოვნებაში.



მსლან-საბა ორბელიანი



სულხან-საბა ორბელიანის პორტრეტი.
ერთსკრიბანი ჩართული ანბანი.

სტანისლავსკის სახელობის ერევნის თეატრი თბილისში




სცენა სპექტაკლიდან „უცხოელი სასიძო“
სცენა სპექტაკლიდან „წარმოსახვის თა-
მაში“
სცენა სპექტაკლიდან „სხვადასხვა სიმ-
ღერა“

ჩვენს დედაქალაქს სავასტრო-ლოდ ეწვია ერევნის კ. სტანისლავსკის სახელობის რუსული დრამატული თეატრი. სტუმრები თბილისელი მკურებლის წინაშე წარსდგნენ ფართო პროგრამით და უჩვენეს თითქმის ყველა თავიანთი საუკეთესო სპექტაკლი: ვ. როზოვის „სოლოს ბუდე“, შექსპირის „მაკბეტი“, ა. ვამპილოვის „იხვზე ნადირობა“, ზ. ხალათიანის „სხვადასხვა სიმღერა“, გ. ზაპოლსკაიას „ქალბატონი მალიჩევსკაია“, ა. ცაგარელის „ხახუ-მა“, ე. ბრაუნისკის „წარმოსახვის თამაში“, ა. პაპიანის „უცხოელი სასიძო“, ა. გელმანის „ჩვენ ქვე-მორე ხელისმომწვინი“, დ. ფონ-ვიზინის „უმეფიფარი“, ა. არბუ-ზოვის „ძველებური კომედია“ და სხვა.

თეატრის მთავარი რეჟისორია სომხეთის სსრ სახალხო არტისტი, სომხეთის სსრ სახელმწიფო

პრემიის ლაურეატი ა. ს. გრიგორიანი. სპექტაკლების უმეტესობა მხატვრულად გააფორმა სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ს. არტუჩიანმა, მუსიკა შეარჩია მ. ვართახარიანმა.

მკურებლის დიდი მოწონება დამსახურეს მსახიობებმა: სომხეთის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ვ. ბაბიჩევამ, ლ. ხაჩატურიანმა, ი. მედევედევამ, ნ. ეგოროვამ, ე. ნერსესიანმა, გ. კოროტკოვმა, ი. გრიჭუროვმა, ი. ნავატკინმა, ვ. ფროლოვმა. მათ პარტნიორობას უწევდნენ ახალგაზრდა მსახიობები: მ. შავერდიანი, გ. მარტიროსოვა, ნ. გოლიცი, მ. შტეინბერგი, ა. სელიმზანოვი, ა. მინსაიანი, ვ. კაშკინა, ვ. ნიკოლაევა, ე. კრიშტალი, ე. შამირიანი, ი. ვოლკოვი, რ. მარჩენკო და სხვები.



გახსენებული ლეგენდები

ოლა თაბუკაშვილი

ნოდარ მანაბაძის შემოქმედება უკვე საკმაოდ ნათლად ამჟღავნებს მის თემატურ და სტილისტურ მიდრეკილებებს.

კინემატოგრაფში ნ. მანაბაძე მოკლემეტრაჟიანი კინოკომედით „საერთო კედლით“ (სცენარის ავტორი ე. ახვლედიანი) მოვიდა და იმათეთვე მიიქცია ყურადღება კინემატოგრაფიული აზროვნების ინდივიდუალობით. შემდეგმა ფილმმა — „წუთისოფელმა“, რომელიც კინორეჟისორ შოთა მანაბაძესთან ერთად არის შექმნილი, ახალგაზრდა შემოქმედის ნიჭის კიდევ ერთი წახანავი დაგვიანაზა, კერძოდ, მასშტაბური თემებისაკენ მიდრეკილება, ლირიკული ფსიქოლოგიზმის ფაქიზი შეგრძნება.

ნ. მანაბაძის დამოუკიდებელმა სრულმეტრაჟიანმა სურათმა „ამბავი ივანე კოტორაშვილისა“, გამოაღვინა ახალგაზრდა რეჟისორის ძიებები კინემატოგრაფის გამომსახველობითი სტრუქტურის სფეროში. ეს ფილმი საინტერესო იყო აგრეთვე ეროვნული ხასიათის არქიტექტონიკის დამუშავების თვალსაზრისითაც.

ნ. მანაბაძის ახალი ფილმი „ამაღლება“ შესაძლებლობას გვაძლევს ვილაპარაკოთ მასზე, როგორც მკაფიო მსოფლმხედველობის, საინტერესო ხელწერის შემოქმედზე.

ფილმის სიუჟეტის მოყოლა შეუძლებელია. მისში არ არის სიუჟეტი ამ სიტყვის სტრუქტურული მნიშვნელობით. სცენარის ავტორ-

მა ეროლმ ახვლედიანმა, დათო ჯავახიშვილმა და ნოდარ მანაბაძემ უკვე დრამატურგიულ საფუძველში ჩაუყარეს საძირკველი მომავალი ფილმის სტილისტიკას. ეს არის პოეტური ქმნილება საქართველოს ისტორიულ წარსულზე, ქართველი ხალხის გმირობაზე, ურყეობასა და სიბრძნეზე, მისი სულის სიღრმეებზე.

ფილმი „ამაღლება“ გამოირჩევა მაღალი მხატვრული დონით, პლასტიკური ოსტატობით, აზროვნებლ სიმწიფით. ადამიანი და ისტორია — ასეთია ფილმის თემა და მის ავტორთა დამსახურებაც სწორედ ისაა, რომ ისტორია აქ აბსტრაქციად კი არ გვევლინება. არამედ ცოცხლება და ხელშესახები ხდება.

სურათი იწყება აზრობრივად თითქოს განცალკევებულ, ფერწერულად გამომსახველი კადრების მონტაჟით: გლეხი ამწვანებული მთების ფონზე ყანას მკის, მიწდორში ძროხა ბალახობს, ქალაში ქალ-ვაევი ხვდება ერთმანეთს — ეს სურათები ზუსტი მონტაჟური სვლით ერთიანდება ადამიანის არსებობის გამოხატველ მეტაფორაში. ამ კადრებს თითქოს შეჰყავს მახურებელი იმ ლეგენდის პოეტურ სამყაროში, რომელშიც მოთხრობილია სიკეთესა და სიღამაზეზე, ვაჟაკობასა და გმირობაზე, ძალადობასა და მრისხნებაზე.

ფილმი ეძღვნება სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულ უსახელო გმირთა სამარადისო ხსოვნას. (ამას გვეუწყებს

ტიტრი). უკვე ამ წინამძღვარში იგრძნობა კინონაწარმოების ზოგადსაკუთბრო მოტივები, თანამედროვე ელერალობის ძალა. ეს მოტივები და ელერადობა ღრმად თანამედროვე სტილისტიკით, კინოთხრობის ენითაა ხაზგასმული. ფილმის ავტორები არ გაიტაცა გარეგნულმა გამომსახველობამ, შიშველმა და ყალბმა პოეტურობამ (მიმიკა სხვისი პოეტიკის, მონტაჟის რაკურსის, ოპტიკის ხერხებსა), რაც ხში-

ზოგჯერ შრომისა და შთაგონების გამომატველს, ზოგჯერ კი როგორც გმირობისა და ეკაცობის სიმბოლოს (ეპიზოდში, სადაც გმირებს მოაქვთ საკუთარი საფლავის ქვები). ცხენი კი, რომელიც ასევე ხშირად ჩნდება ეკრანზე, თავის თავში ორ საწყისს ატარებს — ერთის მხრივ სიყვარულს, სინათლეს, სიყვარულს, მეორეს მხრივ — ომსა და სიკვდილს. გავიხსენოთ ცხენზე ამხედრებულ შეყვარე-



კალრი ფილმიდან „ამალღება“

რად პოეტური მიმართულების ფილმებში თვითმზნურ ხასიათს ატარებს და თითქოს ფარავს ეკრანზე ადამიანისადმი, პრობლემისადმი, სთქმელისადმი გულგრილობას (ეს ტენდენცია საზიფათო პოეტური კინოს შემდგომი ბედისათვის). „ამალღების“ ავტორები, პირიქით, მოგვიხმობენ განზოგადებული აზროვნებისაკენ, სილამაზით გამოწვეული აღტაცებიდან მაცურებელს ფილოსოფიური ანალიზისაკენ უბიძგებენ.

მაგალითისათვის გავიხსენოთ თუნდაც ის ეპიზოდი, სადაც ხუროთმოძღვრის ეკრანული ამბავი ეთავსება თხრობის საოცარი ბუნებისა და ხასიათის ხარის შესახებ, პატრონისათვის ქვებს რომ ეზიდება.

ფილმში ავტორები ხშირად მიმართავენ ქვის ფაქტურას, როგორც სახე-სიმბოლოს —

ბუღების ეპიზოდის წყობა, ახალგაზრდული სიყვარულის პლასტიკური და ფერითი სიმფონია, როდესაც ომში წასვლის წინ ხეიჩა თავის შეყვარებულს ემშვიდობება, ანდა უპატარალო ქორწილის ეპიზოდი, სავე ხალხური იუმორით, რომელიც არა მარტო ტექსტობრივ მასალაში გამოიხატება, არამედ ოდნავ გადაჭარბებულადაც, სახვით გადაწყვეტაში. ან კიდევ ეპიკური ელერადობით აღსავსე ეპიზოდი ომში ფშავეების წასვლას, რომელიც თავდება სცენით, სადაც მოხუცი მრავალჭირანხულ აბჯარს მოირგებს და ბორძიკით მტერთან საბრძოლველად მიეშურება.

მეუღ სურათს გასდევს მტრის ურდოების შემოსევის თემა, რომელიც ერთი და იგივე პლანით მეორდება — ეკრანზე წამით ჩნდება და გადაივლის მტრის ცხენოსანთა ჯგუფი. ამ-

გვარი გამეორებით ავტორებმა თავისებურ გადაწყვეტას მიაგნეს. ფილმის განვითარებას ისინი სწორედ იმაში ხედავენ, რომ ერთხელ მომეზნო სახეს ახალ-ახალ მოტივებს უმატებენ. ამაში მე ფილმის თავისებურ ესთეტიკას ვხედავ. საერთოდ, ფილმის თემა ავტორების მიერ გამოხატულია ერთხელ დანახულია თუ მიგნებულის განმეორებით. გამოსახულების მთავარი — აზრობრივი, მეტაფორული თუ

რული პრინციპი. ფერთა პალიტრის სხვადასხვა ტონები კონტრასტული თანაფარდობით წარმოგვიდგება, რითაც ხან ფერთა დახვეწილ პარმონის ქმნიან, ხან კი გვირთა ემოციური განცდების ზუსტ ფონს.

შეძლება კიდევ არაერთი მაგალითის მოყვანა ფილმის განსაკუთრებული მხატვრული ღირსების დასაზუსტებლად. აქ ყველაფერი — ჩანაფიქრი, მისი რეჟისორული და დრამატურ-



კადრი ფილმიდან „ამალღება“.

ყოფითი მოტივების განმეორება, ჩემის აზრით, ჩანაფიქრის პოეტური განსახიერების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს, იმ იდეის განსახიერების პირობას, რომელიც პოეტური ეკრანისთვისაა გამოსადეგი და მისაღები.

თვით ფილმის სტილისტიკაში მუდმივად იგრძნობა „დაფარული აზრი“. ყოველი კადრი გამსჭვალულია სამყაროს პოეტური გააზრების განწყობით. ამასთანავე, რეჟისორის, ოპერატორისა და მხატვრის ნამუშევარი თავისუფალია ეფექტური აქცენტებისა და უხეშო ფერებისაგან. ფილმის სამყარო მკაცრი და ელემენტარია, ხოლო მისი ფერთი გადაწყვეტა დრამატურგიული განვითარებისას გარკვეულ აზრობრივ მნიშვნელობას იძენს, როგორც ცხოვრების აღქმისა და ასახვის მხატვ-

რული გადაწყვეტა, ოპერატორის და მხატვრის ოსტატობა, ნაწარმოების მუსიკალური ფაქტურა, სამსახიობო ანსამბლი, ავტორთა მიერ მასალის გააზრების სიღრმეზე, სიფაქიზესა და ტემპარამენტის სიძლიერეზე მეტყველებს.

სურათი მთავრდება ისეთივე კადრებით, როგორითაც იწყება: თონეში პური ცხება. გლეხები ყანას მკიან, ხის ძირას მოხუცები ისვენებენ, მთელ ეკრანს ავსებენ ბავშვების სიცილ-კისკისი. ყოველივე კვლავ სილამაზით, სითბოთი და სინათლით აღგვაყვებს. სწორედ ამაშია პოეტური ეკრანის აზრი, ესაა მისი მიზანი და სიძლიერის პირობა, რადგან ადამიანში მუდმივად ცოცხლობს სიკეთისა და სილამაზის მოთხოვნილება.

სახიობა „შაჰ-ნამესა“ და „ვეფხისტყაოსანში“

(კარაქელევი)

გულიკო მამულაშვილი

ძარბაზის სახიობის შესწავლა, მისი ისტორიული ფენების ძიება უნდა დაიწყოთ წარმართული ხანიდან.

სახიობის კვლევისას უნდა გაითვალისწინოთ როგორც ქრისტიანული, ასევე მუსულმანური ცივილიზაციის ზეგავლენა და X საუკუნიდან დაწყებული, ერთნაირად გავანალიზოთ ქართული კულტურა, რომელმაც თავის ზენიტს XII-XIII საუკუნის მეორე ნახევარში მიიღწია.

არცერთი ერის კულტურა არ არსებობს, არ ყალიბდება და არ ვითარდება იზოლირებულად. საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და ისტორიული ფაქტორების ზეგავლენით წარმოადგენდა ქვეყანას, სადაც ადგილობრივ წინადაგზე ერთმეორეს ერწყმოდა და საეკლერი და აღმოსავლური ნაკადი.

აღმოსავლურ და დასავლურ კულტურასთან ზიარების უმაღლეს გამოვლინებას წარმოადგენს შოთა რუსთაველის პოემა.

რუსთაველის შემოქმედების ღრმა და საფუძვლიანი შესწავლისათვის კი საჭიროა გაირკვეს „ვეფხისტყაოსანის“ სპარსული მწერლობისადმი დამოკიდებულების საკითხი, შესწავლილი იქნეს როგორც სპარსული პოეტების გავლენა რუსთაველის შემოქმედებაზე, ასევე რუსთაველის გავლენა საერთოდ მთელ აღმოსავლურ და კერძოდ, სპარსულ პოეზიაზე.

„...პოეზია და კულტურა ქართველ-სპარსთა სულიერ ერთობასა ჰქმნიდა და მტრობის მაგიერ სიყვარულს სთესავდა“².

პროფ. დ. ჯანელიძე „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ წერს: გამოსარკვევია პოემაში ასახული სანახაობრივი კულტურის რაობა და მისი მიმართება საქართველოს სინამდვილესთან. ასეთ კვლევა-ძიებას მნიშვნელობა აქვს მსოფლიო თეატრის ისტორიის თვალსაზრისითაც, რამდენადაც პოემა ასახავს წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფოს სანახაობრივ კულტურას, სადაც თვითმყოფადი სახიობის საფუძველზე შერწყმული აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა ტრადიციები თავისებურ განვითარებას პოულობენ“³.

განსაკუთრებით მკიდრო და ხანგრძლივი კონტაქტები ჰქონდა საქართველოს ირანულ სამყაროსთან. ირანი საქართველოს ძლიერი და მაღალცივილიზებული მეზობელი იყო. ეს კონტაქტები ვლინდება აგრეთვე ლიტერატურულ ურთიერთობაშიც. ამ ტრადიციების წყალობით ვითარდებოდა საქართველოში ნაყოფიერი, საერო მთარგმნელობითი მუშაობა. ჩვენამდე მრავალმა სპარსულ ლიტერატურიდან თარგმნილმა ძეგლმა მოაღწია. X-XV საუკუნეები ოქროს ხანად არის ცნობილი სპარსული ლიტერატურის ისტორიაში. ნაწილობრივ ეს ლიტერატურა

¹ დ. კობიძე, „ქართულ-სპარსული ლიტ. ურთიერთობანი, ტ. III, თბ., 1978, გვ. 5.

² დ. კობიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.
³ იგი, ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი მეორე, თბ. 1948, გვ. 30.

რული აღმავლობა დროით ემთხვევა ქართული კულტურის რყენებისს. XII-XIII სს. ქართული თარგმანების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ქართულ მწერლობას და კულტურის ამა თუ იმ დარგისათვის, თვით სპარსული ორიგინალების და ირანული კულტურის სამყაროს კვლევისათვისაც.

ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს სახიობის ხელოვნების პრობლემის შესწავლა „შაჰ-ნამეს“ მიხედვით და მისი შედარება ქართულ საერო მწერლობაში დაკულტურებულთან. ჩვენი თეატრმოდლობითი ძიებანი დამყარებულია ძირითადად ენობრივ, ლექსიკურ მასალაზე. „შაჰ-ნამეში“ გამოვლენილია „მეფხისტყაოსანთან“ თანხვედრა ცხოვრების ისეთი მოვლენებისა, როგორცაა: ქორწილი, გამეფება, ვაზირობა, ნადირობა და ამასთან დაკავშირებული ლხინი, ნადიმი და მეჯლისი.

სანახაობითი წარმოდგენები, რომელიც „შაჰ-ნამესა“ და „მეფხისტყაოსანის“ თითქმის ყველა ეპოზოდის (ლხინის, ზეიმის, ბრძოლის, მწუხარებისა თუ გლოვის) თანმშლება, სხვადასხვა ხასიათისა და იერისა იყო. ლხინის, ნადიმის, მეჯლისის, ვაზირობის, ქორწილის, გამეფების, გამზითვის თანმშლება: ქება, მილოცვა, დალოცვა, დასაჩუქრება, „ტკბილ სიტყვითა“ თქმა, „ჰმა მშვენიერი“ გალობა, ცეკვა და ა. შ... რომელიც სხვადასხვა საკრავთა თანმშლებით სრულდებოდა, ხოლო ბრძოლაში დამარცხებას, სიკვდილს, გლოვას და მწუხარებას თან ახლდა გარკვეული ლიტურგიის დაცვა.

„შაჰ-ნამესა“ და „მეფხისტყაოსანში“ განსაკუთრებული ემოციურობითაა აღწერილი ქორწილები. ქორწილის მზადებისას „ტურფად კაშავევ ქალაქს“, აქმევენ მუშსა და ამბარს. საზეიმო სურათის აღწერას მეტ დიდებულებასა და ელფერს მატებს საოცარი სიმდიდრის, ფუფუნების, მოსართავ-მოსაკაშმაზე ძვირფასი ქვების, თვალ-მარჯალტის „ოქროს ტახტის“, ნეფუ-დედოფალთა ძვირფასი ტრანსპორტის, სხვადასხვა სამკაულებისა და სურნეოვანი ატრიბუტების დასახელება:

„იდა ნარინჯი, თურბიჯი, ლომი, ბროწეული, იანი, ვარდი, ხამ-ფერი ზამზამი, იანაზანი, იანი, სურნელის სუნს ავესო გარ ვილო, შოა და ტყინი, ტურფად ყოიდეხ ბულბულანი და იადონი ხმანი“.

ტ. 1. 247

„შათ ქალ-ყმათათვის საქდომი დაედა თეთრ-ბოქვითი, წითელ-ყვითლით თვალითა ზედა კელუცად ფრკვეული“.

ტ. 1. 1443

ფრილად მანდის ვაყების სალიმის, თურისა და ერავის ქორწილისათვის:

„ტურფად მოკაშმეს დარზაზანი, — ძლივ ითქმის კაცთა ვნითა, მუშს და ამბარს აქმევედს ქუეშე ოქსინის ფინითა“.

ტ. 1. 220

როცა ფარსადანს შეაჯყობნეს, ხვარაშმს შვილს ნესტან-დარეჯანზე საქორწინოდ მოდისო —

„მეფენ ბრძანა: „მოკაშმენთ კარვთა მოდანი“! „შუად გახსენდით, ვაჟანდო, სიძე-წი უმერულა“.

ღარაზში, ან სავარდში, სადაც ქორწილია: „ხოშ-გუარ ღვინოს“ ძვირფასი ჭურჭლით სვამენ. „პირ-მთვარე მუტრბები“, მეჩანგენი, მომღერლები, მგოსნები ატკობენ მოქიეფითა ჩანგის ელერიითა, და „მღერითა“.

„...მრავალი უცხოთა ხმისა მურდენი მეჩანგენი დახდეს და ჩანგის ხმასა მირთხ, მერმე მრავალი მგოსანნი, მუტრბინი და მომღერალნი იუფნეს. აგრეთვე იადონისა ხმასა მთქმელნი ქანდი დახდეს და ამოთა ხმითა შეუხ-მოდეს“.

ტ. III. გვ. 248

„ბროლისა ქიკია დაღვეს ხომეგუარისა ღვინითა“.

ტ. II. 2972

„იგუდნის თანხებითა ლალის ფერსა ღვინოს ხედეს“.

ტ. I. 2164

დიდი მზიარულება, საკრავთა ელერა, სიმღერა და საბოძერის ძუნვა იყო თინათინის და ეთანდელის ქორწილები, „მეჭრეტელი“ გაოცებულად აღარა ქორწილები ნანახი ჭურჭლით.

„მუტრბინი მოდეს ყოველგნით ისმოდეს ხმა წინწილისა“.

„არა დარჩა უხახოძკრო არ კოვლი და არ საყარი. მოლიდა მარგალიტი მოფანტული, მონაყარი“. „იგუდნისა ქაშები იყვის, ლალისა ქიკები. კყაა უცხო ფერთა ჭურჭელთა სხდის უცხო-უცხო ხეჭები“.

ასევე იყო ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის ქორწილები.

„მგოსანნი მოდეს, ისმოდა ხმა სიმღერისა ტკბილისა, ქორწილს მკნეს და გამრავლა ძღვნობა ღარისა ღობისა“.

„მეფხისტყაოსანში“, ისევე როგორც „შაჰ-ნამეში“ ნებისმიერი ლხინის (ზეიმი, ნადიმი, მეჯლისი, ქორწილი, ვაზირობა) უპირველესი თანმშლება მუსიკალური საკრავები: ბარბითი, ბუკი, დაფი, ნობა, ქოსი, ქნარი, ჩანგი, ჩალანა, წინწილი და მათზე დამკვერლნი, შემსრულებელნი: მგოსანნი, მემულენნი, მეჩანგენი, მომღერალნი, მუშათინი, მუტრბინი:

„დაიდეს წინა ნადიმი, მოახდეს მკვკრეთთა გარი: მეჩანგენი და მუტრბინი იყო პარ-მთვარე გარი“.

მოკალაქთა მჭრეტელთა გარშემო დენა გარი, შეიქნა გამოჩენება, ლხინი არ გასაჭარია“.

ტ. 1, 233

1 აქაც და შემდგომ ეპოქებში გამოიყენებ: „მეფხისტყაოსანი“, თბილისი, 1970 წ., გამომ., „სახბოთა საქართველო“.

როსტევეან მეფისა და ავთანდილის ნადირობის შემდეგ ნადიმი გამართეს:

„ესე თქვა და სიხარულით თამაშობა ადიდა.
მგოსანი და მუშაითი უხმეს, პოვეს რაცა სადა“.

ან კიდევ:

„იმ დედა და იხარება და წინა ედგა ერთი ჩანგი“.

ნადიმის აღწერა შეიცავს ისეთ მხატვრულ სახეებს, როგორცაა შედარება მზესთან და მთვარესთან. ხშირად ეს უპოეტებები მიუთითებს სიტურფესა და პირშემევიერებაზე:

„გვერც პირმთვარენი დაისხა, ბარბოთი მოკაშულია“.
ტ. II, 4763.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირები ხშირად ერთმანეთს და საკუთარ თავსაც მზესა და მთვარეს უწოდებენ. ავთანდილი რუსთაველის დახასიათებით იყო:

„სარსა მკობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა“.

ზოგჯერ კი, „მზისა“ და „მთვარის“ მხატვრული სახეები უფრო რთულ მეტაფორულ გახზრებითაა წარმოდგენილი, რომელსაც ქართულ მხატვრულ და სახიობურ აზროვნებაში მეტად ღრმა ფესვები გააჩნია:

„თქუა“: უღრუბლოდ ცახა ზედა მთუა რე ახლად დაქლომილი“
ტ. I, 2494

„სმა და ღონა გაასწირეს, მზე უღრუბლოდ ამოვიდა“.

„მზე და მთვარე იკვარებენ, ვიცი. შენს ხიკუფსა“.

ტ. II, 4895.

„პირი მიხი უნათლვა სინათლესა ჳესთა-ჭესა,
საღლ-საუფი არა მართებს, ციკვა გაიდარბაზესა“

